*დანართი №2*

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

სსიპ ქალაქ თბილისის N36 საჯარო სკოლა

| |
|---|
| ექსპერტთა ჯგუფის წევრები |
| თავმჯდომარე: ნინო მუმლაძე |
| წევრები: |
| ცისანა კობახიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი |
| ქეთევან ტურიაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი |
| ხატია ჭალიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი |
| ანანო შანავა -უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი |
| ნაირა მამუკელაშვილი - ესთეთიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი |
| ვერა გუდაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი |
| ხათუნა ქერაშვილი -სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი |
| ევგენი გუგულაშვილი -მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი |
| ედუარდ ნაკაიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი |
| ნინო ვაშალომიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი |

## ნაწილი I. შესავალი

### I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ ქალაქ თბილისის N36 საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 202887661 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ქალაქი თბილისი |
| იურიდიული მისამართი | ძველი თბილისი, გ. სხულუხიას ქუჩაN4 |
| ფაქტობრივი მისამართი | ძველი თბილისი, გ.სხულუხიას ქუჩაN4 |
| საფოსტო ინდექსი | 0102 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | Skolebi.emis.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | Tbilisi36@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 577338266 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | MES2230001245505 2023 წლის 27 სექტემბერი |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 2023 წლის 28-29 სექტემბერი |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი I- VI კლასები | ქართული ენა | ძველი თბილისი გ.სხულუხიას N4 |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო VII-IX კლასები | ქართული ენა | ძველი თბილისი გ.სხულუხიას N4 |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო X-XII კლასები | ქართული ენა | ძველი თბილისი გ.სხულუხიას N4 |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ ქალაქ თბილისის N36 საჯარო სკოლის შეფასების პროცესი აქტიურ რეჟიმში წარიმართა. დაწესებულებაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ექსპერტების მიერ ვიზიტის წინა პერიოდში დაიგეგმა სამუშაო შეხვედრა, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას.

ვიზიტმა ჩაიარა კონსტრუქციულ, საქმიან და მშვიდ ვითარებაში. ექსპერტთა ჯგუფი ადგილზე გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში. დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაესაუბრა, როგორც ადმინისტრაციულ პერსონალს, ასევე სკოლის მასწავლებლებს. ექსპერტებმა ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსიც.

საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამისი საგნის მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით, გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტისა, რომელმაც ვიზიტის პერიოდში განიხილა კურიკულუმები, დაათვალიერა სასწავლო გარემო და გაესაუბრა საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებს.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

**სსიპ ქალაქ თბილისის N36 საჯარო სკოლის საუკეთესო პრაქტიკიის მაგალითებია**

დაწესებულების მართველობითი სტილი დაფუძნებულია დემოკრატიულ კულტურის განვითარებაზე, სკოლის მართველი გუნდის პრიორიტეტია დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი, შესაბამისად სასკოლო საზოგადოება მოსწავლეები და პედაგოგოები აქტიურად მონაწილეობენ სკოლის მართვასთან დაკავშირებული გადაწყევტილებების მიღებაში. სკოლას მოსწავლეებისთვის შეთავაზებული აქვს არჩევით საგნად V და XII კლასში იტალიური ენის სწავლება. სკოლა ზრუნავს მოსწავლეებმა სწორი ნაბიჯები გადადგან პროფესიის არჩევისას და მოამზადონ ისინი შრომის ბაზრისთვის. ამისათვის სკოლას დაგეგმილი აქვს პროფესიულ სასწავლებლებთან აქტიური თანამშრომლობა. ვიზიტის პერიოდში სკოლის მიერ ხდებოდა მოლაპარაკებები კოლეჯ ,,იკაროსთან“ სკოლაში პროფესიული სასწავლო პროგრამის დანერგვის შესახებ.

## ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1** სკოლის ფილოსოფია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.1** სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2** სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3** სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.1** | ☒ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| პერსონალის მართვა | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.1**<br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება;**

| | | |
|---|---|---|
| | | აღწერა |

<table>
<tr><td rowspan="2">მოსწავლეთა რაოდენობა: 775</td><td>ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება<br>☒</td><td>(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)</td></tr>
<tr><td>ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება<br>☐</td><td></td></tr>
</table>

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:
--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
|---|---|---|

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | ............. |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი N....* | | ............. |
| | | |
| | | |

## V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

*1* გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

| სტანდარტი N1 | სკოლის ფილოსოფია | სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია |
|---|---|---|
| ინდიკატორი N.... | | .............. |
| | | |
| | | |
| სტანდარტი N3 | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | |
| ინდიკატორი N... | | ................ |
| 3.4.1 | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას; | 1.სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა 29/09/2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება N232/09 საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან, კანონიერებასა და წესრიგთან დაკავშირებული მომსახურებები (CPV75240000 ) შესახებ, რომლის თანახმადაც დაწესებულებას დაწყებული აქვს სკოლის ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მომზადების პროცესი,სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ხელშეკრულებაში დადგენილი ვადების შესაბამისად წარმოადგინოს დოკუმენტი , 500 მ2 მეტი ფართობის მქონე შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და შესაბამისი წინადადებების მომზადების შესახებ შესაბამისობის გეგმის მიხედვით გაწერილი ვადების შესაბამისად. (21/08/2024 წელი)<br>2.სკოლამ წარმოადგინა შენობის ტექნიკური მდგომარეობის (მდგრადობის) შეფასების შესახებ 25/08/1019 წლის სკოლის შენობის სტრუქტურული მგომარეობის შეფასების ანაგრიში, რომელიც შედგენილია „შ.პ.ს “ სამეცნიერო, საპროექტო- |

| | | |
|---|---|---|
| | | ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრია" -ას მიერ. ასევე წარმოადგინა მიღება ჩაბარების აქტი რომელიც ხელმოწერილია 2023 წლის 7 სექტემბერს, ხელშეკრულებაში აღნიშნულია რომ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი,საერთაშორისო საზედამხედველო კომპანია ,,ეპტისა სერვისიოს დე ინხინერია ეს.ელ და საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტრო იბარებს დამთავრებულ სამუშაოებს და თვლიან , რომ სამუშაოები შესრულებულია არსებული პროექტის ხარისხის მოთხოვნათა შესაბამისად. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია წარმოადგინოს შენობის ტექნიკური მდგრადობის შესახებ დასკვნა. |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | .............. |
| | | |
| | | |

## VI. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ* არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

| *სტანდარტი N2* | სკოლის ფილოსოფია | *რჩევა* |
| --- | --- | --- |
| *ინდიკატორი* *N 2.1.2 .2.* კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); | საზოგადოებრივი მეცნიერებები | *სასურველია,გათვალისწინებული იქნას ყველა თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი* |
| *ინდიკატორი* *N 2.1.2.4* განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; | საზოგადოებრივი მეცნიერებები | *სასურველია,განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში, საგ „ჩვენი საქართველოს“ ფარგლებში თითოეულ სამიზნე ცნებას მიენიჭება 1 ქულა.* |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი* *N 2.1.2.4* განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; | სახელმწიფო ენა | *სასურველია,დაწყებით საფეხურზე სკოლამ შეიმუშა განმავითარებელი ( (I-VI კლასების ჩათვლით) განმსაზღვრელი ( V-VI კლასების) შეფასების რუბრიკები* |
| *ინდიკატორი* *N 2.2.2.1* სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; | საზოგადოებრივი მეცნიერებები | *სასურველია_1.გათვალისწინებულ იქნას ყველა თემ ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი; 2. „ჩვენი საქართველოს“ მე-6 კლასის კურიკულუმის ჩარჩო გადაიხედოს კონტექსტ-მაგალითების რამდენიმე ველი, სად აქტივობების/დავალებების იდეებია გაწერილი.* |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N 2.2.2.3* შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; | სახელმწიფო ენა | *სასურველია,დაწყებით საფეხურზე სკოლამ შეიმუშა განმავითარებელი ( I-VI კლასების ჩათვლით) ( განმსაზღვრელი ( V-VI კლასების) შეფასების რუბრიკები* |
| *ინდიკატორი N 2.3.1.3* მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემ გადაჭრის გზას/საშუალებას. | ფიზიკური აღზრდა და სპორტი | *სამომავლოდ უმჯობესი იქნება, სკოლამ გაითვალისწინ მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნი სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგე და საჭიროებები.* |
| *ინდიკატორი N 2.3.2. 1* შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს; | სახელმწიფო ენა | *სასურველია, სკოლას ჰქონდეს განმავითარებელი ( განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები მრავალფეროვ წყაროებზე დაყრდნობით.* |
| ***სტანდარტი N2*** | **მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ***რჩევა*** |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი* $N$2.1.2.2 კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); | საზოგადოებრივი მეცნიერებები | *1. სასურველია,გათვალისწინებულ იქნას ყველა თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი (გეოგრაფია), მე-9 კლასში დასაზუსტებელია ბოლო თემის დასახელება.(გეოგრაფია)*<br>*2. მოქალაქეობის მე-9 კლასის კურიკულუმი პირველად ვერსიაში სწორი პრინციპით იყო აგებული, განახლებულ ვერსიაში სამიზნე ცნება სოციალიზაციის დასახელება საჭიროებს საზოგადოებით ჩანაცვლებას, ასევ ინიციატივა და მეწარმეობა აღარ არის მოქალაქეობის სამიზნე ცნება და საჭიროებს ამოღებას, რამდენიმე შემთხვევაში აგრეთვე არ მუშავდება ყველ სამიზნე ცნება.* |
| *ინდიკატორი* $N$2.1.2 5 დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი | საზოგადოებრივი მეცნიერებები | *სასურველია,შემაჯამებელი დავალების ანალიზში გასათვალისწინებელია გრძელვადიან მიზნებთან - სამიზნე ცნებებთან შესაბამისობა. (გეოგრაფიაში წარმოიდგენილი შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმა სტანდარტთ შესაბამისობის კუთხით გადახედვას საჭიროებს)* |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | *სასკოლო კურიკულუმი*<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *რჩევა* |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი* *N*2.2.2.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; | საზოგადოებრივი მეცნიერებები | *სასურველია, მოქალაქეობის ფარგლებში მე-7 კლასის ფარგლებში კურიკულუმით შერჩეული კომპლექსური დავალებების იდეები და მატრიცით წარმოდგენილი კომპლექსური დავალების პირობები საჭიროებს შესაბამისობაში მოყვანას.* |
| *ინდიკატორი* *N*2.3.1.3 მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრ გზას/საშუალებას. | ფიზიკური აღზრდა და სპორტი | *სამომავლოდ უმჯობესი იქნება, სკოლამ გაითვალისწინოს მონიტორინგისა შეფასების გაძლიერების მიზნით, სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები.* |

## VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

## ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

### 1. სკოლის ფილოსოფია

### 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლამ წარმოადგინა მისია,ხედვა და ღირებულებები ,რომელიც სრულ შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის მიერ მოხდა არსებული, წინა წლების მისიის გადახედვა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. მისიისა და ღირებულებების ცამოყალიბების პროცესში გათვალისწინებული იქნა სკოლის პრიორიტეტები, რის საფუძველზეც სკოლამ შეიმუშავა სკოლის მისია და ხედვა. მისიაში აქცენტი გაკეთებულია ეროვნულ ტრადიციებსა და

ღირებულებებზე. ქვეყნის ინტერესების დამცველ მოქალაქეების აღზრდაზე ,პასუხიმგებლობის, საკუთარი და სხვისი მიღწევების დაფასების უნარების განვითარებაზე. ხედვა ითვალისწინებს რა გზებით და როგორ აპირებს სკოლა მისიის მიღწევას. პროცესის დროს გამოიკითხულ იქნა სასკოლო საზოგადოება, მოხდა სიტუაციის ანალიზი, რის საფუძველზეც სკოლამ გააკეთა swot ანალიზი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სსიპ ქალაქ თბილისის N36 საჯარო სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია და მასწავლებლები აცნობიერებენ სკოლის როლს, როგორც სოციო-კულტურული სივრცე და დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კლასგარეშე, არაფორმალურ და დამატებით აქტივობებს. სკოლა გეგმავს და აწყობს გასვლით გაკვეთილებს,ექსკურსიებს, ღია კარის დღეებს, სასკოლო გარემოს გასაცნობად. სკოლა მართავს სხვადასხვა სახის აქტივობებს, რომლის მიზანია ცნობიერების გაზრდა და ინფორმირებულობა. სკოლის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა შემეცნებით გასართობი აქტივობები, როგორიცაა მხიარული სტარტები,ლიტერატურული საღამოები და სხვა. სკოლაში არაფორმალური განათლება არის გზა, რომლითაც ხდება მშობელთა და გარე საზოგადოების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. ეს კი ქმნის გარემოს მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისათვის და სკოლას სოციო-კულტურულ სივრცედ აყალიბებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს სკოლის ფილოსოფისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. სადაც გაწერილია სტრატეგიული დაგეგმვის განხორციელება თანამონაწილეობის პრინციპის დაცვით. სკოლის მისია და ხედვა შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, სკოლის დირექციას გაცნობიერებული აქვს სკოლის ფილოსოფიის მნიშნელობა, გრძელვადიან პერსპექტივაში.სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ , რომ მისიისა და ხედვის შემუშავებისას სკოლას მაქსიმალურად ყავდა ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე. სკოლის დირექტორის მ.შ მიერ გამოცემულია შესაბამისი სამართლებრივი აქტი, სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, სამუშაო ჯგუფის მიერ სკოლის ფილოსოფიის შედგენამდე კითხვარების მეშვეობით შეისწავლა სასკოლო საზოგადოების ინტერესებიხედვები და საჭიროებები, აღნიშნული კითვარების ანალიზის საფუძველზე მოხდა სკოლის ფილოსოფიის შემუშავება. პროცესში ჩართული იყო პედაგოგიური საბჭო, რომელმაც სასკოლო სასწავლო გეგმასთან ერთად დაამტკიცა სკოლის მისია ,ხედვა და ღირებულებები. წარმოდგენილ იქნა swot ანალიზი. სკოლაში გატარებული ღონისძიებები და მიმდინარე პროცესი ადასტურებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მისია,ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რაც დასტურდება სასკოლო საზოგადოების წევრებთან ზეპირი გასაუბრებით. გარდა ამისა სკოლის მიერ განხორციელებული ღონისძიებები ცხადყოფს სკოლის მისია,ხედვა და ღირებულებები სრულდაა გაზიარებული სასკოლო საზოგადოების მიერ. გაზიარებისა და რევიზირების პროცესი მიმდინარეობს სასკოლო

საზოგადოებასთან აქტიური კომუნიკაციითა და მათი უკუკავშირის გათვალსიწინებით. სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა : კითხვარები, მათი ანალიზები, swot ანალიზი, რის საფუძველზეც შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ პროცესი მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების მიერ პროცესის გაზიარებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტი (მისია,ხედვა,ღირებულებები) ატვირთულია სკოლის ვებრგვერდზე და სკოლაში სპეციალურ დაფაზე. დაწესებულებას უზრუნველყოფილი აქვს აღნიშNული დოკუმენტის საჯაროობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს: სსიპ ქალაქ თბილისის N36 საჯარო სკოლა. კერძოდ სკოლის სტატუსი განსაზღვრულია კანონმდებლობით - ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის15 სექტემბრის N448 ბრძანებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტი - მისია და ხედვა;*
- *სკოლის ფილოსოფიის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება*
- *2023-24 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია - ბრძანება*
- *პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;*

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

### 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.დაწესებულების მიერ დამტკიცებულია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია.რომელიც განსაზღვრავეს სტრატეგიული განვითრების და სამოქმედო გეგმის ძირითად ეტაპებს და პროცესში ჩართულ მხარეებს. ასევე მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია განხილვის დამტკიცების და ცვლილებების შეტანისა და გაზიარების მექანიზმები. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხი. სამუშაო ჯგუფის მიერ კითხვარების ანალიზისა და SWOT ანალიზის საფუძველზე განხორციელდა სტრატეგიული მიზნების და ამოცანების ფორმირება. რის შემდეგაც უზრუნველყოფილია

აღნიშნული დოკუმენტების სასკოლო საზოგადოებისთვის გაცნობა., განხილვა და უკუკავშირის მიღება. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა განხილული და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლას შემუშავებული აქვს 2023 – 30 სასწავლო წლის სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა,სადაც გაწერილია 7 წლის განმავლობაში მისაღწევი მიზნები. სკოლის სტრატეგიული გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან, გაწერილია გრძელვადინი მიზნები და ამოცანები, რომელიც ემსახურება მიზნების მიღწევას. სტრატეგიული გეგმის შედგენისას სკოლას გათვალისწინებული აქვს სასკოლო საზოგადოების აზრი, ინტერესები და პრიორიტეტები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სკოლის მიერ შემუავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, დირექტორის სამქართლებრივი აქტის საფუძველზე შექმნილი სამუშო ჯგუფის მიერ შედგენილია ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომლის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა უზრუვნელყოფილია სკოლის მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. დაწსებულების მიერ შემუშავებული 2023-24 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს, სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან. დასახული აქტივობები და ამოცანები ემსახურება გაწერილი მიზნების შესრულებას.ასევე დაწესებულების მიერ განსაზღვრულია სამოქმედო გეგმაში გაწერილ აქტივობებზე პასუხისმგებელი პირი, შესრულებს ვადები, ინდიკატორები და რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და ბრძანება;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- 2023-30 სასწავლო წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2023-24 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- SWOT ანალიზი;
- კითხვარები;

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია,რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის ნონიტორინგს,შეფასებას და წლიური ანაგრიშის მომზადებასთნ დაკავშირებულ საკითხებს. სტრატეგოული და საქმომქედო გეგმის მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით ხდება სკოლის საქმინობის შეფასება, რომელიც ზრდის საზოგადოების ნდობას, სკოლისადმი. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგების საფუძველზე შეგვიძლია ვტქვათ, რომ სტრატეგიის შეშრულების მონიტორინგი განხორციელდება დაკვირვების საფუძველზე, აღნიშნული მეთოდი საშუალებას მისცემს სკოლას შეაფასოს რამდენად არის მიღწეული მიზნები და იყო თუ არა ეფექტური მიზნის მისაღწევად დასახული გზები.

2. მიმდინარე პროცესში სკოლა ავტორიზაციას გადის , როგორც ახალდაფუძნებული დაწესებულება, სადაც შეუძლბელია მოცემული ინდიკატორის შეფასება. თუმცა სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუ იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლა მზადაა არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად მომავალში განახორციელოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება. ამისათვის სკოლას შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული ყავს სტრატეგიულ /სამოქმედო გეგმის შესრულების

მონიტორინგზე და შეფასებაზე პასუხისმგებელი პირები (სამუშაო ჯგუფი).მონიტორინგისთვის სკოლას გადადგმული აქვს რამდენიმე ქმედითი ნაბიჯი, კერძოდ აქვს ანგარიშების წარდგენის მეთოდი ,რომლის მიხედვითაც ყოველი სემესტრისა და წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხიმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს. ხოლო 3 წლის და 7 წლის შემდეგ მოხდება სტრატეგიული გეგმის შესრულების შუალდური და შემდეგ საბოლოო განხილვა. რის საფუძველზეც გაკეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედგების ანალიზი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. დაწესებულებას სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრული აქვს სტარეტიგილი და სამოქმედო გეგმის ანგარიშები საჯაროობის მიზნით წარედგინოს სასკოლო საზოგადოებას და განთავსდეს ვებ- გვერდზე. სოცილაუირ ქსელში /ელექტრონული ფოსტით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.სკოლის მიერ განსაზღვრულია, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს შედგეს SWOT ანალიზი,რომელიც საშუალებას მისცემს სკოლის დირექციას განსაზღვროს სკოლის შესაძლებლობები და მომავალი განვითარების პერსპექტივა. SWOT ანალიზის საფუძველზე დაიგეგმება მომავალი სასწავლო წელი,ხოლო ერთწლიანი სამოქედო გეგმის შესრულების ანგარიში გამოიყენება სკოლის სამომავლო განვითარებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია ;*
- *ბრანება, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახე;*
- *სამოქმედო გეგმა*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**

**3.1. პერსონალის მართვა**

**3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას**

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის სტრუქტურა შედგება დირექციის , ადმინისტრაციის, ტექნიკური და სხვა პერსონალის,ასევე მასწავლებლებისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისგან და კოლეგიალური სტრუქტურული ერთეულებისგან. სკოლაში ფუნქციონირებს სულ დასაქმებული პირების ფუნქციები და მოვალეობები მკაფიოდაა განსაზღვრული სკოლის მიერ დამტკიცებულ თანამდებობრივ ინსტუქციებში და გაფორმებულ ხელშეკრულებებში. შინაგანწესში განსაზღვრულია უფლება მოვალეობები და ფუნქციები. თანამდებობრივი ინსტრუქციებს თანამშრომლებს აცნობს დირექტორის მოადგილე და ასევე გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე. მასწავლებლებთან სტატუსის მიხედვით გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები. სკოლაში ფუნქციონირებს 6 საგნობრივი კათედრა,რომლებიც ხელმზღვანელობენ კათედრის დებულების შესაბამისად. ინკლუზიური განათლებაში ჩართული სპეციალისტების უფლება მოვალეობები გაწერილია მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებებში.სკოლის ექიმი ხელმძღვანელობს ხელშეკრულებაში ჩადბული ფუნქცია მოვალეობებისა და ასევე სკოლების სამედიცინო პესონალისსაქმიანობის სტანდარტისა და სამედიცინომომსახურების სივრცის ფუნქციონირების წესით, ასევე სკოლის მიერ შემუშავებული თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად. სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი და მრჩეველთა საბჭო.

სკოლაში არსებული სტრუქტურული კოლეგიალური ერთეულები ხელმძღვანელობენ კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლას ჰყავს თვითმართველობა, რომელსაც ირჩევს ერთი წლის ვადით და სსიპ საგანამანთლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ სკოლაში წარმოგზავნილი მანდატურები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლაში საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვას. მათი საქმიანობა რეგულირდება მანდატურის ეთიკის კოდექსით. ანგარიშვალდებულებები ნათლადაა გაწერილი სკოლის მიერ დამტკიცებულ სტრუქტურული ერტეულების დებულებაში და სტრუქტურის ამსახველ გრაფიკულ სქემაში, რომელიც გამოქვეყნებულია სკოლის ვებ გვერდზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლაში გადანაწილებულია, პასუხისმგებლობები და ფუნქციები,რაც ხელს უწყობს საგანამანთლებლო საქმიანობის განხორციელებას. ფუნქციები გადანაწილებულია თითოეული თანამშრომლის ციდნის უნარებისა და კვალიფიკაციის მიხედვით.სკოლაში დემოკრატიული კულტურის ხელშეწყობის მიზნით უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, კურიკულუმების შემუშავების პროცესში. სასკოლო სასწავლო გეგმის შეგდენისას აქტიურადაა ცართული საგნობრივი კათედრები, როგორიცაა სასწავლო რესურსები, საათობრივი ბადე სხვა. საგნობრივი კათედრები კოორდინირებულად გეგმავენ აქტივობებს, მათ შორის ინტეგრირებულ გაკვეთილებს და პროექტებს. სასკოლო სსაზოგადოების აქტიური ჩართულობა საბოლოო ჯამში იძლევა დადებიტ შედეგებს და აისახება სკოლის მიერ წარმატებით განხორციელებულ სხვადასხვა ღონისძიებებში,სკოლას განხორციელებული აქვს აქვს არაერთი წარმატებული პროექტი და კონფერენცია.

სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს სკოლის საგანმანათლებლო, ფინანსური და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შესახებ. დირექტორის მოადგილე ადგენს პედაგოგთა პროფესიულ საჭიროებებს და ამის შესაბამისად გეგმავს მათი განვითარებისთვის საჭირო სამუშაო შეხვედრებს, უზრუნველყოფს მათ გეგმაზომიერად განხორციელებას, ზედამხედველობას უწევს კათედრების მუშაობას.

სკოლის თანამშრომლებისა და სტრუქტურული ერთეულების მიერ საქმიანობის განხორციელების ხარისხის უზრუნველსაყოფად სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც ხელს უწყობს სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესრულებას. სკოლის შიდახარისხის მართვის სისტემა ეფუძნება მიდგომას: დაგეგმე ,განახორციელე,შეამოწმე, განავითარე. **ინდიკატორია დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის სტრუქტურა;
- კათედრის დებულება;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- სტრატეგიული გეგმა;
- ერთწლიანო სამოქედო გეგმა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- პროფესიული მხარდამჭერიმჯგუფის დებულება;

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნებს და სტრატეგიას, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანებს, ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარებას, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვას.

სკოლას პერსონალის მართვის წესები და პირობები ასევე წარმოდგენილი აქვს შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

შინაგანაწესით განსაზღვრულია: ა) სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, ცვლაში მუშაობისას - ცვლის ხანგრძლივობა; ბ) დასვენების ხანგრძლივობა; გ) შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი; დ) ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ე) ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ვ) შრომის პირობების დაცვის წესები; ზ) წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი; თ) მატერიალური პასუხისმგებლობა; ი) განცხადების/საჩივრის განხილვის წესი; კ) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები; ლ) სკოლაში ჩაცმულობის წესი .

სკოლის პერსონალთან გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისი ხელშეკრულებები, პერსონალთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ხელშეკრულების ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს. „სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმისა და მისი წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ფორმა,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების ბრძანება N01-15/ნ შესბამისად, სკოლა აწარმოებს სამუშაო დროის აღწერის ფორმას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა ზრუნავს როგორც არსებული კადრების შენარჩუნებასა და მათ განვითარებაზე, არამედ საჭიროებისამებრ ახალი კვალიფიციური კადრების მოზიდვაზე. მასწავლებლისა და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეცილისტისთვის შესარჩევად სკოლა აცხადებს ვაკანსიას კანონმდებლობით დადგენილი წესით და კონკურსის პირობების შესაბამისად არჩევს საჭირო კვალიფიციურ კადრს. 2023 წლის 14 მარტს სკოლასა და კავკასიის უნივერსიტეტს შორის გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის თანახმადაც სკოლა მიირებს სტაჟიორებს და გაუწევს ადმინისტრირებას მათ პრაქტიკის პერიოდში. აღნიშნული ნაბიჯი საშუალებას მისცემს სკოლას შეაფასოს მომავალი სტაჟიორები და მოიზიდოს კვალიფიციური კადრები.

დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომლის მიზანია:

ა) სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება. ბ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში ხარისხის ჯგუფის ფუნქციებისა და საქმიანობის განხორციელების პროცედურების განსაზღვრა; გ) მასწავლებელთა შიდა შეფასება. კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან; დ) მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა.

ხარისხის ჯგუფს ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორის მოადგილე.იგი ესწრება გაკვეთილებს, ზრუნავს მასწავლებელთა პროფესიონალიზმის ამაღლებაზე, ადგენს პედაგოგთა პროფესიულ საჭიროებებს და ამის შესაბამისად გეგმავს მათი განვითარებისთვის საჭირო სამუშაო შეხვედრებს.

ჯგუფის წევრები ეხმარებიან კოლეგებს პროფესიული საჭიროებების განსაზღვრაში, პროფესიული განვითარების აქტივობების შემუშვებასა და განხორციელებაში. სკოლას წარმოდგენილი აქვს კათედრის პორტფოლიოები, სადაც არის გაკვეთილებზე დასწრების მასალები შესაბამისი უკუკავშირებით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული აქვს ადამინური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის ერთე-ერთი ამოცანაა მაღალ კვლიფიციური კადრების მოზიდვა. კადრების შერჩევის მიზნით შეხვედრების ორგანიზება და მართვა. სკოლის პერსონალის შერჩევა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის და სკოლის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად. სკოლის შინაგანაწესში დეტალურად არის გაწერილი დაწესებულებაში თანამშრომელთა მიღების წესი. სკოლას ბოლო კნკურის გამოცხადებული აქვს ხელოვნების მასწავლებლის შესარჩევად, აღნიშნული ვაკანსია გამოქვეყნებულია teacherjobs.ge სადაც განთავსებულია მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები,გამოცემულია შესაბამისი სამართლებრივი აქტი კონკურსის ჩატარების წესის, საკონკურსო კომისიისა და კონკურსის ვადების ჩატარების შესახებ. სკოლას შექმნილი აქვს შესაბამისი გარემო კადრების შერჩევა მოხდეს ობიექტურად გამჭვირვალობისა და კოლეგიალურობასა და კორექტულობის პრინციპის დაცვას. **ინდიკატორია დაკმაყოფილებულია**

4. სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები. როგორც გაირკვა, სკოლაში დასაქმებული პირები აკმაყოფილებენ დაკავებულ თანამდებობებს. სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემიდან პორტირებული მონაცემების საფუძველზე დადასტურდა, რომ სკოლაში ვიზიტის პერიოდში დასაქმებული იყო სულ 45 ადამინი, რომელთაგან 30 მასწავლებელია. სკოლას ყავს 25 უფროსი, 3 წამყვანი, 2 უსტატუსო

მასწავლებელი. ორი სპეციალური მასწავლებელი, ბიბლიოთეკარი ორი დამლაგებელი, ორი დარაჯი. მასწავლებლებთან ხელშეკრულებები დადებულია სტატუსის შესაბამისად, რომელიც მოიცავს ყველა სავალდებულო პუნქტს. მასწავლებლების კვალიფაკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. თანამშრომელთა პირადი საქმეების გადახედვისას დადგინდა, სკოლის ექიმის კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინსიტრის N41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სკოლას ვიზიტის პერიოდში ეცნობა აღნიშნულის შესახებ. სკოლას ექსპერთა ვიზიტის პერიოდში არ ყავდა 2022 წლის 21 მარტის N41/ნ01/-23/ნ ბრძანების შესაბამისად აყვანილი ექიმი. ხელშეკრულება გაფორმებული იყო ექიმის კვალიფიკაციის მქონე პირთან, რომელსაც აქვს ექიმი ეპიდემიოლოგის დიპლომი და სერტიფიკატი -შინაგანი დაავდებები, მკურნალი ექიმი. სკოლის დირექტორის განმარტებით ექიმი სკოლაში მუშაობს 2020 წლიდან. სკოლამ ჩვენი ვიზიტის პერიოდში გამოაცხადა ღია კონკურსი ექიმის შტატის შესავსებად.

სკოლამ ექსპეტების ვიზტის, პერიოდში გამოცხადა ექიმის ვაკანსია , კონკურსის პირობების გათვალისწინებით.

**სკოლამ არგუმენტირებული პოზიციისა და შეაბმისობის გეგმის წარმოდგენისას წარმოადგინა ექიმის ვაკანტური ადგილის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგები და შესაბამისი დოკუმენტაცია , რომლის მიხედვითაც სკოლას ამჟამად აყვანილი ყავს N41/ნ01-23/ნ ბრძანების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი**

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სკოლის განმარტებით, სკოლაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი არის ობიექტური, მიუკერძოებელი და გამჭვირვალე. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას ადასტურებს სკოლაში მოქმედი კოლეგიური ორგანოს პედაგოგიური საბჭოს და კათედრების მუშაობა. კათედრის დებულებით განსაზღვრულია კათედრის ფუნქციები, მათ შორის არის კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. კათედრების მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს. აქტიურია კათედრებს შორის თანამშრომლობა, რასაც მოწმობს ჩატარებული ინტეგრირებული გაკვეთილები და განხორციელებული პროექტები.კათედრის წევრები და ხარისხის განვითარების ჯგუფი ესწრება მასწავლებლებს გაკვეთილებზე, აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს. მასწავლებლები ესწრებიან სამუშაო შეხედრებზე , უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. სკოლაში შექმნილია ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობითი გარემო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის ერთ-ერთი ამოცანაა დასაქმებულთა მოტივაციის ამაღლების მიზნით წახალისების სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.სკოლა ზრუნავს თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდაზე მათი მიღწევების წახალისების გზით, რაც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში გაწერილია სკოლის შინაგანაწესში (მე-10 მუხლი). სკოლა პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების შემდეგი ფორმებს ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *ადამინური რესურსების მართვის პოლიტიკა;*
- *თანამდებობრივი ინსტრუქციები;*
- *სკოლის შნაგანა წესი;*
- *შრომითი ხელშეკრულება;*
- *მასწავლებლის კნკურსის მასალები*
- *კავკასიის უნივერსიტეთთან დადებული მემორანდუმი;*
- *საპროგნოზო ბიუჯეტი;*
- *თანამშრომელთა პირადი საქმეები;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.დაწესებულების მიერ დამტკიცებული ადამინური მართვის პოლიტიკაში გაწერილია საქმინობის შეფასების მექანიზმი,რომელიც გამჭვირვალეა და ითვალისწინებს პროფესიული განვითარების მიზნით სკოლაში თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზებას. სკოლა თანამშრომელთა საჭიროების გამოვლენას ახორციელებს ანალიზის საფუძველზე რომელშიც ეხმარება შემდეგი სახის კითხვები:

- რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ თანამშროლებს?
- რა შესაძლებლობები და საფრთხეები არსებობს რომლებმაც შესაძლოა გავლნა მოახდინოს თანამშრომელთა საქმიანობაზე.

  სკოლა საქმინობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების მექანიზმად იყენებს გაკვეთილებზე დასწრებას, პრობლემების იდენტიფიცირებას, რჩევების მიცემას და განმავითარებელ უკუკავშირს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების მიზანია: ა) სკოლის მასწავლებლების პროფესიული

საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება. ბ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში ხარისხის ჯგუფის ფუნქციებისა და საქმიანობის განხორციელების პროცედურების განსაზღვრა; გ) მასწავლებელთა შიდა შეფასება. კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან; დ) მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი  კათედრის პორტფოლიოებით, სადაც არის გაკვეთილებზე დასწრების მასალები შესაბამისი უკუკავშირებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა ხელს უწყობს სკოლაში დასაქმებული პირების კარიერულ ზრდას. გაიარონ ტრენინგები და აიმაღლონ კვალიფიკაცია და სტატუსი. მასწავლებლის კარიერულ წინსვლას არეგულირებს “მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა”.დირექცია უზრუნველყოფს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებული საგნობრივი ტრენინგების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და მონაწილეობის ხელშეწყობას. პერსონალთა პირად საქმეში წარმოდგენილია  სერტიფიკატები. სკოლაში მუშაობს „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს თანამშრომლების  მიღებისას ადამპტაციის წესი, განსაზღვრული ჰყავს პროცესზე პასუხიმგებელი პირები. სკოლაში ახალმიღებულ კადრს ადაპტაციაში ეხმარება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის კათედრა, ხელს უწყობს გაეცნოს სკოლაში დამკვიდრებულ წესებს  და ტრადიციებს. სკოლის საინფორმაციო მენეჯერი ეხმარება ახალ კადრს eflow- ს და eschool-ის ბაზებში პროფილის გახსნაში. უხსნის მას აღნიშNული სისტემების შესაძლებლობებს, გამოყენებას და მოხმარების ინსტრუქციებს.სკოლაში ყველა თანამშრომელს თანაბარი შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს სკოლის რესურსით. სკოლა ყველანაირად ცდილობს, რომ სკოლაში შექმნას გახსნილი თანამშრომლობაზე აგებული გარემო  და ამ გარემოში ადვილად მოხდეს მასწავლებელთა ინტეგრაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. ყველა  ინიციატივა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს სკოლის პერსონალს განვითარდეს, წახალისებულია სკოლის მიერ. წახალისების ფორმები გაწერილია შინაგანაწესში. სკოლა პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ იყენებს

წახალისების შემდეგი ფორმებს ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მექანიზმები. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევით, დაკვირვების შედეგად ან ზეპირსიტყვიერად პერსონალის მხრიდან. ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში გაწერილია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირების და წახლისების მექანიზმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების შექმნის ბრძანება
- შინაგანაწესი;
- დამრიგებლის პორტფოლიო;
- ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი;
- ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესის მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სწავლა/სწავლების, სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვას და ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. დოკუმენტის შექმნის მიზანია სწავლების ხარისხის მონიტორინგი და მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა. სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სკოლა მუდმივად ახორციელებს სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების,

ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს უწყვეტ ციკლს, რომელიც გულისხმობს: დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას, რეკომენდაციების შემუშავებას, ინტერვენციას და მის შედეგებზე დაკვირვებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის სხვადასხვა დოკუმენტებში: შინაგანაწესში, შრომით ხელშეკრულებებში და ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში.სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი პროცესი, კურიკულუმის შემუშავება, მეთოდოლოგიურად აღწერილია კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების/მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლის მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების ასევე საჩივრების განხილვის სიტემა. მშობლებს, მოსწავლეებსა და სკოლის ყველა თანამშრომლებს უფლება აქვთ თავიანთი უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად გაასაჩივრონ მასწავლებლის,სკოლისა და საგანმანათლებლო მანდატურის სამსახურის უკანონო და სხვა არამართლთზომიერი გადაწყვეტილება. სკოლას დამტკიცებული აქვს განაცხადისა და საჩივრის განხილვის წესი. დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლაში წარდგენილი განცხადების/საჩივრის დარეგისტრირების, განხილვისა და შედეგის დადგენის პროცედურებს. განცხადების/საჩივრის შემოტანა შეუძლია მოსწავლეს, მშობელს, სკოლაში დასაქმებულ პერსონალს ან/და სხვა დაინტერესებულ პირს. დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი პროცესის საფეხურები და წარმოების ვადები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ყველა თანამშრომელი მოსწავლე და მშობელი / კანონიერი წარმოამდგენელი სარგებლობენ თანაბარი უფლებებით,დისკრიმინაციის გარეშე. დისციპლინარული კომიტეტი განიხილავს სკოლაში არსებულ გადაცდომებს.სკოლამ წარმოადგინა სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლითაც რეგულირებულია სკოლისა და მშობლის ურთიერთვალდებულებები. პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმები აღწერილია შინაგანაწესის რამდენიმე მუხლში. დაწესებულებას შედგენილი და ბრძანებით დამტკიცებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება, სადაც დეტალურად არის გაწერილი მხარეთა (მშობელი, სკოლა) უფლება მოვალეობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი
- სკოლის ბაზაზე საჩივრის განხილვის მექანიზმები
- შინაგანაწესი
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- ბრძანება მშობლებთან ურთიერთობის დებულების დამტკიცების შესახებ
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლთან გაფორმებული ხელშეკრულება
- ზეპირი ინტერვიუ
- მშობელთა კომიტეტის დებულება

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1სკოლაში შედგენილი მართვის პროცესებთან დაკავშირებული გარკვეული დოკუმენტები საჯაროა და მათი გაცნობის ვალდებულება სკოლის ყველა თანამშრომელს და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს აქვთ. მათ შორისაა, სკოლის შინაგანაწესი, რაც დასტურდება მშობელთა კრების ოქმით. მშობელთან ურთიერთობის დებულების შესაბამისად სკოლა ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია

მშობელს/წარმომადგენელს მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ, დებულება ითვალისწინებს მშობელთან ინდივიდუალური შეხვედრის, ელექტრონული ფოსტის, სატელეფონო ზარის ან წერილობითი შეტყობინების გაგზავნას. მშობლებს შეუძლიათ დამრიგებელთან შეთანხმებით ჩანიშნონ შეხვედრა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე სასაუბროდ. სადამრიგებლო პროგრამაში გაწერილია დამრიგებლის მოვალეობები. მისი მოვალეობაა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გააცნოს მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვა). ასევე რეგულარულად მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევების, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ.

საჭიროების შემთხვევაში შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია. გამოკვეთილი საჭიროებიდან გამომდინარე სკოლა გეგმავს საჭირო ღონისძიებებს. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საიფორმაციო დაფა, საიდანაც სასკოლო საზოგადოება ეცნობა სიახლეებს. სკოლას ამავე მიზნით აქვს სოციალური ქსელი და ვებგვერდი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობას. როგორც ცნობილია, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში მშობლები და პედაგოგები თანაბარი ხმის უფლებით სარგებლობენ. მოსწავლეთა თვითმმართველობასაც ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში. სკოლაში მრჩეველთა საბჭოც ფუნქციონირებს, სადაც სკოლის წარმომადგენლებთან ერთად მანდატურის სამსახურის თანამშრომლები და რესურსცენტრის მიერ განსაზღვული პირები მონაწილეობენ გარკვეული საკითხების განხილვაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *მშობელთა კრების ოქმი;*
- *დამრიგებლის მუშაობის წესი;*
- *თვითმართველობის ოქმი;*
- *მშობელთა კომიტეტის დებულება;*
- *მრჩეველთა საბჭოს ოქმები;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. .სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური.შენობაში დამონტაჟებულია ვიდეო-სათვალთვალო კამერა. სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფს 2 დარაჯი. დარაჯი ვალდებულია დღის მანძილზე გააკონტროლოს მოსწავლეთა შენობაში შესვლისა და შენობის დატოვების პროცესი. სასწავლო პროცესის დროს უცხო პირების გადაადგილება დაუშვებელია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. ორივე სართულზე, კედელზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმა, რომელიც შეესაბამება შენობის აზომვით ნახაზს და მასზე მითითებულია საევაკუაციო გასასვლელი. ყველა სართულზე განთავსებულია სახანძრო სტენდი.ექსპერთა ვიზტის პერიოდში სკოლამ ვერ წარმოადგინა სკოლის ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა. სკოლამ წარმოადგინა შსს სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურისთვის მიწერილი წერილი, სადაც ითხოვს სკოლის ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.

**არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის გემის წარმოდგენისას, დაწესებულება წამოადგინა 29/09/2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება N232/09 საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან, კანონიერებასა და წესრიგთან დაკავშირებული მომსახურებები (CPV75240000 ) შესახებ, რომლის თანახმადაც დაწესებულებას დაწყებული აქვს სკოლის ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მომზადების პროცესი,სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ხელშეკრულებაში დადგენილი ვადების შესაბამისად წარმოადგინოს დოკუმენტი , 500 მ2 მეტი ფართობის მქონე შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და შესაბამისი წინადადებების მომზადების შესახებ შესაბამისობის გეგმის მიხედვით გაწერილი ვადების შესაბამისად. (21/08/2024 წელი)** სკოლამ წარმოადგინა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე-5 მუხლის შესაბამისად შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა.

სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით. სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტები ინახება დაცულ კარადაში შესაბამის პირობებში და მასთან წვდომა აქვს მხოლოდ ექიმს. ექიმი აწარმოებს სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტების ჟურნალს. სამედიცინო ტახტი ხელოვნური ბარიერის საშუალებით არ არის გამოყოფილი. დაწესებულებას,ექსპერტების მიერ მიეცა რჩევა სამედიცინო კაბინეტში ,სამედიცინო ტახტი გამოყოს ხელოვნური ბარიერით. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, რომელიც არეგულირებს სკოლის შენობაში პირველადი დახმარების გაწევის წესსა და პროცედურებს, განსაზღვრავს პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითად ელემენტებს და განსახორციელებელ ქმედებებს.

სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობის დაცვით შექმნილი უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო. სკოლა მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აწვდის სსიპ -„112“ -ის ცხელი ხაზის ნომრის და აღნიშნული უწყების ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციას. აღნიშნული გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე.

ავტორიზაციის პერიოდში ექსპერთა ვიზიტისას სკოლამ ვერ წარმოადგინა შენობის ტექნიკური მდგომარეობის (მდგრადობის) შეფასების შესახებ დასკვნა, დაწესებულებამ ექსპერტებს წარმოგვიდგინა წერილი, რომლშიდაც სკოლის დირექტორი მიმართავს მიმართავს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, შესბამისი დასკვნის მომზადების შესახებ

**არგუმენტირებული პოზიციის და შესაბამისობის გეგმის წარმოდგენისას, სკოლამ წარმოადგინა შენობის ტექნიკური მდგომარეობის (მდგრადობის) შეფასების შესახებ 25/08/1019 წლის სკოლის შენობის სტრუქტურული მგომარეობის შეფასების ანგარიში, რომელიც შედგენილია „შ.პ.ს “ სამეცნიერო, საპროექტო-ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრია” -ას მიერ. ასევე წარმოადგინა მიღება ჩაბარების აქტი რომელიც ხელმოწერილია 2023 წლის 7 სექტემბერს, ხელშეკრულებაში აღნიშნულია რომ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი,საერთაშორისო საზედამხედველო კომპანია ,,ეპტისა სერვისიოს დე ინხინერია ეს.ელ და საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტრო იბარებს დამთავრებულ სამუშაოებს და თვლიან , რომ სამუშაოები შესრულებულია არსებული პროექტის ხარისხის მოთხოვნათა შესაბამისად. დაწსებულებას მიეცა რეკომენდაცია წარმოადგინოს აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრის შესახებ გაფორმებული შესაბამისი ოქმი / შენობის ტექნიკური მდგრადობის შესახებ დასკვნა.**

**ინდიკატორი მეტწილადაა დაკმაყოფილებული.**

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას 2019 წლის 29 იანვრის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ №06/ნ ბრძანების საფუძველზე. სკოლაში დასაქმებულია ორი დარაჯი და მანდატურები.სკოლაში მოქმედებს საშვთა სისტემა,შინაგანა წესით განსაზღვრული მშობლების ვიზტის პერიოდი, გამონაკლისის შემტხვევაში სკოლაში უცხო პირი დაიშვება დირექტორთან შეთანხმებით. ვიზიტორთა მონაცემებირეგისტრაციაში ტარდება დარაჯის მიერ სარეგისტრაციო ჟურნალში. სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტაცია (მათ შორის, შინაგანაწესი) თავისი შინაარსით, მოიცავს წესრიგის დაცვის გაწერილ მექანიზმებს, რომლებიც საჯაროა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლაში დადგენილია მორიგეობის გრაფიკი ,რომლის საფუძველზე

მასწავლებლები დასვენების დროს აკონტროლებენ წესრიგს და მოსწავლეთა უსაფრთხოებას. სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება სკოლის ტერიტორიაზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3..სკოლა ახდენს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას ძალადობის ფორმებთან დაკავშირებით და იმის შესახებ თუ როგორ უნდა დაიცვან თავი ძალადობის გამოვლენის შემთხვევაში. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია სახალხო დამცველის, 112-ის უსაფრთხოებაზე პასუხიმგებელი პირის და მანდატურის სამსახურის და ფსიქო სოციალური სამსახურის ტელეფონის ნომერები, რომლებსაც საჭიროებისამებრ შეუძლია მიმართოს მოსწავლეებმა, მშობლებმა და თანამშრომლებმა. სკოლის სადამრიგებლო პროგრამით წარმოდგენილია კლასის საათის თემები, რომლებიც მიმართულია ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე. ემოციურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს მიზნით სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები.სკოლა სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ორჯერ აწარმოებს მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო საინფორმაციო კამპანიას, ძალადობის,ოჯახში ძალადობის და დისკრიმინაციის შესახებ, ბულინგისა და კიბერბულინგის შესახებ.ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის შესახებ და სხვა. სკოლას დამტკიცებული აქვს ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით შიდა ინსტრუქცია, განსაზღვრულია მოსწოვლის რეფერირებაზე პასუხიმგებელი პირი, მანდატური, რომელიც ავსებს სპეციალურ ფორმას და ინფორმაციას აწვდის დირექტორს, დირექტორი კი ინფორმაციას აწვდის სოციალური სამსახურს და საჭიროების შემტხვევაში პოლიციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სანიტარული ნორმების დაცვას უზრუნველყოფს 2 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას.სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე ოთახი. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ ოთახში.თითოეულ სართულზე არის სველი წერტილები ცალკე გოგონებისთვის და ბიჭებისთვის სკოლას აქვს ადაპტირებული სველი წერტილი. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით.საჭირო რესურსით აღჭურვას უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები და უზრუნველყოს

დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. სკოლის მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. (საქმისმწარმოებელი).სკოლასა და მშობელს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულება მოიცავს რეგულაციებს მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. პერსონალურ მონაცემთა დაცვა განპირობებულია სკოლაში მოქმედი ელექტრონული სისტემების მეშვეობით, მაგალითად ელექტრონული ჟურნალი.

ჟურნალის მეშვეობით მუშავდება მოსწავლეთა მონაცემები, კერძოდ: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, შეფასება, დასწრება, საგნის ჯგუფები და განრიგი. ელექტრონული ჟურნალი არის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციოს სიტემის ორგანიზებით შექმნილი პლატფორმა, სადაც ელექტრონულად აღირიცხება მოსწავლეთა დასწრებები და შეფასებები. სწავლების პროცესში, ელექტრონულ ჟურნალში დამუშავებულ მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე, ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ: სკოლის დირექტორს, მოადგილეს, დამრიგებელს, საგნის მასწავლებლებს , საქმისმწარმოებელს და საინფორმაციო მენეჯერს. მანდატურის სამსახური მთლიანად უზრუნველყოფს მონაცემების დაცვას ვიდეო თვალთვალის განხორციელებისას სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლა თანამშრომლობს საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურთან;

ვიდეომონიტორინგის შედეგად მიღებული ჩანაწერები 30 დღის განმავლობაში ინახება სათანადოდ დაცულ ადგილზე საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურთან და ჩანაწერის მიღება დასაბუთებული მოთხოვნით შეუძლია სკოლის დირექციას, დისციპლინურ კომიტეტს, მრჩეველთა საბჭოს. ასევე, სამართალდამცავ ორგანოებს – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. კანონიერ წარმომადგენელს საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია ადგილზე გაეცნოს სხვისი პერსონალური მონაცემების დაცვით.

ასევე ხდება მონაცემების დაცვა მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმის წარმოებისას. პირადი საქმეები ინახება სკოლაში დაცულ ადგილას. პირადი საქმის შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საქმისმწარმოებელი. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირად საქმეებზე წვდომის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს: სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებელს, დირექტორის მოადგილეს და შესაბამისი კლასის დამრიგებელს (მხოლოდ მისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა პირად საქმეებზე).

დაწესებულებას აქვს შემუშავებული წესი, რომელიც განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესს და მონიტორინგის მექანიზმებს, შესაბამისად, პროცესები ორგანიზებულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლა აღნიშნული მიზნით აქტიურად იყენებს მრჩეველთა საბჭოს. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით . მრჩეველთა საბჭოს სხდომებს სკოლა იყენებს იმ ღონისძიებათა (მათ შორის პრევენციული) დასაგეგმად, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, რაც დასტურდება მრჩეველთა საბჭოს ოქმებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სადამრიგებლო პროგრამა;
- ბრძანება საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ
- ბრძანება მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმებისდამტკიცების შესახებ
- ბრძანება დარაჯის დანიშვნის შესახებ
- სოციალური ქსელი
- სკოლის ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ წერილი.
- მჩეველთა საბჭოს ოქმი
- სკოლის შინაგანაწესი
- მშბელთან გაფორმებული ხელშეკრულება
- ვიზუალური დათვალიერება;

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   *ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.სკოლას სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან უსასყიდლოდ გადაცემული აქვს 2939კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 4111.15 კვ.მ შენობა- ნაგებობა. ამ ეტაპისთვის E-school-ის მონაცემებით სკოლაში სწავლობს **389 მოსწავლე.** სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ერთ ცვლაში. სკოლის შენობა 4 სართულიანია. სკოლის შენობაში განთავსებულია დირექტორის კაბინეტი, კანცელარია, სამასწავლებლო, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა,კვების ბლოკი რესურს ოთახი სამედიცინო კაბინეტი, მანდატურის ოთახი,სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი,საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, დარაჯის ოტახი და 21 საკლასო ოთახი, როემლიც აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის და საფეხურის შესაბამისი მერხებით,სკამებით,სკოლას მოთხოვნილი აქვს დამატებით 585 მერხი. მასწავლებლის მაგიდა,საკმით და დაფით. ყველა საკლასო ოთახში არის ბუნებრივი განათების საშუალება. სკოლას აქვს შიდა ეზო, სადაც განთავსებულია სპორტული მოედანი. სააქტო დარბაზი აღჭურვილია სკამებით და პროექტორით, სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აჭურვილია კომპიუტერებით სულ 20 კომპიუტერი. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად სკოლაში არის არის 43 პორტატული კომპიუტერი და 5 ლეპტოპი. ასევე სკოლას აქვს პრინტერები, 3 პროექტორი და პროექტორის ეკრანი. სპორტული ინვენტარი, ორი პიანინო, დინამიკები, ციფრული მოწყობილობები, (ფოტოაპარატი და ვიდეოკამერა)რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ღონისძიებების დროს.
სკოლას აქვს შესაბამის არჭურვილობის მქონე საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები.
ბიბლიოთეკაში არსებობს, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები ასევე მცირე რაოდენობით მხატვრული და დამხმარე ლიტერატურა, რომელიც საჭიროებს გამრავალფეროვნებას. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლის შენობა არის ახალი რებილიტირებული ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა სკოლის ინფრასტრუქტური განვითარება. სკოლაში არის ცენტრალური გათბობის სიტემა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
2.სკოლაში არსებული საერთო სივრცეები და მატერიალური რესურსი სრულადაა ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების მიერ. დაწესებულებას შემუშავებული აქვს მატრეიალური რესურსებით სარგებლობის წესი.სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით სარგებლობის წესების შესახებ.სასკოლო საზოგადოებას შეუძლუდავად შეუძლიათ ისარგებლონ სკოლის ბიბლიოთეკით. რესუსრს ოთახი სრულდაა აღჭურვილი სსსმ მოსწავლისათვის საჭირო ინვენტარით და საგანმანათლებლო რესურსებით.

3. სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეებისათვის. კერძოდ, სკოლის შესასვლელში არის პანდუსი, ხოლო შენობაში გადაადგილებისთვის არის ლიფტი. სკოლის ყველა სართულზე არის ადაპტირებული სველი წერტილი გოგნებისთვის და ბიჭებისთვის. სკოლას აქვს რესურსოთახი, რომელიც განკუთვნილია ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამით არსებული ინტეგრირებული კლასისთვის.სკოლის შიდა სივრცეში მოწყობილია სპეციალური ბილიკები მცირედ მხედველი მოსწავლეებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლა არაფორმალური განათლების მიმართულებით მრავალ აქტივობას სთავაზობს მოსწავლეებს და ამისთვის იყენებს სკოლის სააქტო დარბაზს, სპორტულ დარბაზს, სკოლის ეზოს, საკლასო ოთახებს და კაბინეტებს. მათი ნაწილი ინიცირებულია უშუალოდ მოსწავლეთა ჩართულობით. ამ გზით, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი კომუნიკაციის უნარების განვითარებას და ამავდროულად, თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკულ გამოცდილებას სძენს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5.სკოლას გააჩნია რესურსები სასწავლო პრცესის განსახორციელებლად, ბიბლიოთეკაში არის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელობი და საკითხავი ლიტერატურა, ასევე პლაკატები რუკები და სხვა სასწავლო რესურსები, მათ შორის ელექტრონულიც. იქედან გამომდინარე რომ სკოლა ახალი რეაბილიტირებულია, სკოლის ბიბლიოთეკის სრული აღჭურვა ვიზიტის პერიოდშიც მიმდინარეობდა. **სკოლის წარმოამდგენლებს მიეცათ რჩევა რომ წიგნადი ფონდი გაამდიდრონ საკითხავი ლიტერატურით.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *ამონაწერი საჯარო რესტრიდან;*
- *საინვენტარო აღწერილობის აქტები;*
- *ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;*
- *მშბლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები*
- *მატერიალური რესურსებიტ სარგებლობის წესი;*
- *ბიბლიოთეკის დებულება;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს,რომელიც საშუალებას აძლევს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ჰქონდეთ ინფორმაცია მოსწავლეების გაცდენა/დასწრების, ნიშნების, კომენტარების, დავალებების, საბოლოო საშუალო ქულების, რეიტინგების, ნიშნების ფურცლისა და სხვა ტიპის რეპორტების შესახებ. სკოლას აქვს 44 კომპიუტერი 38 პერსონალური და 6 პორტატული კომპიუტერი 2 პროექტორი და 10 პრინტერი.  კომპიუტერულ ლაბორატორიაში ტარდება კომპიუტერული ტექნოლოგიის გაკვეთილები.სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია

უზრუნველყოფილია შესაბამისი საჭირო კომპიუტერული ტექნოლოგიით სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. წარმოდგენილი კურიკულუმებით ჩანს, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში საკმაოდ ხშირად იყენებენ ციფრულ რესურსებს. დაწესებულებას აქვს ,,სასკოლო რესურსებით სარგებლობის წესის შესახებ ". სკოლაში მოსწავლეებისა და პერსონალის მხრივ გამოიყენება პროექტორები - პრეზენტაციის, ფილმებისა და სლაიდშოუს ჩვენებისას. ტექნიკაზე პასუხისმგებელია მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- ციფრული განვითარების გეგმა;

### 3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას შედგენილი და ბრძანებით დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების ინსტრუქცია. საქმისწარმოების წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს დოკუმენტების მიღების, რეგისტრაციისა და მათი შენახვის წესთან დაკავშირებით. ვიზიტის დროს, ექსპერტები გაეცნენ სკოლის მიერ

წარმოებულ სარეგისტრაციო ჟურნალებსაც, კერძოდ, ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალს, გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალს, შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალს, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. .სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას eflow-ს. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებული ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანების ფორმა შეესაბამება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავის 52-ე მუხლს. სკოლას აქვს სარეგისტრაციო ჟურნალები: საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი და შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი. ჟურნალები დანომრილი, აკინძული, ბეჭედდასმული და ხელმოწერილია უფლებამოსილი პირის მიერ. საქმისმწარმოებელი პასუხისმგებელია თანამშრომელთა პირადი საქმეების მოწესრიგებაზე, აკონტროლებს მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოებას, პასუხისმგებელია დირექტორის ბრძანებების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობაზე. გარდა ამისა, სკოლას აქვს ოფიციალური ელექტონული ფოსტა: tbilisi36@mes.gov.ge. სკოლის მონაცემები ასახულია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში(Eschool). სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. .ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.(E-school.emis.ge), სრულად არის ასახული თანამშრომელთა, მშობელთა და მოსწავლეთა მონაცემები. სსსმ მოსწავლეების მონაცემები ასახულია და ატვირთულია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნები და მიმაგრებულია სპეცმასწავლებელი. ასახულია მოსწავლეთა მობილობა/სტატუსის ცვლილება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. .სკოლის საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. ვადების და პროცედურების დაცვით ხდება ანგარიშების წარდგენა შესაბამის სტრუქტურებთან. სამეურვეო საბჭოს და მრჩეველთა საბჭოს ოქმით დასტურდება სკოლის დირექტორის მიერ წლიური ანგარიშის წარდგენის ფაქტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ ბრძანება
- სკოლის მიერ შედგენილი და დამტკიცებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.
- საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში
- ვიზუალური დათვალიერება
- ზეპირი ინტერვიუ

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას : სკოლის მისია,ხედვა ღირებულებები, სასკოლო სასწავლო გეგმა, სტრატეგიული გეგმა,სკოლის სტრუქტურა, მოსწავლის მხარდამჭერი სერვისები, საკონტაქტოინფორმაცია. პროგრამები და პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. .სკოლას აქვს როგორც სამართლებრივი, ისე მორალური ვალდებულება გაავრცელოს მხოლოდ და მხოლოდ გადამოწმებული, სანდო და უტყუარი ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ; შესაბამისად, ყველა ინფორმაცია, რაც მიეწოდება მოსწავლეთა მშობლებს, ქვეყნდება საინფორმაციო დაფაზე ან/ვებ-გვერდზე ან დახურულ ჯგუფებში, მშობელთა კრებაზე . ელექტრონული ფოსტით ან ტელეფონით. გაზიარებული ინფორმაცია ინფორმაცია შეთანხმებული, შეჯერებული და ნებადართულია სკოლის ადმინისტრაციის მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. .საზოგადოებასთან კომუნიკაციის და საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სკოლას შეუძლია ინფორმაცი მიიღოს დამრიგებლების მშბლებთან კომუნიკაციის გზით. სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებიდან შემოსულ ინფორმაციას სკოლა იყენებს სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. სკოლას აქვს შემუშავებული კითხვარები, რომელიც ანონიმური, მიმდინარე წელს გამოკითხული იქნა მოსწავლეები მშბლები და მასწავლებლები , და მიღებულ უკუკავშირზე დაყრდნობით ამოწმებს რამდენად ხარისხიანად მიმდინარეობს სწავლა-სწავლების პროცესი.დაწესებულია მშობელთა ვიზიტის დღე. მოსწავლეებს, მშობლებს, ადგილობრივ თემს შესაძლებლობა აქვს სკოლის განვითარებისა და

სასწავლო პროცესის გაუმჯობესების შესახებ ინიციატივები მიაწოდოს ხელმძღვანელობას. ინიციატივებს განიხილავს სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა სკოლის დირექციასთან ერთად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლაში სწავლების ენა არის ქართული შესაბამისად ნებისმიერი ინფორაცია ვებ-გვერდზე და სკოლის მიერ გამოყენებულ ინტერნეტ სივრცებში არის ქართულ ენაზე. სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

5.სკოლას აქვს ვებ გვერდი სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები (emis.ge) , რომელზედაც განთავსებულია სკოლის შესახებ ინფორმაცია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის ვებგვერდი skolebi.emis.ge

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 3.7. ფინანსური რესურსები

**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის დირექტორი თანხებს განკარგავს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად.სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ძირითადად იხარჯება შრომის ანაზღაურებაზე და კომუნალურ გადასახადებზე. სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია საოფისე ხარჯები და მცირე ხარჯები. (სამოქმედო გეგმაში გაწერილია). სკოლის ფინანსური რესურსის ძირითადი ნაწილი, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ N476 დადგენილების მიხედვით, უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, რომლის მოცულობა განისაზღვრება სკოლის მოსწავლეთა რაოდენობით. გარდა ამისა, სამინისტრო უზრუნველყოფს სკოლის ექიმის ხელფასის პროგრამულ დაფინანსებას, აგრეთვე მასწავლებელთა აკადემიური დატვირთვის შესაბამისად დანამატების და ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მიზნით განსაზღვრულ დაფინანსებას, რომელიც, თავის მხრივ, სსსმ სტატუსის მქონე მოსწავლეების რაოდენობით განისაზღვრება. ზემოთ ხსენებული ფინანსური შემოსავლების გარდა, ეკონომიკური საქმიანობით (იჯარით გაცემული ფართი) სკოლა მოიპოვებს დამატებით შემოსავლებს, რაც საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანად წარმართვასა და დამატებითი რესურსების მობილიზებაზე მიემართება; შესაბამისად, არსებული მდგომარეობით, სკოლას აქვს საკმარისი ფინანსური რესურსი დადგენილი წესის მიხედვით შეუფერხებლად წარმართოს სასწავლო პროცესი და უზრუნველყოს აუცილებელი ფინანსური ხარჯები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმით დასტურდება, რომ სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხორციელდება კანონის შესაბამისად. სკოლის დირექტორმა სამეურვეო საბჭოს წარუდგინა 2023 წლის სკოლის ბიუჯეტის პროექტი. ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს როგორც სავარაუდო შემოსავლებს ასევე სკოლის საჭიროებისთვის განსაზღვრულ ხარჯებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სამეურვეო საბჭოს ოქმი;*
- *საპროგნოზო ბიუჯეტი;*

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

### 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა; წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ დაწესებულების პერსონალი მუშაობს მოსწავლეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. სკოლის მოსწავლეების უფლებებთან და კანონიერ ინტერესებთან დაკავშირებული პროცედურები გაწერილია 2023-2024 წლის სასწავლო გეგმაში , 2023-2024 სასწავლო კურიკულუმში და შინაგანაწესში. სკოლის შინაგანაწესი , ცალკე მუხლებად გამოყოფს: მოსწავლის წახალისების ფორმებს ,მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეებს, მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესს, სკოლის მიერ განხორციელებული მოსწავლეების მიერ სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის ქმედებები არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. მოსწავლეს უფლება აქვს მიიღოს ხარისხიანი განათლება, ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკით და სხვა სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსებით. მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულება არეგულირებს, როგორც მშობლის, ასევე მოსწავლის უფლება-მოვალეობებს. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს შემდეგი დოკუმენტაცია: სკოლის შინაგანაწესი; მოსწავლის ქცევის კოდექსი; გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა; სკოლაში არსებული მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემა; სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. ასევე მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება ეხება შინაგანაწესის გაცნობას, რომელიც დასტურდება ხელისმოწერით. კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეთა ჩართულობით შეიმუშავებენ მოსწავლეთა ქცევის წესებს, რომელიც გამოკრულია საკლასო ოთახებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლესთან / მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების თარიღს, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემებს, ხელშეკრულების საგანს, სკოლის საქმიანობას, მხარეთა უფლება-მოვალეობებს მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების გამოყენება, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, დავების გადაწყვეტა და მისი მარეგულირებელი კანონმდებლობა, დამატებითი პირობები, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შინაგანაწესი
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება
- კურიკულუმი
- ვიზუალური დათვალიერება
- ზეპირი ინტერვიუ

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა ხელმძღვანელობს კანონმდებლობით, კერძოდ: “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესით” ( საქართველოს განთლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით N04/ნ (11/01/2017)), მოსწავლეთა ჩარიცხვის დოკუმენტაციის გადამოწმებას ახორციელებს სკოლის საქმისმწარმოებელი . სკოლა ეტაპობრივად მიყვება აღნიშნული კანონის აღსრულებას: მოსწავლის მობილობის შესახებ მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე იწყება საქმისწარმოება. დამრიგებლების დებულების თანახმად, კლასის დამრიგებლები ახორციელებენ მოსწავლეთა გაცდენების მონიტორინგს, 10 / 20 /45 დღე უწყვეტად გაცდენის შემთხვევაში დამრიგებლის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე მიმართავს დირექტორს სტატუსის შეჩერების /შეწყვეტის შესახებ. სკოლას აქვს შექმნილი დოკუმენტი მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. მართვის საინფორმაციო სისტემის E-school.emis.ge -ს დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა სთავაზობს მეოთხე კლასის მოსწავლეებსა და მათ მშობლებს სთავაზობს  არჩევანს მომავალი სასწავლო წლისთვის მეორე სავალდებულო უცხოური ენის ასარჩევად.(იტალიური,რუსული) ამ მიზნით მშობელთა კრებებზე დამრიგებლები ატარებენ გამოკითხვას. სკოლის მიერ იჯარით გაცემულ ფართზე ფუნქციონირებს სკოლის ბუფეტი, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.  სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია სკოლასთან მიმართებით მის ტერიტორიაზე და ინტერნეტ სივრცეშიც  არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. გავრცელებული ყველა ტიპის ინფორმაცია  გადამოწმებულია. სკოლის სახელით გავრცელებული ყველა ინფორმაცია ეყრდნობა ეთიკის, გამჭვირვალობის და არადისკრიმინაციულობის ძირითად პრინციპებს.  **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.სოციალური ქსელი;
- E-school-ის ბაზა;
- ვიზუალური დათვალიერება
- ზეპირი ინტერვიუ;

შეფასება:

○ *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

#### 4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის პერიოდში სკოლა ხელს უწყობს ყველა მოსწავლეს, ადაპტაციაში დახმარება ხდება ყველა ახალი მოსწავლის, მაგალითად - პირველ კლასში ჩარიცხული მოსწავლის მშობელს სწავლის დაწყებამდე უკავშირდება კლასის დამრიგებელი და ეცნობა. საჭიროების შემთხვევაში, თუ ის სსსმ მოსწავლეა , აცნობს სპეციალურ მასწავლებელსაც, ასევე დირექციის დახმარებით ეცნობიან სკოლის გარემოს: საკლასო ოთახს, რესურს ოთახს, სკოლაში არსებულ სველ წერტილებს. სსსმ მოსწავლეების თანაკლასელების ინფორმირების მიზნით, ცნობიერების ასამაღლებლად ტარდება შეხვედრა, სადაც მოსწავლეებს მიეწოდებათ

ინფორმაცია განსხვავებული შესაძლებლობების ადამიანების შესახებ, ინკლუზიური განათლების სპეციალისტები მშობელს უწევენ კონსულტაციას მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. სკოლას მიეცა რჩევა, შექმნას დოკუმენტი, სადაც ადაპტაციის მექნიზმები ერთად იქნება თავმოყრილი და გაწერილი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას, აღჭურვილია ასაკის შესაბამისი ავეჯით, ასევე სკოლაში ფუნქციონირებს ორი რესურს ოთახი, (ერთი განკუთვნილია ინტეგრირებული კლასისთვის)სადაც მოსწავლეებთან ტარდება ინდივიდუალური გაკვეთილები და ასევე გამოიყენება მათი განტვირთვის და დასვენების მიზნით. რესურს ოთახში სკოლა პერიოდულად აახლებს მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულ რესურსებს. სსსმ მოსწავლეებთან მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე მუშაობს ორი სპეციალური მასწავლებელი და სამი ასისტენტი. ისინი საგნების მასწავლებლებსა და მშობელთან ერთად კოორდინირებულად მუშაობენ მოსწავლეების აკადემიური, შემეცნებითი, ფუნქციური, სოციალური უნარების განვითარებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.მხარდაჭერის მიზნით, სკოლის მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, აკადემიური მიღწევის გასაუმჯობესებლად მიიღონ დამატებითი კონსულტაცია. სკოლის მასწავლებლები და დირექცია ჩართულები არიან ყველა იმ აქტივობაში, რაც დაკავშირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერასთან და საჭიროებისამებრ აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს. მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს სწავლის უსაფრთხო პირობებით, მიიღოს ხარისხიანი განათლება, სასწავლო პროგრამისა და კარიერული განვითარებისთვის საჭირო ინფორმაცია/კონსულტაცია, ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ინტერნეტითა და სხვა საშუალებებით. აღნიშნული პროცესები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით და სკოლის წესდებით, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმით/ კურიკულუმით. მოსწავლეები იღებენ განმავითარებელ უკუკავშირს და საჭირო ინტერვენციას. ასევე მასწავლებლები უწევენ მოსწავლეებს სათანადო კონსულტირებას წლიური და საშემოდგომო გამოცდის წინ, რაც დადებითად აისახება მოსწავლეების შედეგებზე. სკოლაში სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევებისა და კოგნიტური უნარეების გაუმჯობესების მხარდაჭერის მიზნით რესურს ოთახში სპეციალური მასწავლებელები მუშაობენ წინასწარ განსაზღვრული განრიგის შესაბამისად. პედაგოგები თანამშრომლობენ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით, აანალიზებენ მონაცემებს და ცდილობენ ერთობლივად მიაგნონ გაუმჯობესების გზებს. დაგეგმილი ღონისძიებები და პროექტები მოსწავლეთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას უწყობს ხელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სასკოლო სასწავლო გეგმით წინასწარ განსაზღვრულია სკოლაში წლიური, სემესტრული ექსტერნისა და საშემოდგომო  გამოცდების ჩატარების წესები და პირობები, ასევე  მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დაძლევის წესები. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. .კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით სკოლა მხარს უჭერს დამატებითი/არაფორმალური აქტივობებს და მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს საგანმანათლებლო სერვისებს იჯარით ფორმით. გახანგრძლივებული სწავლების წრე ,ინგლისური ენის,მუსიკის კალათბურთის და სხვა არაფორმალურ აქტივოებებს - ექსკურსია ,გასვლითი გაკვეთილები,საქველმოქმედო აქციები,გამწვანების აციები, მხიარული სტარტები და სხვა. სკოლაში აქტიურად მუშაობს მოსწავლეთა თვითმართველობა, აყენებს ინიციატივებს, რომელსაც მხარს უჭერს სკოლის დირექცია ახალისებს და ხელს უწყობს როგორც ფინანსურად ისე ადამინუარი რესურსითაც დაგეგმილი აქტივობების განხორციელებაში.

6. დამრიგებლები და მასწავლებლები მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან სარგებლობენ დიდი ნდობით და პატივისცემით, სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებლები ცდილობენ მოსწავლეთა საჭიროების იდენტიფიცირებას და გადაჭრის გზების შეთავაზებას.სკოლას დაგეგმილი აქვს forms-is დახმარებით შექმნას ელექტრონული კიტხვარი და გამოკითხოს მოსწავლეები სხვადასხვა საკითხებში ცნობიერების დონის დადგენის მიზნით, მაგალითად კიბერბულინგი ,მოსწავლეთა უფლებების დაცვა, პერსონალუი ინფორმაციის დაცვა და სხვა საკითხები. არსებული საშუალებებით, სკოლის მიერ წინა წელს მოხდა სკოლის საჭიროებების დაგდენა. გამოიკვეთა შემდეგი პრობლემური საკიტხები , როგორიცაა კვების ობიექტის არასებობა, სწავლის ხარისხი, წიგნადი ფონდის განახლება. სკოლა აღნიშნული პრობლემური საკითხების მოგვარებაზე მუშაობს. მაგალითად ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა კვების ობიექტის ასამუშავებლად საჭირო პროცედურები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მოსწავლის ადაპტაციის წესი;

- სადამრიგებლო პროგრამა;
- ექსკურსიის მასალები;
- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი;

### 4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სხვადასხვა პროფესიის გაცნობისა და პოპულარიზაციის მიზნით სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში საგნის დამრიგებლებისა და საგნის მასწავლებლების მიერ ხორციელდება მრავალფეროვანი თემატური აქტივობები.იგეგმება მიზნობრივი ექსკურსიები საგანმანათლებლო დაწესებულებებში და სხვადასხვა ორგანიზაციებში.საშუალო საფეხურის მოსწავლეებს ხვდებიან უნივერსიტეტები, შეხვედრი მიზანია მოსწავლეთა ინფორმირება საგანამანათლებლო პრგრამების შესახებ. სადამრიგებლო საათის ფარგლებში IX- XII კლასის მოსწავლეებს დამრიგებლები მუდმივად აწვდიან ინფორმაციას სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. .ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზეც და დოკუმენტბრუნვის სისტემაში სკოლას შემოსდის ინფორმაცია, სიახლეები საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის ღია კარის დღეების ჩატარების შესახებ, სადაც სთავაზობენ კონკრეტულ პროგრამებზე / ლექციებზე დასწრებას. მიღებულ ინფორმაციას დირექცია აწვდის შესაბამისი კლასების დამრიგებლებს, რომლებიც, თავის მხრივ, აცნობენ სადამრიგებლო კლასების მოსწავლეებსა და მშობლებს, ძირითადად სოციალური ქსელების დახმარებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. .ადმინისტრაცია გეგმავს მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს უზრუნველყოს მოსწავლეებთან ფოკუს ჯგუფების ჩატარება, რომლის მიზანი იქნება პროფორიენტაციის კუთხით სკოლის გაძლიერება **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სადამრიგებლო პროგრამები*
- *შემოსული წერილები სკოლაში შეხედრების ორგანიზების შესახებ;*

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული აქვს სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებული ფორმა - დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას ორიენტირებულად მოხდეს დროის ყოველი

მონაკვეთის დაგეგმვა, გაკვეთილებზე დასწრებისა და რესურს ოთახში ინდივიდუალური მეცადინეობების გათვალისწინებით. ისგ იქმნება კონკრეტული სსსმ მოსწავლისათვის. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ქმნის ისგ ჯგუფი, რომელიც დამტკიცებული აქვს დირექტორის სასწავლო წლის დასაწყისშივე. ისგ-ს წევრია სსსმ მოსწავლის მშობელი. მისი ხელმოწერაა დაფიქსირებული ყველა ისგ-ს ოქმში. სკოლას ჰყავს 2 სპეციალური მასწავლებელი ყველა მოსწავლის მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა ატვირთულია E-school-ის ბაზაში. რესურს ოთახის კარებთან გაკრულია სპეციალური მასწავლებლის მუშაობის განრიგი. სკოლას შემუშავებული აქვს ყოველწლიური ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის შესაბამისი აქტივობები, ვადები და პასუხისმგებელი პირები. კერძოდ, სსსმ მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაცია, მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის კონსულტაცია, ისგ ჯგუფების შექმნა, სხდომების დაგეგმვა და ორგანიზება, რესურს ოთახების მოწესრიგება და აღჭურვა შესაბამისი რესურსებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. პედაგოგები თანამშრომლობენ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით, აანალიზებენ მონაცემებს და ცდილობენ ერთობლივად მიაგნონ გაუმჯობესების გზებს. სამოქმედო გეგმით დასტურდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. მასწავლებლების კონსულტირება სასწავლო პროცესში სსსმ მოსწავლის აქტიურ ჩართულობასთან დაკავშირებით , სასწავლო მასალის ადაპტირებასთან დაკავშირებით. სსსმ მოსწავლესა და კლასის დანარჩენ მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და ჯგუფთან მიკუთვნებულობის ხარისხის გაზრდაზე ზრუნვენ დამრიგებლები, სხვადასხვა საგნის მასწავლებლები და მოსწავლეები. მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზებას და განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლივად დაგეგმვას უზრუნველყოფს დამრიგებელი და ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანაში მონაწილეობს სამეურვეო და პედაგოგიური საბჭო, (სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის დამტკიცებასთან/შეთანხმებასთან დაკავშირებით) ისგ ჯგუფი განიხილავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მიღწეულ შედეგებს, გამოწვევებს, გამოყენებული სწავლების სტრატეგიების ეფექტურობის შეფასებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ
- ისგ გეგმები
- შიდა მონიტორინგის დასკვნა
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ზეპირი ინტერვიუ

***4.2.4.*** **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა გეგმავს საიჯარო ხელშეკრულებით გასცეს ფართი სკოლის ბუფეტის ფუნქციონირებისთვის.ამ ეტაპზე სკოლის ბუფეტი არ ფუნქციონირებს, შესაბამისად სკოლას არ აქვს ბუფეტის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება. დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების მიზნით საიჯარო ხელშეკრულების ფარგლებში ფუნქციონირებს გახანგრძლივებული წრე, მუსიკის,

ინგლისურის, ფრანგულის , ფორტეპიანოს და კალათბურთის წრეები. სკოლა ასევე დამატებითი მომსახურების სახით იყენებს ტრანსპორტს სასკოლო ექსკურსიებთან დაკავშირებით. ექსკურსიები იგეგმება კანონმდებლობის შესაბამისად. არსებული რეგულაციების დაცვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. .სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა, კვების სერვისი ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, რომელიც წინასწარ შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3.მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს, შესაბამისად სკოლაში ყველა სერვისი და მომსახურება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.**ინდიკატ რი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- იჯარის ხელშეკრულება
- სამეურვეო საბჭოს ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

*ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება*

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>დაწყებითი საფეხური | **X შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. სასკოლო კურიკულუმი**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ქალაქ თბილისის N36 საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომლითაც განსაზღვრულია, რომ „კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს“, აგრეთვე მეთოდოლოგია განსაზღვრავს სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმებს, ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს, რომლებიც ეკისრებათ მასწავლებლებს, კათედრის თავმჯდომარეებსა და სკოლის დირექციას. სკოლის დირექციის ფუნქციად გაწერილია, რომ მან უნდა „უზრუნველყოს სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესის შესახებ სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირება“, აგრეთვე განსაზღვრულია პრინციპები, რომელთა საფუძველზეც მოხდება კურიკულუმის რევიზია, კერძოდ გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრისა და სკოლის დირექციის მუშაობა, რომელთა საფუძველზეც შემუშავდება შემდგომი რეკომენდაციები.

სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შემუშავების პროცესში ისინი ითვალისწინებენ დაწყებითი საფეხურის ამოცანებსა და ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში სხვადასხვა საგნის მასწავლებლები იკრიბებიან, ადგენენ და აზუსტებენ მოსწავლეთა და საკუთარი პრაქტიკის ძლიერ და სუსტ მხარეებს.სკოლამ ჩაატარა მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების გამოკითხვა ონლაინ კითხვარის საშუალებით და კითხვარების ანალიზის შედეგები სასკოლო კურიკულუმშია გათვალისწინებული. მაგ. მოსწავლეები და მშობლები აქცენტს აკეთებენ პროექტულ სწავლებაზე და კლუბურ მუშაობაზე. მასწავლებლები თანამშრომლობენ სკოლის ადმინისტრაციასთან, ორიენტირებას აკეთებენ პრიორიტეტულ საკითხებზე (წიგნიერება, რაოდენობრივი წიგნიერება, ეკოლოგიური მიმართულება, კონფლიქტების მართვა, წესების შემუშავება, ინსტრუქციებზე მუშაობა). დაწყებით საფეხურზე მშობელთა ჩართულობა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, ამიტომ სკოლის მუშაობის გასაცნობად, სასკოლო თუ საგნობრივ კურიკულუმთან დაკავშირებით ნებისმიერი სიახლის შესახებ მშობელთა ინფორმირება. კურიკულუმის მეთოდოლოგია იძლევა საშუალებას გათვალისწინებულ იქნას სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები, ასევე მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

2. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ „კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს“, აგრეთვე სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად მეთოდოლოგიით განისაზღვრება შესაბამისი საკომუნიკაციო საშუალებები: ელექტრონული ფოსტა; დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა; პორტალი ვებგვერდი; სოციალური მედია; ბეჭდვითი მასალები; საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში ასევე აღნიშნულია, რომ კურიკულუმის შედგენისას შეძლეს მოსწავლეთა ინტერესების, ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინება, ასევე მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესების დასადგენად შეძლეს გამოკითხვა Google Forms-ში მომზადებული კითხვარის საშუალებით, სადაც მათ დაასახელეს სასურველი წრეებისა და კლუბების არსებობა, რაც გათვალისწინებული იქნება 2023-2024 სასწავლო წლისთვის.

კურიკულუმის შემუშავების პროცესის ნაწილი არის კათედრებზე მასწავლებლების მიერ ინდივიდუალური ხედვის წარდგენა, კოლეგებთან ერთად განხილვა, უკუკავშირი, გასული წლის გამოცდილების გაზიარება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. მასწავლებლის საგნობრივ რეფლექსიაში წარმოდგენილია , რომ ერთად განიხილეს როგორ მიმდინარეობდა კომპლექსურებზე მუშაობა, როგორ შექმნეს პროდუქტები და გაასიტყვეს ისინი.მაგალითად,საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ადგილზე წარმოადგინეს სხვადასხვა კომპლექსური დავალების პროდუქტები, მაგ, კოსმოსისა და ეკოსისტემის მოდელები, პლაკატები.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

3. წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია იძლევა შესაძლებლობას, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იყოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები, სკოლის მიერ განსაზღვრულია საკომუნიკაციო მექანიზმი სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად, აგრეთვე სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში ასახულია, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულნი იყვნენ კათედრის წევრები, ასევე მშობლების, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მოსაზრებების გარკვევა შესამლებელი გახდა კითხვარის მეშვეობით, დამატებით მშობელთა ჩართვას ითვალისწინებენ სადამრიგებლო საათებისა და სასკოლო პროექტების დაგეგმვის პროცესში. შესაბამისი დოკუმენტაციიდან და ასევე პედაგოგთან ინტერვიუდან ირკვევა, პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და განიხილავენ შესასწავლი თემების, ძირითადი, დამხარე რესურსებისა და შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებაზე. ასევე კურიკულუმის დიზაინის განსაზღვრისას, პედაგოგები ერთად მსჯელობენ თუ რა სწავლის სტრატეგიები, მეთოდები შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონკრეტული მიზნის მისაღწევად.პედგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი სასკოლო საზოგადოების ერთობლივი მუშაობის პროდუქტია.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

4. სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაშიც ასახულია, რომ სასკოლო კურიკულუმი ხელმისაწვდომი იქნება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში მკაფიოდ არის განსაზღვრული, თუ რომელი საკომუნიკაციო არხები შეიძლება იქნას გამოყენებული სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად.სასკოლო სასწავლო გეგმა არის საჯარო დოკუმენტი, გარდა მასში შემავალი

ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა, შესაბამისად მისი დამტკიცების შემდეგ მასში შემავალი საგნობრივი კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, შესაბამისად სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები ასევე გაზიარებულია სასკოლო თემის მიერ. კერძოდ, ეს დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით და კომპლექსური დავალებებით, რომლის შესაბამისი მოსწავლის ბარათები მიეწოდება მოსწავლის მშობლებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩანს მთელი სასკოლო საზოგადოების ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებაში, შესაბამისად იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.მაგალითად, ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში შექმნილ კურიკულუმებს, ფესტივალების მოწყობით და საერთო სასკოლო აქტივობებში ჩართულობით, იზიარებს სასკოლო საზოგადოებაც.

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია*
- *სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;*
- *მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა კითხვარი და შედეგების ანალიზი;*
- *2023 –24 წლებში ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი;*
- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *დაწყებითი კლასების საგნობრივი კურიკულუმები;*
- *ინტერვიუები პედაგოგებთან;*
- *ფესტივალის, სასკოლო პროექტებში ანუ შიდასასკოლო კონფერენციებში მონაწილეობისა და სხვა აქტივობების ამსახველი ფოტო-მასალა;*
- *საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმი N4;*
- *მშობელთა ბარათები;*
- *კათედრის ოქმები;*

- *სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს ოქმები.*

**2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში კარგად ჩანს მოსწავლეებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის გზები და მათ განვითარებაზე ზრუნვა, რასაც განაპირობებს კურიკულუმში გაწერილი ყველა სამიზნე ცნების დამუშავება, ნაჩვენებია შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად. სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს, კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას საჭირო რესურსების მრავალფეროვნება ცხადყოფს, რომ მოსწავლის განვითარება მხოლოდ სახელმძღვანელოთი არ შემოიფარგლება და სხვადასხვა ინსტრუმენტს ითვალისწინებს, მაგალითად,ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ფილმებს ( ანიმაციური ფილმი: ,,ბალტო“, მხატვრული ფილმი ,,ჰაჩიკო“, ნ. დუმბაძის ,,ძაღლი“- მე-3 კლასში იაკობ გოგებაშვილის ,,ჭკვიანი ძაღლების „ სწავლებისას), გრაფიკული მაორგანიზებლები, თხრობის რუკას და ა.შ.

სკოლაში ფიზიკური აღზრდასა და სპორტში დაწყებით საფეხურის კურიკულუმებში, გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე.აგრეთვე,სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო კაბინეტები_ ფიზიკის, ქიმიის

და ბიოლოგიის, უზრუნველყოფილი სასწავლო რესურსებით. ახალი გარემონტებული სკოლა და შესაბამისი რესურსები სრულად აძლევს საშუალებას მასწავლებლებს სასწავლო პროცესი იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული და შესაბამისად მათი განვითარების გზაც ჩანს კურიკულუმში.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

2. სასკოლო კურიკულუმები ემიზნება გრძელვადიან მიზნებს. სავალდებულო თემებზე შექმნილი კომპლექსური დავალებები ემიზნება გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებები, შედეგების ინდიკატორები), ქვეცნებებით კიდევ უფრო მკაფიოდ ხდება სამიზნე ცნებების დაზუსტება. კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში პედაგოგები ცდილობენ მოსწავლეებს განუვითარონ ფუნქციური უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, ნებისყოფა. ამ უნარების განვითარება მოხდება ყოველ კომპლექსურ დავალებაში სხვადასხვა აქტივობისა და რესურსის დამუშავებით. მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში, სკოლა გეგმავს შემუშავებულ კურიკულუმები აუცილებლად გააცნონ მოსწავლეებს, მშობლებს, შეთანხმდნენ დეტალებზე, რაც გამოიწვევს სასკოლო საზოგადოების ინტერესს. გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში კარგად ჩანს, რომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით. კომპლექსური დავალებები მასწავლებლებს საშუალებას მისცემს, გამოიყენონ იმგვარი აქტივობები, რომელთა საშუალებითაც მოსწავლეები შეძლებენ, უპასუხონ კრიტიკულ-სააზროვნო უნარების განვითარებისკენ მიმართულ კითხვებს. პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებული აქტივობები მიმართულია მოსწავლეთათვის გლობალური ფუნქციური უნარების გაუმჯობესებისკენ. სასწავლო პროცესი მოსწავლეს საშუალებას აძლევს გამოთქვას ვარაუდები, იმსჯელოს, გამოავლინოს ემპათიურობა, იყოს შემოქმედებითი და ავტონომიური. სკოლის მიერ მოწოდებული დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები არის პროცესზე ორიენტირებული პროგრამა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება და აღიარებს მოსწავლეს, როგორც სწავლა-სწავლების პროცესის წარმმართველ ძალას. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები ითვალისწინებენ ესგ-ის საგნობრივი სტანდარტის მისაღწევ შედეგებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა თავისებურებებს და შესაძლებლობებს.

მაგალითად, უცხოურ ენებში, გვხვდება დავალებები, სადაც მოსწავლეებს უწევთ საკუთარ გამოცდილებებზე დაყრდობით პლაკატის, პოსტერის ან პრეზენტაციის მომზადება და მაქსიმალურად ეძლევათ საშუალება შემოქმედებითად მიუდგნენ ამ პროცესს; ქართული ენისა

და ლიტერატურის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეები: იდეის გამომხატველი საახალწლო ნაძვის ხის ბარათების შექმნა ( პაატა მამფორიას მოთხრობა ,,საახალწლო ლექსიკონის“ მიხედვით); საახალწლო ამბის შექმნა მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვების გამოყენებით (მე-2 კლასი), ტ. ხავთასის მოთხრობა „მოხუცი და ბროლიას“ პერსონაჟ მოხუცის შინაგანი სამყაროს წარმოჩენა როლური თამაშით ( მე-4 კლასი) ხელს უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითი და კომუნიკაციის უნარების განვითარებას.ამავე მიზნებს ემსახურება მე-5 კლასში წარმოდგენილი მატრიცა : მოთხრობის ეპიზოდის დაწერა (ა. სულაკაურის მოთხრობის „ბიჭი და ძაღლი“ მიხედვით).

დაწყებით საფეხურზე, საგნებში „მე და საზოგადოება“ და „ჩვენი საქართველო“, განსაზღვრულია სავალდებულო თემათა ჩამონათვალი, შერჩეულია საკითხები და წარმოდგენილია გრძელვადიანი მიზნები სამიზნე ცნებების სახით, მეტწილად გათვალისწინებულია ყველა თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი, (რამდენიმე შემთხვევაში ყველა თემის ფარგლებში არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება),აქედან გამომდინარე, **საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით მიეცათ რჩევა, გათვალისწინებულ იქნას ყველა თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი.**

პედაგოგებთან ინტერვიუთი ასევე დადგინდა, რომ კომპლექსური დავალებების განხორციელებამდე მასწავლებლები კიდევ ერთხელ გადახედავენ და მოდიფიცირებას გაუკეთებენ მათ, მოარგებენ საკუთარი მოსწავლეების შესაძლებლობებსა და საჭიროებებს.

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში მოცემულ კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების ხედვა, ინდივიდუალური მიდგომები, ყოველი მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და მოტივაციის გზები. დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპები მოქნილია და მორგებულია სასწავლო პროცესს, ითვალისწინებს მოსწავლის წინარე ცოდნას და მასზე აფუძნებს ახალს. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ასევე, მოცემულია სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავების მექანიზმები, სკოლის მიერ ამ კუთხით გამოცდილების დასტურად წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმის ნიმუში, აგრეთვე ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის სხდომის ოქმის ნიმუში,ეს ყველაფერი კი უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

4.სასკოლო სასწავლო გეგმაში, ასევე სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია, რომ იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებას, მათ შორის I-IV კლასებში ელექტრონულ ჟურნალში წერენ წლის ბოლოს განმავითარებელ შეფასებას, საგაკვეთილო პროცესში იყენებენ თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას, შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს, აგრეთვე სკოლა განსაზღვრავს, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შემუშავდება ეტაპობრივად, თემების მიხედვით და კომპლექსური დავალებებისთვის.მათემატიკის მიმართულებით,სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის (მე-12 დოკუმენტი I-IV კლასი) მიხედვით ჩანს, რომ სკოლას ამ ეტაპზე არ გააჩნია სადიაგნოსტიკო ტესტირების ჩატარების გამოცდილება, შესაბამისად ამ მხრივ მომავალ სასწავლო წელს არ გეგმავს რაიმე აქტივობას.შეფასება იწერება მიმდინარე საკლასო,საშინაო და შემაჯამებელი დავალების კომპონენტებში, სკოლა იყენებს ზოგად-ჰოლისტურ და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს.

კომპიუტერულ ტექნოლოგიებში, გადმოგზავნილი დოკუმენტაციდან ჩანს და ინტერვიუს საშუალებით დაზუსტებულია, რომ მასწავლებელი იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების სქემებს/რუბრიკებს,( მე-6 კლასი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება- სამიზნე ცნება ალგორითმი, სამიზნე ცნება - მომხმარებლის გრაფიკული ინტერფეისი, მე-4 კლასი განმავითარებელი შეფასება-სამიზნე ცნება -კომპიუტერის აგებულება, ციფრული მოქალაქეობა), კომპლექსური დვალებები ფასდება სოლო ტაქსონომიით. მასწავლებელს აქვს გამოცდილება შესასწავლი საკითხის მიხედვით გამოიყენოს შეფასების ახალი სტრატეგიები და ფორმები.

ესთეტიკური ციკლის დარგებში დაწყებით საფეხურზე პედაგოგები ძირითადად სარგებლობენ განმავითარებელი შეფასებით. სასკოლო პრაქტიკაში იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებსა და ინსტრუმენტებს, სხვადასხვა აქტივობებზე მორგებულ განმავითარებელ რუბრიკებს (ურთიერთშეფასება, თვითშეფასება, გასასვლელი და შესასვლელი ბარათები, დიაგნოსტიკური სქემები, სოლო ტაქსონომია). განმსაზღვრელიშეფასება ხდება შემაჯამებელი დავალების რუბრიკით. მიმდინარე სასწავლო წლისთვის სკოლამ განმსაზღვრელი შეფასებისთვის აირჩია შემაჯამებლების მიხედვით შეფასება.

ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს განმავითარებელ შეფასებას ყველა კლასში და განმსაზღვრელს- V-VI კლასებში. შეფასების რუბრიკები მტკიცებულებად სკოლამ ვერ წარმოადგინა, მაგრამ პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ

სწავლებისას იყენებენ მათ,ამიტომ, **სახელმწიფო ენის მიმართულებით მიეცათ რჩევა, დაწყებით საფეხურზე სკოლამ შეიმუშაოს განმავითარებელი (I-VI კლასების ჩათვლით) და განმსაზღვრელი (V-VI კლასების) შეფასების რუბრიკები.**

**საზოგადოებრივ მეცნიერებებში** წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით „ მე და საზოგადოების“ ფარგლებში, აგრეთვე განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შაბლონი სამიზნე ცნებებთან მიმართებით საგან „ჩვენი საქართველოს“ ფარგლებში და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა სტანდარტით განსაზღვრულ ინდიკატორებზე დაყრდნობით, ასევე „ჩვენი საქართველოს“ ფარგლებში.**მიეცათ რჩევა,განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში, საგან „ჩვენი საქართველოს“ ფარგლებში თითოეულ სამიზნე ცნებას მიენიჭება 1 ქულა.**

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

5. დაწყებით საფეხურზე კურიკულუმების დაგეგმვის პროცესი ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას და, როგორც ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, ეფუძნება მისი ანალიზისას გამოტანილ დასკვნებს.ისინი სისტემატურად უზიარებენ ერთმანეთს საუკეთესო პრაქტიკასა და მიგნებებს , მსჯელობენ პრობლემებზე და ერთად განიხილავენ უკეთესი შედეგების მიღწევის შესაძლებლობებს. მასწავლებლები დიდ ყურადღებას უთმობენ პრაქტიკული სწავლებისას გამოვლენილ პრობლემებს, აანალიზებენ შემაჯამებელ დავალებებს, განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს და ცდილობენ, სწავლა- სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების დაცვას.სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა მასწავლებლის რეფლექსია, რომელშიც შვიდ პუნქტადაა გაწერილი პედაგოგის მუშაობა და განსაკუთრებულადაა აქცენტი გაკეთებული წინარე ცოდნის გაზიარებაზე ( მე-4 პუნქტი-,,თანამშრომლობა“).

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;*
- *სასკოლო- სასწავლო გეგმა;*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი და მონიტორინგის მასალები;*

- *დაწყებითი კლასების საგნობრივი კურიკულუმები;*
- *შეფასების რუბრიკები;*
- *ინტერვიუები პედაგოგებთან;*
- *მასწავლებლის რეფლექსია;*
- *კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2 კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. ყველა კლასის კურიკულუმში არის გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები, რაც მოსწავლეს აძლევს საშუალებას მიიღოს მონაწილეობა მუდმივი ინტერაქციის პროცესში, მიიღოს და გასცეს უკუკავშირი, ეძიოს პრობლემის გადაჭრის გზები. მრავალფეროვანი მეთოდები და აქტივობები განაპირობებს სწავლა- სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.სკოლას მართალია კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დიდი გამოცდილება არ აქვს, თუმცა კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს მაქსიმალურად ცდილობენ კონსტრუქტივისტული პრინციპების პრაქტიკაში რეალიზებას, კათედრებს წარმოდგენილი აქვს საფეხურზე ყველა კლასის კურიკულუმი, სადაც ისეთი კომპლექსური დავალებებია მოცემული, რომლებიც ითვალისწინებენ მოსწავლეების შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.თვიშეფასების კითხვარის მიხედვით_კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში დაწყებით კლასის მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება აქტიურად ჩაერთონ სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა მიდგომების გამოყენებით, როგორიცაა: კომიქსების შექმნა, ილუსტრაციების შექმნა და აღწერა, თხზულების შექმნა და წარდგენა, როლური თამაში.

მოსწავლეებს აქვს საშუალება აქტიურად ჩაერთონ შემოქმედებით პროცესში. ამის მაგალითია, ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმებში, კომპლექსური დავალებების იდეები : თბილისის შესახებ საინფორმაციო ტექსტის დაწერა, რომელიც უნდა დაიბეჭდოს საბავშვო ენციკლოპედიაში; თბილისის ისტორიის ეპიზოდებად დაყოფა და დასათაურება ; ნახატის შექმნა ან ესეს დაწერა თბილისის ერთ-ერთ მახასიათებელზე, რომელიც ყველაზე მეტად იქცევს ყურადღებას, მსჯელობა: თბილისი, რომ ადამიანი ყოფილიყო როგორი გარეგნობა და ბუნება ექნებოდა მას? ( თბილისის ისტორიის სწავლება- მე-6 კლასი); წარმოდგენილ დოკუმენტებში მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალების ფოტომასალაცაა ასახული მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ კარგად იციან კომპლექსური დავალებების შედგენაც და მისი განხორციელებაც, შესაბამისად, მზად არიან მომდევნო სასწავლო წლისთვის მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობას შეუწყონ ხელი.

სკოლას წარმოდგენილი აქვს „ჩვენი საქართველოს" ფარგლებში განხორციელებული კომპლექსური დავალება მატრიცის ფორმით, აგრეთვე მოსწავლის ნამუშევარი ნიმუშის სახით, აღნიშნულ დავალებაზე მუშაობის პროცესი უზრუნველყოფდა მოსწავლის ჩართვას აქტიურ შემოქმედებით პროცესში. გამომდინარე იქიდან, რომ დაწყებით საფეხურზე, „მე და საზოგადოებისა" და „ჩვენი საქართველოს" ფარგლებში შუალედურ სასწავლო მიზნად განსაზღვრულია რამდენიმე კომპლექსური დავალება.

მათემატიკის კურიკულუმებში გათვალისწინებულია ორი კომპლექსური დავალების განხორციელება (ყოველ სემესტრში ერთი). ამ მეთოდით სწავლება კი თავისთავად უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, მათ უხდებათ ძველი და ახალი ცოდნის შედარების მეშვეობით ახალი ინფორმაციის შეგროვება, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანა, დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება – შენება. კომპლექსური დავალება საყოფაცხოვრებო ტიპის, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებაა, შესაბამისად მოსწავლეებს უხდებათ საკუთარი შემოქმედებითი უნარების გამოვლინება. ამის დამადასტურებელია სკოლის მიერ წარმოდგენილი მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები, შესაბამისი დავალების ბარათებით და სხვადახვა რესურსებით. მაგ. მე-3 კლასში ,,მხიარული სტარტები", მე-4 კლასში „ყვავილების ორანჟერია", მე-5 კლასში „პიცის ამოცანა" და სხვა.

უცხოურ ენებში კი წარმოდგენილ კურულუმებში, გვხვდება დავალებები, რაც გულისხმობს ნასწავლი მასალის ცხოვრებისეულ კონტექსტებში გადატანას, კერძოდ, საყვარელი წელიწადის დროების, ინტერსებისა და ჰობის შესახებ პრეზენტაციების გაკეთებას. ასევე, როგორც ინტერვიუდან ირკვევა, პედაგოგები ხშირად იყენებენ სიმღერებს, კროსვორდებს, ე.წ ბურთებით თამაშის აქტივობას, რათა მოსწავლეები უფრო მეტად ხასილისით ჩაერთონ საგაკვეთილო პროცესში.

ვიზუალური დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ სასკოლო და საკლასო გარემო არის პოზიტიური, მოწესრიგებული, სასწავლო რესურსებით მდიდარი, მულაჟებით, მარტივი ექსპერიმენტების ჩასატარებლად არსებული რესურსები ქმნის მამოტივირებელ გარემოს, რომელსაც კარგად იყენებენ მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციისა და პიროვნული განვითარებისთვის. ( მოსწავლეთა ნამუშევრები) საბუნებისმეტყველო კაბინეტებში ტარდება გაკვეთილები რესურსების გამოყენებით.

სკოლაში მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ სივრცეები გამოიყენონ სხვადასხვა მიზნების შესაბამისად. სააქტო დარბაზი (თეატრალური გამოსვლებისთვის), დერეფნებში საპრეზენტაციო დაფებზე არის მოსწავლეების მიერ საკუთარი ხელით შექმნილი თვალსაჩინოებები (თემატური ნახატები და კოლაჟები).

დაწყებით საფეხურზე მოწყობილი, სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები, სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებულია მშობლები. ეს კი უზრუნველყოფეს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით, სასწავლო პროცესში ჩართვას.

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

2. კურიკულუმები წარმოადგენენ მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. კომპლექსური დავალების ეტაპები და გაკვეთილის აქტივობები ისე არის დაგეგმილი რომ ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და შესაძლებლობებს, მიმართულია ახალი ცოდნის კონსტრუირებისკენ და მიჰყვება მოსწავლის განვითარების დინამიკას.პედაგოგთა ინტერვიუდან იკვეთება და კურიკულუმებიდან ჩანს, რომ მასში წარმოდგენილი საკითხები ააქტიურებს მოსწავლეთა ცოდნას და ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას. ამასთან ერთად, პედაგოგთა წინარე გამოცდილების სურათს იძლევა მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი რეფლექსიები, ანგარიშები, კათედრის სამოქმედო გეგმა, ინტეგრირებული გაკვეთილის ამსახველი ფოტომასალა, საიდანაც დგინდება, რომ ისინი აკვირდებიან და აფასებენ მოსწავლეებს სასწავლო პროცესში, ამის შემდეგ კი მიღებულ გამოცდილებაზე, მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე, საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით გეგმავენ სასწავლო პროცესს.მაგალითად უცხოურ ენებში,ხშირად იყენებენ კროსვორდებსა და სიმღერებს, რათა მოსწავლეთა წინარე ცოდნა გააქტიურონ. ასევე ინტერვიუს დროს, პედაგოგებმა ხაზი გაუსვეს, რომ შესაბამისი ლექსიკასა და გრამატიკულ კონსტრუქციებზე მუშაობა ხდება ნაბიჯ-ნაბიჯ მოსწავლეთა წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რამდენიმე გაკვეთილი სჭირდებათ, რათა სასურველ შედეგზე გავიდნენ.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

3.კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი, კომპლექსური დავალების არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს მოსწავლისათვის სწავლის სწავლას. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეები მთელი თავისი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობით, მიზანმიმართულად გეგმავენ საკუთარ სასწავლო საქმიანობას და ორგანიზებულად ახორციელებენ მას. ისინი იყენებენ სწავლის, კვლევისა და ინფორმაციის მოძიების სხვადასხვა სტრატეგიას, ასევე სასწავლო პროცესზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგებს. ამაზე მიუთითებს მათემატიკის კათედრის მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები: „ყვავილების ორანჟერია“, „პიცის ამოცანა“ და სხვა; ქართულ ენასა და ლიტერატურაში, კურიკულუმის ჩარჩო -დოკუმენტებში, მოცემული კონტექსტ მაგალითები, რომელიც საშუალებას იძლევა ნაცნობ კონტექსტზე დაყრდნობით მოსწავლემ მიიღოს ახალი ცოდნა და გამოცდილება. ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ მე-4 კლასში ტ. ხავთასის მოთხრობა ,,მოხუცი და ბროლიას“ სწავლებისას შემოთავაზებული კონტექსტ-მაგალითები: იაკობ გოგებაშვილის ,,ჭკვიანი ძაღლები“, ჭკვიანი ბასარა“, მულტფილმი: ,,ბალტო“, მხ. ფილმი ,,ჰაჩიკო“, მხ. ფილმი ,,ლესი“ და მაგალითები პირადი გამოცდილებიდან.აგრეთვე, კომპლექსური

დავალება მე-2 კლასში :,, საახალწლო ამბის შექმნა“- მოიფიქრე და დაწერე საახალწლო ამბავი, გამოიყენე ,,საახალწლო ლექსიკონის“ სიტყვები (ბედნიერება, სიხარული, სიკეთე, მეკვლე, გოზინაყი, ჩიჩილაკი, ჩურჩხელა) და თანამიმდევრობის გამომხატველი სიტყვები.

როგორც პედაგოგთა გასაუბრებიდან გაირკვა, პედაგოგები ცდილობენ მაქსიმალურად ხელი შეუწყონ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარის განვითარებას, სწავლის სწავლას, კერძოდ, კომპლექსური დავალების წარდგენის ბოლოს, მოსწავლეებს უსვამენ რეფლექსიური ტიპის შეკითხვებს, რათა მოსწავლეებმა შეძლონ გაიზრონ, რა გააკეთეს და რისი გაუმჯობესება შეიძლება.
პედაგოგები ეხმარებიან მოსწავლეებს,იმის გააზრებაში თუ როგორ დააეხმარონ საკუთარ თავს ცოდნის მიღებასა და აგებაში; სწავლის სწავლის უნარის განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია დაწყებით საფეხურზე;

ზოგადად , კომპლექსური დავალებების სპეციფიკა იძლევა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას , ამიტომ ამგვარი ტიპის დავალებების წარმოდგენა სკოლის მიერ საფუძველს იძლევა, დავასკვნათ, რომ მოსწავლეები იღებენ კონკრეტული ამოცანის მოთხოვნებს , ეძებენ მათი გადაჭრის ეფექტიან სტრატეგიებს და არეგულირებენ საკუთარ სასწავლო გამოცდილებებს.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

4. დაწყებით კლასებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას, ვინაიდან კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარატიული ცოდნა, პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში. ამაზე მიუთითებს კათედრების მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები და კურიკულუმები.მაგალითად,ქართულ ენასა და ლიტერატურაში,მე-4 კლასის კომპლექსურ დავალებაში, რომელიც სკოლამ წარმოადგინა - ტ.ხავთასის მოთხრობა „მოხუცი და ბროლიას“ პერსონაჟ მოხუცის შინაგანი სამყაროს წარმოჩენა როლური თამაშით.მიხედვით- გაწერილია სამივე სახის ცოდნაზე ორიენტირებული შეკითხვები, რაც გვიჩვენებს , რომ პედაგოგები ხელს უწყობენ მოსწავლეს საგნობრივი სასკითხების სიღრმისეულად გააზრებასა და სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებაში.მიმდინარე ბუნებისმეტყველების კურიკულუმი წარმოდგენილია სრული სახით , ვინაიდან უკვე სწავლის პროცესი დაწყებული. ბუნებისმეტყველების მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დააწყებითი საფეხური ყოველთვის გამოირჩეოდა კეთებით სწავლების მეთოდით და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებით; მე-3 თაობის ესგ-ის მიხედვით კი, ახალი 1-მე-2 კლასის სახელმძღვანელოები კი ამ მხრივ მართალაც გამოირჩევა და კომპლექსური დავალებებიც სწორედ ამ

კუთხითაც აირჩა; მაგ. კომპლექსური დავალება ეკოსისტემებზე; უცხოურ ენებში მაგალითისათვის, შეიძლება განვიხილოთ, კომპლექსური დავალება, რომელიც გულისხმობდა ყოველდღიურ რუტინაზე პრეზენტაციის გაკეთებას, სადაც მოსწავლეებს უწევდათ რუტინის აღსაწერად გამოეყენებინათ ნასწავლო ლექსიკა და გრამატიკული ერთეული(present simple) მსგავსი ტიპის დავალებები გვხვდება ძირითადად, სადაც ეტაპობრივად ხდება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

5.კომპლექსური დავალებების განხორციელების აუცილებელი პირობაა მოსწავლემ გამოავლინოს საკუთარი პირობისეული ცოდნა, რომელიც, ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს მე-4 კლასში განსახორციელებელი კომპლექსური დავალება ( „ყვავილების ორანჟერია“), სადაც საჭიროა მათემატიკის და ბუნებისმეტყველების საგნებში მიღებული ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირება. პედაგოგებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ ასეთი დავალებების განხორციელება იგეგმება სხვა კლასებშიც. კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმები და კომპლექსური ბუნების დავალებები მოსწავლეს ხელს შეუწყობს საგნობრივი კომპეტენციების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლებაში. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები შესაძლებლობები. მასწავლებელს აქვს გამოცდილება ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების. ასახელებს მე-3 კლასში ქართულ ენასთან ერთად ჩატრებულ გაკვეთილი, სადაც მოსწავლეებმა ,,ვსწავლობ თამაშით“-ის საშუალებით შექმნეს იგავ-არაკი ,,არწივი და მელა“.

პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ აქცენტი კეთდება მოსწავლის მიერ საკითხის სიღრმისეულ გააზრებაზე, კომპლექსური დავალების ,, სამი გოჭის“ პირველ კლასში, ,, მზის სისტემა“ და სხვ. მოსწავლეებმა საკითხი ღრმად გაიაზრეს. თუმცა იმისთვის რომ მოსწავლეებმა ურთიერთდაკავშირებული და ორგანიზებული ცოდნა ააგონ, აუცილებელია ცოდნის სამი კატეგორიის მიხედვით არამარტო კომპლექსური დავალებების განხორცილება,არამედ სასწავლო თუ სასკოლო პროექტების განხორციელებაც, რადგან მოსწავლემ პირობისეული ცოდნის მიხედვით შეძლოს ცოდნის განზოგადება. მაგ. ასეთი იყო პროექტი ,,გზა დაუთმე 112, გადაარჩინე სიცოცხლე“. 2023-2024 სასწავლო წლისათვის, დაწყებითი კლასების ყველა დისციპლინაში, დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, რომელიც გაითვალისწინებს სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და გამოყენებას.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *დაწყებითი კლასების საგნობრივი კურიკულუმები;*
- *შეფასების რუბრიკები ;*
- *ინტერვიუები პედაგოგებთან;*
- *თვითშეფასების კითხვარი;*
- *სასკოლო ღონისძიებები ;*
- *კომპლექსური დავალებები;*
- *მასწავლებლის რეფლექსია;*
- *კათედრის სამოქმედო გეგმა;*
- *პროექტი ,, გზა დაუთმე 112, გადაარჩინე სიცოცხლე“;*
- *სასკოლო პროექტები .*

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში ( საკითხი,კონტექსტ-მაგალითი, იდეა, კომპლექსური დავალების პირობა) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნებიდან გამომდინარეობს, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დამატებითი აქტივობების რესურსებიდან გამომდინარე ჩანს,რომ მომავალ სასწავლო წელს სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა თუ როგორ ამუშავებენ სამიზნე ცნებებს კომპლექსური დავალებების დახმარებით.

გამომდინარე იქიდან, რომ დაწყებით საფეხურზე „მე და საზოგადოებისა“ და „ჩვენი საქართველოს“ ფარგლებში გაწერილია სავალდებულო თემები, თემების ფარგლებში შერჩეულია საკითხები და ასევე განსაზღვრულია თუ რომელი საკითხი რომელ სამიზნე ცნებასთან მიმართებით დამუშავდება (რამდენიმე შემთხვევაში არ მუშავდება თემაში ყველა სამიზნე ცნება) შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; საგან „ჩვენი საქართველოს“ ფარგლებში“ პირველ ეტაპზე გადმოგზავნილ დოკუმენტებში კონტექსტ-მაგალითები და კომპლექსური დავალებების იდეები სწორი ფორმულირებით იყო გაწერილი, განახლებული ჩარჩოებში, რამდენიმე შემთხვევაში კონტექსტ-მაგალითების ველში გაწერილი აქტივობების/დავალებების იდეები და საჭიროებს გადახედვას.**ამიტომ საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით მიეცათ რჩევები_1.გათვალისწინებულ იქნას ყველა თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი**

**2. „ჩვენი საქართველოს“ მე-6 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში გადაიხედოს კონტექსტ-მაგალითების რამდენიმე ველი, სადაც აქტივობების/დავალებების იდეებია გაწერილი**

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

2. დაწყებითი საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით დაგეგმილია სასწავლო პროცესი განხორციელდეს კომპლექსური დავალებების დახმარებით, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლემ უნდა წარმოადგინოს თავისი შექმნილი პროდუქტი. მოსწავლის მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებების პრეზენტირება მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

შემუშავებული კურიკულუმებით გათვალისწინებული აქტივობები მიმართულია პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური (შემეცნებითი) და ემოციურ-სოციალური განვითარებისაკენ.

მაგალითად, უცხოურ ენებში, ერთ-ერთი კლასის კურიკულუმში არის წარმოდგენილი კომპლექსური დავალება, სადაც მოსწავლემ უნდა წარმოადგინოს პოსტერი საყვარელი წელიწადის დროების შესახებ და თან ახნას რატომ არის მისთვის განსაკუთრებით საყვარელი; ამის ნათელი მაგალითია ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც გვიჩვენებს სხვადასხვა აქტივობას: მაგალითად, კლასგარეშე ღონისძიებებს, მოსწავლეთა განწყობის ასამაღლებლად,რომლის ამსახველი ფოტომასალაც არსებობს დოკუმენტაციაში.აქვთ შემუშავებული მოსწავლეთა გამოკითხვის ფორმა. ყოველივე აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური განვითარება პრიორიტეტული საკითხია.

მასწავლებლები საგაკვეთილო თუ არაფორმალურ გარემოში ცდილობენ დაეხმარონ მოსწავლეებს საკუთარი თავის შეცნობაში ასაკის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებით, როლური თამაშების გახორციელებით, თანამშრომლობითი მიდგომების დანერგვით. ხშირად იყენებენ შექებას და პოზიტიურ განწყობას უქმნიან მოსწავლეებს სწავლისა და შემეცნების პროცესში; სადამრიგებლო პროგრამაში შეტანილია ისეთი საკითხები,როგორიცაა მაგ, გარემოს დაცვა, ბუნებრივი კატასტროფები და რისკის შემცირება, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, როგორ ვაქციოთ წვეულება დღესასწაულად. ამ საკითხებზე მუშაობისას მასწავლებლები ცდილობენ ყურადღება მიაქციონ მოსწავლის დამოკიდებულებას განსხვავებული ადამიანებისა და მოვლენების მიმართ, მეტ ინფორმაციას აწვდიან ბავშვთა უფლებების შესახებ, სიმულაციებით და როლური თამაშებით აჩვენებენ კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებისა და ემოციების მართვის დადებით მაგალითს.

ესთეტიკური აღზრდის კურიკულუმში, პრიორიტეტულია ისეთი თემები, როგორიცაა მეგობრობა, ემპათია;ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლის სხვადასხვა მეთოდები - თეორიული, პრაქტიკული. კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვადასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს და ქართველი სპორტსმენების მიღწევებს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას. ამრიგად, მასწავლებლები ყოველთვის ორიენტირებული არიან მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე, ხოლო სასწავლო პროცესს აფუძნებენ ესგ-ის გრძელვადიან მიზნებზე. შექმნილი აქვთ პოზიტიური, მოწესრიგებული სასწავლო გარემო, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს თავი იგრძნოს დაფასებულად და აღიარებულად, პედაგოგები ითვალისწინებენ ყველა მოსწავლის ინდივიდუალურ, ფიზიკურ, ფსიქო-ემოციურ მახასიათებლებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

3. დაწყებით საფეხურზე ძირითადად ხორციელდება განმავითარებელი შეფასება. წარმოდგენილ კომპლექსური დავალების მატრიცაში მოცემულია შეფასების კრიტერიუმები, რომლიდანაც ნათლად ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა; სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმს, სტანდარტის შედეგების მიღწევის სოლო ტაქსონომიას, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: პრესტრუქტურულს, უნისტრუქტურულს, მულტისტრუქტურულს, მიმართებით და აბსტრაქტულს, რომელთაგან თითოეული წარმოაჩენს სამიზნე ცნების ფლობის დონეს, სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული საკითხის/საკითხების გააზრების ხარისხს. მე-5 და მე-6 კლასებში გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასება, რომლის შეფასების რუბრიკები ასევე მიმართულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია, რომ სკოლა გეგმავს შედეგების მიღწევის ტაქსონომიის გამოყენებას 2023-2024 სასწავლო წლისთვის, აგრეთვე საუბარია იმაზე, რომ დაწყებით საფეხურზე იყენებენ სხვადასხვა ტიპის შეფასების სქემებს და მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკებს, რისი ნიმუშებიც წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის მტკიცებულებების ნაწილში, კონკრეტული საგნის მითითების გარეშე (დანართი 13).

სკოლამ ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ცალკე ვერ წარმოადგინა განსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები, თუმცა წარმოდგენილ კომპლექსური დავალებებში ჩაშენებულია შეფასების კრიტერიუმები. ინტერვიუზე, გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ პრაქტიკაში ყოველთვის ეფექტიანად იყენებენ შეფასების მექანიზმებს.

ამიტომ **სახელმწიფო ენის** მიმართულებით მიეცათ რჩევა, **დაწყებით საფეხურზე სკოლამ შეიმუშაოს განმავითარებელი ( I-VI კლასების ჩათვლით) და განმსაზღვრელი ( V-VI კლასების) შეფასების რუბრიკები**

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

4. სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ყოველი მოსწავლის შეფასება თითოეული სასწავლო თემის მიხედვით. პედაგოგებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ შეფასების რუბრიკების გამჭვირვალეობის მიზნით, ანალოგიური რუბრიკები ცნობილი იქნება მოსწავლეებისათვის და ყველა დაინტერესებული პირისთვის. სასწავლო პროცესში გამოყენებისას კი სკოლა იზრუნებს ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. ამის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების

შეფასებასა და მის მიზნობრივად გამოყენებას სასწავლო პროცესში სკოლაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი. შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ ყოველთვის ცდილობენ ობიექტურ უკუკავშირს და გამოთქვეს მზაობა ეფექტიანად გამოიყენონ შეფასების ინსტრუმენტები სწავლებისას.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

5. სკოლამ წარმოადგინა ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც დგინდება თუ რამდენად ასრულებს სკოლაში არსებული შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას. სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს, რომლებიც შემუშავდება სკოლის კათედრების მიერ. ვერიფიკაცია მოიცავს შეფასების ნიმუშების შერჩევასა და მონიტორინგს, იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეფასება არის ზუსტი, ვალიდური და თანმიმდევრული. სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტის მიხედვით სკოლა ვერიფიკაციას განახორციელებს სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციას განახორციელებს სკოლაში შექმნილი სპეციალური ვერიფიკაციის ჯგუფი. მოცემული დოკუმენტითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ სკოლაში შემუშავებულია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც სკოლა გაანალიზებს მოსწავლეთა შედეგებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.
ვერიფიკაცია, შიდა მონიტორინგის ინსტრუმენტად განიხილულია სკოლაში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზი. როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მაწავლებლებისთვის რეკომენდაციების მიცემა. ამის მტკიცებულებად სკოლამ გვიჩვენა კათედრის ოქმები, სადაც აღნიშნული საკითხები დღის წესრიგშია წარმოდგენილი.
*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

6.სკოლა იცავს დოკუმენტების წარმოებასა და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. მოსწავლეთა მიერ კონკრეტული საგნის დაძლევის საფუძველი ასახულია როგორც ელექტრონულ ჟურნალში, ასევე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში. სკოლა მომავალშიც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა*
- *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი*
- *საგნობრივი კურიკულუმები*
- *თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკები (დანართი 13)*
- *შეფასების რუბრიკები;*
- *ინტერვიუები პედაგოგებთან.*
- *კომპლექსური დავალებები*
- *სკოლის სასწავლო გეგმა*
- *სადამრიგებლო პროგრამა*
- *დაწყებითი კლასების მასწავლებლის რეფლექსია*
- *საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმი N4*
- *შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი ბუნებისმეტყველებაში. მე-5 კლასი*

### 2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

1.სკოლაში კარგად ჩანს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს არსებობა. კათედრის წევრები ურთიერთანამშრომლობენ და ერთობლივად გეგმავენ სხვადასხვა აქტივობას. დაწყებით საფეხურზე სხვადასხვა კლასის მოსწავლეები და მასწავლებლები ერთად ახორციელებენ ღონისძიებებს, რასაც მოწმობს ინტეგრირებული გაკვეთილის ამსახველი ფოტომასალა,პრიორიტეტული და წახალისებულია მოსწავლეთა აქტივობები, ხოლო მასწავლებლები ხშირად ითავსებენ ფასილიტატორის ფუნქციას. სკოლას აქვს მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა გამოკითხვის ფორმები, რათა ხელი შეუწყოს მათ საჭიროებებსა და ინტერესებს.

როგორც ინტერვიუდან გაირკვა სკოლაში შექმნილია მაქსიმალურად მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, სადაც ყველა ცდილობს შეძლებისდაგვარად სასწავლო პროცესი იყო პოზიტიური.სასწავლო პროცესში აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან მასწავლებლები და მოსწავლეები. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. პედაგოგები ესწრებიან ტრენინგებს და მიღებულ გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს.

დაწყებითი საფეხურის პედაგოგები ქმნიან ისეთი სივრცეს, სადაც უზრუნველყოფილია მოსწავლეთა მხარდაჭერა და მიმღებლობითი გარემო, ეს წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმაში და დადასტურებულია პედაგოგებთან ჩატარებული ინდივიდუალური ინტერვიუებით. სასკოლო სასწავლო გეგმა აზუსტებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ საათობრივ ბადეს, განსაზღვრავს საგაკვეთილო ცხრილს, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას, სასწავლო რესურსებს, სწავლა/სწავლების სტრატეგიებს და უზრუნველყოფს მოსწავლეებს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. ასევე, წარმოდგენილია სსსმ მოსწავლეებისათვის ისგ-ს შექმნის მეთოდოლოგია და მოცემულია სსსმ მოსწავლის ისგ-ის ნიმუში. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ სკოლაში სწავლა-სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს სხვადასხვა გამჭოლი უნარები და ღირებულებები, როგორიცაა პრობლემების გადაჭრის, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების და ა.შ.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

2. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო პროგრამით განსაზღვრული სტანდარტებით და მოიცავს საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო აქტივობებს, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესების სფერო. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური

დავალებები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად. აქ იგულისხმება ასევე, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევა და ამ კვლევაზე დაფუძნებით შესაბამისი ცვლილებების შეტანა სასწავლო პროცესში. თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, მოსწავლეებთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფილია ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, ამისათვის კი გამოიყენება კლასის მართვის ეფექტიანი სტრატეგიები. ყოველივე ეს დასტურდება სასკოლო სასწავლო გეგმით, საგნობრივი კურიკულუმებით და მოცემული კომპლექსური დავალებების ბარათებით.ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტით განსაზღვრულია, თუ რა მიმართულებით წარიმართება პროცესები, მოსწავლეთა მხარდასაჭერად, მათ შორის მხარდაჭერილია ოლიმპიადებში, პროექტებსა და კონფერენციებში მონაწილეობა; დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებებისა და სსსმ მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესაძლებლობა,შეფასებასაც. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული და მათზეა ორიენტირებული.

ბუნებისმეტყველებაში შემუშავებული აქვს მიმდინარე წლის კურიკულუმი. სასწავლო პროცესი წარიმართება როგორც სასწავლო ოთახებში, ასევე კლას-კაბინეტებში, მასწავლებლები აქტიურად იყენებენ გარე სივრცეებს გაკვეთილების თუ პროექტების განსახორციელებლად და საშინაო დავალებების მიცემის დროს მასწავლებლები მოსწავლეებს აწვდიან როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით დავალებებს.

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

3.სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესი დაფუძნებულია თანამშრომლობით კულტურაზე და ჯანსაღ კომუნიკაციაზე, კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგიაში ჩანს რომ, დაწყებითი კლასების პედაგოგები შეთანხმდნენ საერთო თემებსა და საკითხებზე, რომ შემდეგ შეძლონ შედარებითი ანალიზი, ამის საფუძველზე კი მომავალში შექმნან კურიკულუმების შეჯერებული და გაუმჯობესებული ვარიანტი. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით სწავლება გულისხმობს პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს კათედრის თვითშეფასების კითხვარი და ხარისხის მართვის ანგარიში, სადაც მოცემულია ხარისხის ჯგუფის მიერ გაკვეთილზე დასწრების ანგარიში. სკოლაში, ასევე შემუშავებულია ხარისხის ჯგუფის დებულება, რომელშიც ზუსტადაა გაწერილი მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერისათვის საჭირო აქტივობები და ეტაპები.

როგორც ინტერვიუდან ჩანდა, სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, რადგანაც, კათედრის წევრებს ჰქონდათ ერთმანეთთან კონსტრუქციული კომუნიკაცია, აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესში ინტენსიურად თანამშრომლობენ

მასწავლებლები. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით.

ამრიგად,დაწყებითი კათედრის წევრთა შორის სისტემურად ხორციელდება გამოცდილების გაზიარება, წარმატებების გაანალიზება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ასევე სხვა საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობა. ერთობლივად გეგმავენ და აწყობენ საჩვენებელ გაკვეთილებს, აქტიურად ერთვებიან კათედრის მიერ დაგეგმილ სამუშაო შეხვედრებზე, განიხილავენ მათთვის მნიშვნელოვან საკითხებს: როგორიცაა: განმავითარებელი შეფასება, კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპებისა და სწავლების დიფერენცირების გათვალისწინება სასწავლო პროცესში, თანამედროვე პროფესიული ლიტერატურისა და საგანმანათლებლო კვლევების გაცნობა, რასაც იყენებენ საკუთარი და კოლეგების პედაგოგიური პრაქტიკის გასაუმჯობესებლად „კრიტიკული მეგობრის“ პოზიციიდან.

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

4.სკოლა უზრუნველყოფს პატივისცემაზე, ნდობაზე დაფუძნებულ სასწავლო პროცესს. სასკოლო კულტურა დაფუძნებულია კეთილგანწყობასა და ურთიერთპატივისცემაზე, ურთიერთთანამშრომლობასა და ურთიერთმხარდაჭერაზე. ინტერვიურების დროს გამოვლინდა, რომ სკოლის ხელმძღვანელობის დამოკიდებულება სასწავლო პროცესისა და პედკოლექტივის მიმართ უზრუნველყოფს პოზიტიური და მეგობრული გარემოს შექმნას როგორც სკოლის შიგნით, ისე კლასის დონეზე. სკოლაში შექმნილია პოზიტიური და უსაფრთხო გარემო. მასწავლებელსა და მოსწავლეებს აქვთ ერთად შემუშავებული ქცევის წესები და გაცნობიერებული აქვთ მათი მნიშვნელობა. სკოლაში არსებულ პოზიტიურ კლიმატზე მიუთითებს, უპირველეს ყოვლისა, ის თბილი ურთიერთობები, რომელიც დაფუძნებულია თანამშრომლობით სწავლებაზე. ყოველივე ეს სასკოლო საზოგადოების მუშაობის ერთიანი ხედვისა და კომუნიკაციის შედეგია.

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი;*
- *შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმის პროექტი;*
- *სასკოლო- სასწავლო გეგმა;*

- *მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი;*
- *დაწყებითი კლასების საგნობრივი კურიკულუმები;*
- *კათედრის თვითშეფასების კითხვარი;*
- *კათედრის სამოქმედო გეგმის შექმნის პროცედურები და სამოქმედო გეგმა;*
- *ინტერვიუები პედაგოგებთან;*
- *კათედრის ოქმები;*
- *სასკოლო ღონისძიებები;*
- *მშობელთა და მოსწავლეთა კითხვარები;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია თუ როგორ ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კურიკულუმის მონიტორინგი ამ ეტაპზე ხორციელდება კათედრის ჯგუფის მიერ. სკოლაში ფუნქციონირებს სწავლის პროცესის/ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს დაკვირვებას თუ როგორ შეძლეს მოსწავლეებმა ესგ-ის შედეგების მიღწევა სასწავლო რესურსებითა და აქტივობების შინაარსზე დაფუძნებით. კათედრის წევრების განცხადებით, ისინი ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე შეიმუშავებენ მეთოდოლოგიურ ჩარჩოს, რომელშიც გამოიკვეთება მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის პროცესები, თუ როგორ შეიძლება აისახოს მიღებული შედეგები კურიკულუმსა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებაზე.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

2.სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც ვალდებულია თვალყური ადევნოს და შეაფასოს სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესი. ამ ჯგუფს ევალება გაკვეთილებზე დასწრება და ჩატარებული გაკვეთილის ხარისხის შეფასება, შესაბამისად პედაგოგისთვის კონსტრუქციული უკუკავშირის მიცემა, რაც უზრუნველყოფს მის პროფესიულ ზრდას. კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ თვით პედაგოგებიც ახდენენ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას და ერთმანეთის შეფასებას. სკოლაში სწავლება დაფუძნებულია კომპლექსური დავალებების განხორციელებაზე, შესაბამისად ყოველი ასეთი დავალების შესრულების შემდეგ კათედრებზე ხდება მათი შეფასება, ყოველი წარმატებული და გასაუმჯობესებელი საკითხის დაფიქსირება, რაც საბოლოო ჯამში საჭიროა კურიკულუმის განხორციელების შეფასებისთვის.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

3.სკოლის პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის SVOT ანალიზის მეთოდით იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომლის წევრები სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად აფიქსირებენ ყველა გამოვლენილ პრობლემას, რათა შემდეგ დასახონ მათი გადაჭრის გზები. კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ თვით პედაგოგებიც ახდენენ საკუთარი გაკვეთილების თვითრეფლექსიას, კოლეგების ურთიერთშეფასებას და კათედრებზე განხილვის პროცესში ეძებენ გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზებს.სამომავლოდ სკოლას გადაწყვეტილი აქვს შექმნას ისეთი მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმების ეფექტიან მონიტორინგსა და შეფასება, რათა უკეთესად შექმნან რევიზირებული კურიკულუმები და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.

სკოლის პრობლემების მონიტორინგის და შეფასების განსაზღვრის იდენტიფიცირების შემდეგ, სასკოლო საზოგადოება გეგმავს კონკრეტულ ნაბიჯების - კონკრეტული მიზნებისათვის განსაზღვროს პასუხისმგებელი სტრუქტურები.

**თუმცა,ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში მიეცათ რჩევა, სამომავლოდ უმჯობესი იქნება, სკოლამ გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით, სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები.**

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;*
- *ინტერვიუები პედაგოგებთან;*
- *თვითშეფასების კითხვარი;*
- *ვერიფიკაციის მექანიზმი;*
- *კურიკულუმები;*
- *კომპლექსური დავალების ანალიზის დოკუმენტი;*

- *თვითრეფლექსია;*
- *ხარისხისა განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.*

### 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან ირკვევა, რომ სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა შეფასების გამჭვირვალე და ობიექტური სისტემა. მოსწავლეებს ამოწმებენ როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასებით. სკოლას გააზრებული აქვს, რომ მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემა ეყრდნობა მოსწავლეზე ინფორმაციის შეგროვების მრავალფეროვან წყაროებს, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლე შეაფასოს მრავალი კუთხით.სკოლის მიერ წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები. სკოლაში განმსაზღვრელი შეფასება ხდება საშინაო, საკლასო დავალებებში და შემაჯამებელ წერებში, წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სასწავლო პროცესის შეფასება დაწყებით საფეხურზე კომპლექსური დავალებების მიმდინარეობის პროცესშიც და საბოლოო შემოქმედებითი პროდუქტის წარდგენისასაც ხორციელდება. გასაუბრებით გაირკვა , რომ სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან განმსაზღვრელ შეფასებას, ხოლო მანამდე- განმავითარებელს, აქვთ ჯგუფური მუშაობისა და განმავითარებელი შეფასებების გამოყენების გამოცდილება, თუმცა არა აქვთ წარმოდგენილი რუბრიკები, **ამიტომ სახელმწიფო ენაში მიეცათ რჩევა, სასურველია, სკოლას ჰქონდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით.**

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

2.სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და პედაგოგთა ინტერვიუებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ შეფასება ეყრდნობა სხვადასხვა წყაროებს. გაწერილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კომპონენტები და რუბრიკები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის შეფასებას მრავალი წყაროსა და კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლის სასწავლო გეგმიდან ირკვევა, რომ მოსწავლეების შეფასება ხდება არამარტო აკადემიური მოსწრების მიხედვით, არამედ ითვალისწინებენ მოსწავლის მისწრაფებებს, მის უნარებს. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა შეფასებისას ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორებს, კერძოდ, იმ სუბიექტურ თუ ობიექტურ მიზეზებს, რომლებმაც შესაძლოა მოსწავლეზე იქონიოს გავლენა, მომდინარეობდეს მისგან დამოუკიდებლად და ხელს უშლიდეს მას სწავლის პროცესში. სკოლას წარმოდგენილი აქვს სსმ მოსწავლეების ისგ-ის შემუშავების მეთოდოლოგია და სხვადასხვა საგნებში მოსწავლეთა ისგ-ს ნიმუშები. სკოლის მიერ შეფასების ვალიდაციას სწორედ ასეთი მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს.

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

3.სკოლაში მასწავლებლებს ჩატარებული აქვთ საჭიროებათა კვლევები მონაცემთა შეგროვების მიზნით. გამოყენებულია მრავალფეროვანი მეთოდები, მათ შორის ყველაზე ტიპური და გამოყენებადი საგანმანათლებლო სფეროში : მშობელთა გამოკითხვა, ინტერვიუ, ანკეტირება, ფოკუს-ჯგუფი, ასევე, ჩანს, რომ საგაკვეთილო პროცესისას იყენებენ თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვებას, ტესტირებას და ა.შ. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლა ამ მიმართულებით მომავალშიც გააგრძელებს მუშაობას.

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

4.სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან და კომპლექსურ დავალებების შეფასების კრიტერიუმებიდან ირკვევა, რომ პედაგოგები შეფასებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობების სხვადასხვა ფაქტორებს. კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლემ შეიძლება შექმნილი პროდუქტი წარმოადგინოს ნებისმიერი მისთვის სასურველი ფორმით, ეს არ მოქმედებს მის შეფასებაზე. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა შეფასებისას იყენებენ დიფერენცირებული სწავლების ელემენტებს, რაც სასწავლო პროცესს ხდის მოსწავლეზე ორიენტირებულს.

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;*

- *ვერიფიკაციის მექანიზმი;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *ინტერვიუები პედაგოგებთან;*
- *შემაჯამებელი კოპლექსური დავალებები;*
- *თვითშეფასების კითხვარი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.სკოლის მიერ წარმოდგენილ „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“-ში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. პედაგოგები მთელი წლის განმავლობაში აგროვებენ კურიკულუმის დანერგვის პროცესში მიღებულ შესაბამის მონაცემებს და შემდეგ ხდება მათი ანალიზი კათედრის სხდომებზე. განხილულ საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე კათედრები შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, რომლებიც უზრუნველყოფს მომდევნო წლის კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრის სხდომებზე მუდმივად განიხილება რომელიმე თემის სწავლებისას, ან კომპლექსური დავალების განხორციელებისას წარმოქმნილი პრობლემები. განიხილება ამ პრობლემების გადაჭრის გზები მათი კურიკულუმში ასახვის მექანიზმები.

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

2.დაწყებითი საფეხურის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათი სკოლა არაა ჩართულია ,,ახალი სკოლის“ მოდელში, ამიტომ მწირი გადმოცდილება აქვთ კურიკულუმების შემუშავებასა და მათ განხორცილებაში, თუმცა გამოთქვეს მზაობა, რომ მიიღონ ნებისმიერი რჩევა და გააუმჯობესონ მუშაობის ხარისხი. აღნიშნეს, რომ შემუშვებული ვერსია ეფუძნება წინარე ცოდნასა და მათსავე წარმატებულ გამოცდილებას, აგრეთვე, მიღწეულ საუკეთესო შედეგებს. ამ მიზნით პრაქტიკაში ხშირად მიმართავენ ,,კრიტიკული მეგობრის“ დასწრებას, ითვალისწინებენ მის უკუკავშირს. ასევე, ერთად აანალიზებენ მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ ხარვეზებს.

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *ინტერვიუები პედაგოგებთან;*
- *რესურსი 12 ;*
- *თვითშეფასების კითხვარი;*
- *კურიკულუმები;*
- *კომპლექსური დავალებები;*

- *კურიკულუმის  შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სამოქმედო წლიური გეგმა.*

შეფასება:

- *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**საბაზო საფეხური**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>საბაზო საფეხური | **X შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | **X** შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | **X** შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | **X** შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | **X** შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. სასკოლო კურიკულუმი**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. საბაზო საფეხურზე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და პრიორიტეტული საკითხებს. მასწავლებლებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ საბაზო კლასების პედაგოგები მჭიდროდ თანამშრომლობენ როგორც ერთმანეთთან, ისე სხვა საგნების მასწავლებლებთან სამივე საფეხურზე. კათედრის წევრებს შორის,მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ნაწილდება ფუნქციები , რაც მიზნად ისახავს კურიკულუმის შემუშავებისას ყველას ჩართულობას , მათი შეხედულებების გათვალისწინებას , კათედრებს შორის თამშრომლობით ურთიერთობას. სკოლის მიერ წარმოდგენილია 2023-2024 წლებში ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც აღწერს კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს, პრინციპებს, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმი, განვითარების პროცესს და კურიკულუმის განვითარების ეტაპებს (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და

შეფასება, განახლება და რევიზია). დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესი ეფუძნება შემდეგ საკითხებს: კონცეპტუალურ ჩარჩოს (ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, სკოლის ფილოსოფიას), კურიკულუმის დიზაინს, კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულებს, დანერგვის ინსტრუმენტებს, შუალედური სასწავლო მიზნებს, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაციას, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციებსა და მონაწილეობის ფორმებს კურიკულუმის განვითარების პროცესში,გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეთა ინტერესები, დაცულია დიფერენცირებული სწავლების მეთოდები. კურიკულუმების შემუშავებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წლის ანალიზი, შემდეგი მიმართულებებით: მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში (წარმოდგენილია მშობელთა კითხვარი), მოსწავლეთა შედეგები, კათედრის მუშაობა (წარმოდგენილია კათედრების სამოქმედო გეგმა და სხდომის ოქმები), დირექციის მუშაობა. საბაზო საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოებში ჩანს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება - კომპლექსური დავალებებიის იდეები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. სკოლა გვიჩვენებს შუალედური მიზნებს, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

2. საბაზო საფეხურის კურიკულუმში სკოლა ასახავს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, ეყრდნობა მოსწავლეთა შედეგებს, მათ უკუკავშირს, გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს მშობლებთან გასაუბრების შედეგად მიღებულ ინფორმაციას. პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ კურიკულკუმის შემუშავებისას აანალიზებენ საბაზო საფეხურის მოსწავლეთა შედეგებს, გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებენ მშობლებთან გასაუბრების შედეგად მიღებულ ინფორმაციასაც. მათ შემუშავებული აქვთ მასწავლებელთა , მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვის ფორმები, რომლებიც წარმოადგინეს ლინკების სახით, მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესების დასადგენად ჩაატარეს გამოკითხვა Google Forms-ში მომზადებული კითხვარის საშუალებით. მასწავლებლებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ ეს მეთოდი ეხმარებათ კომუნიკაციაში და მიღებული უკუკავშირით სასწავლო პროცესის ეფექტიანად დაგეგმვაში. კურიკულუმის შემუშავების პროცესის ნაწილი არის კათედრებზე მასწავლებლების მიერ ინდივიდუალური ხედვის წარდგენა, კოლეგებთან ერთად განხილვა, უკუკავშირი, გასული წლის გამოცდილების გაზიარება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე.საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებლის საგნობრივ რეფლექსიაში წარმოდგენილია , რომ ერთად განიხილეს როგორ მიმდინარეობდა კომპლექსურებზე მუშაობა, როგორ შექმნეს პროდუქტები და გაასიტყვეს ისინი, ადგილზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა დავალების პროდუქტები. კომპლექსური მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ „კურიკულუმი

ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს", სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად მეთოდოლოგიით განისაზღვრება შესაბამისი საკომუნიკაციო საშუალებები: ელექტრონული ფოსტა; დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა; პორტალი ვებგვერდი; სოციალური მედია; ბეჭდვითი მასალები; საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში ასევე აღნიშნულია, რომ კურიკულუმის შედგენისას შეძლეს მოსწავლეთა ინტერესების, ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინება,შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შესაძლებელია კურიკულუმში ასახული იყოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

3. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია კურიკულუმზე მუშაობის პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები, პასუხისმგებლობები და მონაწილეობის ფორმები. სასკოლო საზოგადოება მთლიანად არის ჩართული კურიკულუმების შემუშავების პროცესში. თვალსაჩინოა კათედრათაშორისი ურთიერთობები. მათ წარმოდგენილი აქვთ ,, კათედრის სამოქმედო გეგმის შექმნის მეთოდოლოგია", რომელის მომზადების პროცესი ორ ეტაპს ეყრდნობა : წინა წლის შედეგების განხილვასა და სამომავლო გეგმის ფორმირებასა და კათედრების მიერ მის გადახედვაზე მსჯელობას,საგნობრივი კურიკულუმები კათედრებზე კოლეგებთან თანამშრომლობით ხორციელდება, რაც კათედრის სამუშაო გეგმაშიც ჩანს. ასევე აქვთ ,,კათედრის თვითშეფასების კითხვარი", რომელშიც გაწერილია, რომ ერთობლივი განხილვის საფუძველზე იგეგმება სასწავლო პროცესი. როგორც საბაზო საფეხურის მასწავლებლებმა განაცხადეს, კურიკულუმების პრეზენტაციებს ეცნობა ყველა პედაგოგი, ერთმანეთთან შეთანხმებით დგინდება შესასწავლი თემები და საკითხები სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, იგეგმება კომპლექსური დავალებების იდეები და მათი განხორციელება.მაგალითად, საბუნებისმეტყველო კათედრაზე მიმდინარეობს კურიკულუმების შემუშავება, შემუშავების პროცესში განიხილავენ წინა წლის კომპლექსურ დავალებებს, გამოყენებულ მეთოდებს, აქტივობებს და რესურსებს, დანერგეს შედეგი კომპლექსური დავალებები: : მერვე კლასში- ,,ენერგეტიკული ღირებულების კვლევა'', ,, ,,ენდემური ჩიყვი, მეცხრე კლასი_,,მიტოზის და მეიოზის მოდელის შექმნა'', მეშვიდე- ,,მცენარეები ცოდნის კომპასში", ასევე ხდება მასწავლებელთა თვითშეფასებების განხილვა და რეფლექსიების საფუძველზე ხდება კურიკულუმის შემუშავება.კათედრებზე ერთად

მუშავდება შეფასების ინსტრუმენტები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების გამოკითხვის შედეგად კი ითვალისწინებენ უკუკავშირის შედეგად მიღებულ რჩევებს,დამატებით მშობელთა ჩართვას ითვალისწინებენ სადამრიგებლო საათებისა და სასკოლო პროექტების დაგეგმვის პროცესში.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

4. საბაზო საფეხურზე კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. დაწყებითის, საბაზო და საშუალო საფეხურის პედაგოგები მჭიდროდ თანამშრომლობენ , რაც კარგად ჩანს კურიკულუმებში გაწერილ საკითხთა ურთიერთმიმართებაში, ასევე , იმ აქტივობებში, რომლებსაც ერთობლივად ახორციელებენ. ამის დასტურია სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები, ერთობლივად შემუშავებული თემატური მატრიცები, რომლის შესაბამისი მოსწავლის ბარათები მიეწოდება მოსწავლის მშობლებს. პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ კურიკულუმების გაზიარებაზე ზრუნავენ არა მარტო კათედრის შიგნით სხვადასხვა საფეხურზე, არამედ მთლიანად სასკოლო საზოგადოებას აწვდიან ინფორმაციას. ეს ხდება პედაგოგიური საბჭოს კრებებსა და მშობელთა კრებებზე , მშობლებთან ინტენსიური კომუნიკაციის გზით. სკოლის მიერ წარმოდგენილ ,,სადამრიგებლო პროგრამაში“ კარგად იკვეთება დამრიგებლის როლი აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, რომელიც მოიცავს ,, მშობელთა ინფორმირებას, მათი ჩართულობის გაზრდას სასწავლო პროცესში და მათთან ერთად სადამრიგებლო პროექტების დაგეგმვას“ ( ,,სადამრიგებლო პროგრამა“).სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად მეთოდოლოგიით განისაზღვრება შესაბამისი საკომუნიკაციო საშუალებები: ელექტრონული ფოსტა; დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა; პორტალი ვებგვერდი; სოციალური მედია; ბეჭდვითი მასალები; საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *კურიკულუმის განვითარების და შემუშავების მეთოდოლოგია;*
- *სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;*
- *მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა კითხვარი;*

- *2023 –24 წლებში ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი;*
- *საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;*
- *ინტერვიუები პედაგოგებთან;*
- *სასკოლო-სასწავლო გეგმა;*
- *სადამრიგებლო პროგრამა;*
- *კათედრის სამოქმედო გეგმის შექმნის მეთოდოლოგია;*
- *კათედრის თვითშეფასების კითხვარი;*
- *კათედრის ოქმები;*
- *სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს ოქმები;*
- *ფესტივალის, სასკოლო პროექტებში ანუ შიდასასკოლო კონფერენციებში მონაწილეობისა და სხვა აქტივობების ამსახველი ფოტო-მასალა;*
- *საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმი N4;*
- *მშობელთა ბარათები.*

**2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას,მაგალითად საგნებში, ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა, წარმოდგენილ კურიკულუმებში განსაზღვრულია სავალდებულო თემათა ჩამონათვალი, სამიზნე ცნებები - გრძელვადიანი მიზნების სახით, შერჩეულია საკითხები, შუალედურ სასწავლო მიზნად განსაზღვრულია თითოეულ საგანში რამდენიმე კომპლექსური დავალება, მათ შორის კომპლექსური დავალების პირობები ზოგ შემთხვევაში წარმოდგენილია მატრიცების ან მოსწავლის ბარათების სახით.უცხოური ენების კათედრაზე შემუშავებულია კურიკულუმები ყველა კლასში, რაც ბუნებრივია, უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას. კურიკულუმებში მეტწილად წარმოდგენილია კომპლექსური დავალების პირობები, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში არ არის წარმოდგენილი. ასევე, კურიკულუმების შემუშავებისას გათვალისწინებულია შუალედური და გრძელვადიანი მიზნები. როგორც ინტერვიუდანაც ირკვევა, მასწავლებლებს აქვს გარკვეული მზაობა და სურვილი აქტიურად განახორციელონ კომპლექსურ დავალებები. სკოლამ ყველა კლასის მიხედვით წარმოადგინა ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო საფეხურის კურიკულუმები. მოცემული ჩარჩო- დოკუმენტებში ჩანს ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პროცესი . სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული და ემსახურება მათ განვითარებაზე ზრუნვას. შუალედური მიზნები შესაბამისია სასწავლო შინაარსთან და იმ ძირითადი რესურსებთან , რომელთა დახმარებითაც გეგმავენ შედეგზე გასვლას. მაგალითად, მე-7 კლასში ნოდარ დუმბაძის ,,ჰელადოსის“ სწავლებისას ნათელია, რომ სკოლა არ შემოიფარგლება მხოლოდ სახელმძღვანელოთი და ზრუნავს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებაზე ფილმის ჩვენებით, დამატებითი კონტექსტ-მაგალითებით; ასევე , სასწავლო შინაარსიდან გამომდინარე , ასწავლის მოსწავლეებს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა მაგალითად , რეზიუმეს დაწერა (ი. ჭავჭავაძის ტექსტის “სიტყვა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე“ სწავლებისას); პედაგოგებს აქვთ სისტემატური უკუკავშირი მოსწავლეებთან, რაც ეხმარებათ მათი ინტერესების გათვალისწინებაში. ვინაიდან სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა , შეიძლება ითქვას, რომ მათ მიერ შემუშავებული კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვასა და მის განვითარებას ახალი სასწავლო წლისთვის.

სკოლის საბაზო საფეხურის მათემატიკის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები აგებულია სამიზნე ცნებების შესაბამისად, ყოველ სასწავლო თემაში მუშავდება სამივე სამიზნე ცნება. ასევე გათვალისწინებულია სწავლების დიფერენცირებული მიდგომა, სსსმ მოსწავლეების საჭიროებები და საბოლოოდ, მათემატიკის კურიკულუმები ეხმარება მოსწავლეს სწავლასა და განვითარებაში. მათემატიკის კურიკულუმებში ძირითადად ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებებზე,

გათვალისწინებულია შუალედური მიზნები, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, ეს ყველაფერი დაფუძნებულია წინარე ცოდნაზე. მაშასადამე, საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება კურიკულუმებით და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, რომელიც კათედრამ შეარჩია და წარმოადგინა. სკოლას აქვს საბუნებიმეტყველო კაბინეტები ცალ-ცალკე: ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის, ასევე უზრუნველყოფილნი არიან სასწავლო რესურსებითაც. ახლად გარემონტებული სკოლა და შესაბამისი რესურსები სრულად აძლევს საშუალებას ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლებს სასწავლო პროცესი იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული და შესაბამისად მათი განვითარების გზაც ჩანს კურიკულუმში.

სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის საბაზო საფეხურის, მე-7-9 კლასის, კურიკულუმებში, გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

2. წარმოდგენილი კურიკულუმებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი სამიზნე ცნებებზეა ორიენტირებული. ასევე, კურიკულუმებში ასახულია ცნებასთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და საფეხურის საკვანძო შეკითხვები. გარდა ამისა, ზოგან წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ხელს უწყობენ ისეთი გლობალური-ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორებიცაა, კომუნიკაცია და შემოქმედებითი აზროვნება, მაგალითად, უცხოურ ენებში, გვხვდება დავალებები, სადაც მოსწავლეებს უწევთ საკუთარ გამოცდილებებზე დაყრდნობით პლაკატის, პოსტერის ან პრეზენტაციის მომზადება და მაქსიმალურად ეძლევათ საშუალება შემოქმედებითად მიუდგნენ ამ პროცესს.საბაზო საფეხურზე, საგნებში ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა, წარმოდგენილია სავალდებულო თემები, შერჩეულია საკითხები და შუალედურ სასწავლო მიზნად განსაზღვრულია კომპლექსური დავალებები, რომელთან მიმართებითაც ასევე წარმოდგენილია სამიზნე ცნებები გრძელვადიანი მიზნების სახით (გეოგრაფიას ფარგლებში რამდენიმე შემთხვევაში არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება ,); შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

**საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებებით მიეცათ რჩევები,**

**1. გათვალისწინებულ იქნას ყველა თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი (გეოგრაფია), მე-9 კლასში დასაზუსტებელია ბოლო თემის დასახელება.(გეოგრაფია)**

**2. მოქალაქეობის მე-9 კლასის კურიკულუმი პირველად ვერსიაში სწორი პრინციპით იყო აგებული, განახლებულ ვერსიაში სამიზნე ცნება სოციალიზაციის დასახელება საჭიროებს საზოგადოებით ჩანაცვლებას, ასევე ინიციატივა და მეწარმეობა აღარ არის მოქალაქეობის სამიზნე ცნება და საჭიროებს ამოღებას, რამდენიმე შემთხვევაში აგრეთვე არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება.**

მათემატიკის მიმართულებით,სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში კურიკულუმების ჩარჩოში ზუსტადაა გაწერილი სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები და შესაბამისი ქვეცნებები. იმ თემებში, სადაც სწავლება უნდა განხორციელდეს კომპლექსური დავალების დახმარებით  განსაზღვრულია მათემატიკის სამივე სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. კომპლექსური დავალებების შესრულება მოსწავლეებისაგან თავისთავად მოითხოვს  6-ვე  ფუნქციურ-კომპონენტური უნარის (კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, შემოქმედებითობის, ნებელობის და მოქალაქეობის) გააქტიურებას და გაცნობიერებას. პედაგოგებთან ინტერვიუთი ასევე დადგინდა, რომ კომპლექსური დავალებების განხორციელებამდე მასწავლებლები კიდევ ერთხელ გადახედავენ და მოდიფიცირებას გაუკეთებენ მათ, მოარგებენ საკუთარი მოსწავლეების შესაძლებლობებსა და საჭიროებებს.

 ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო  საფეხურის კურიკულუმებში კარგად იკვეთება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებთან მიმართება.  კომპლექსური დავალებების იდეები ითვალისწინებს  როგორც სამიზნე ცნებებზე მუშაობას, ისე გლობალურ  - ფუნქციური  უნარების  განვითარებას. მაგალითად,  შემოქმედებითი უნარის  გაღვივებას უწყობს ხელს შემოთავაზებული კომპლექსური დავალების  პირობები : რეზიუმეს დაწერა ( მე-7 კლასი-  ილია ჭავჭავაძის ,,სიტყვა წინამძღვრიანთკარის სკოლის გახსნაზე“ );  აკაკი წერეთლის ,,ბაში- აჩუკის“ სწავლებისას ისტორიული სინამდვილისა  და მხატვრულ გამონაგონზე მუშაობა. საბაზო საფეხურზე სკოლამ წარმოადგინა თემატური მატრიცები, რომლებიც ხელს უწყობს ამ უნარების, როგორც პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლების, განვითარებას ( თემა: ნოდარ დუმბაძის ,,ჰელადოსი“- მე-7 კლასი).

სკოლის მიერ მოწოდებული საბაზო საფეხურის ესთეტიკური აღზრდის საგნების (ხელოვნება, მუსიკა) კურიკულუმი არის პროცესზე ორიენტირებული პროგრამა, რომელიც  აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება და აღიარებს მოსწავლეს, როგორც სწავლა-სწავლების პროცესის წარმმართველ ძალას.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

3. სასწავლო პროცესისას სკოლა ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. იკვეთება კონკრეტულ მოსწავლეთა საჭიროებებზე , ინტერესებზე და შესაძლებლობებზე ორიენტირება. თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია, რომ სკოლისთვის ეს საკითხი პრიორიტეტულია და სკოლის მართვის პოლიტიკა თვალყურს ადევნებს სსსმ მოსწავლეთა ინდ. გეგმების შემუშავებას,მოცემულია მოსწავლის ისგ-ის ნიმუში. მასწავლებლები შეძლებისდაგვარად ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და საჭიროებებს, მათ აქვთ კომუნიკაცია ასევე კლასის დამრიგებელთან. სკოლამ დოკუმენტებად წარმოადგინა ,,ისგ-ს ჯგუფის ოქმი“, ,,ინკლუზიური განათლების ოქმი და მონიტორინგის მასალები“. ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში და სწავლებისას იყენებენ დიფერენცირებული სწავლების პრონციპებს. ნათელია, რომ სკოლა ეფექტიანად მუშაობს ინკლუზიური მიმართულებით.მაგალითად, საგან ისტორიის მე-8 კლასის კურიკულუმის ჩარჩოთი გათვალისწინებულია შემოქმედებითი პროდუქტის არჩევითობის შესაძლებლობა (მოქალაქეობის მე-9 კლასის კურიკულუმის ჩარჩოს პირველადი ვერსიაც ასევე ითვალისწინებდა შემოქმედებითი პროდუქტის არჩევითობას).მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი მოიაზრებს ყველა მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. ამ მიმართულების გაძლიერებისთვის სკოლა სწავლებას ახორციელებს დიფერენცირებული სწავლების სტარტეგიებით: მაგალითად, სასწავლომენიუ, სწავლა გაჩერებებით, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, ჯიპრაიდის რესურსები. დიფერენცირებული სწავლების დროს გასათვალისწინებელია გარემოს მოქნილობა. სკოლის სივრცეები ნამდვილად არის სწავლების პროცესში ხელშემწყობიფაქტორი. ყველა კლასშია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები. ყოველწლიურად დირექცია აახლებს ბიბლიოთეკას, არის სპეცოთახი, სკოლის დერეფნებში ინფორმაციის გასავრცელებელი სივრცეები.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

4.სასკოლო სასწავლო გეგმაში, ასევე სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია, რომ სკოლაში იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებას, აგრეთვე სკოლა განსაზღვრავს, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შემუშავდება ეტაპობრივად, თემების მიხედვით და კომპლექსური დავალებებისთვის. ამ ეტაპზე წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით გეოგრაფიის მაგალითზე და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები

სტანდარტით განსაზღვრულ ინდიკატორზე დაყრდნობით გეოგრაფიისა და ისტორიის მაგალითზე, აგრეთვე ისტორიის ფარგლებში წარმოდგენილ მატრიცებს თან ერთვის მოსწავლეთა მოლოდინების ცხრილი სამიზნე ცნებებთან მიმართებით.უცხოურ ენების კათედრაზე იყენებენ, როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. თუმცა, როცა საქმე ეხება განმავითარებელ შეფასებას, ძირთადად პედაგოგები შემოიფარგლებიან ზეპირი უკუკავშირით. აღსანიშანავია, ასევე რომ შესაბამის დოკუმენტაციებში წარმოდგენილი ჰქონდათ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.შეფასება იწერება მიმდინარე საკლასო,საშინაო და შემაჯამებელი დავალების კომპონენტებში, სკოლა იყენებს ზოგად-ჰოლისტურ და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს. მათემატიკაში, საბაზო საფეხურზე,სკოლამ წარმოადგინა როგორც განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები. განმსაზღვრელი შეფასებისთვის სკოლამ მომავალ წელს შეარჩია შეფასების პირველი მოდელი, ანუ საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალებების შეფასება განმსაზღვრელი ნიშნით. წარმოდგენილია საკლასო სამუშაოს და საშინაო დავალების შეფასების რუბრიკები, ასევე მოცემულია მე-9 კლასის ერთი კონკრეტული თემის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ ანალოგიური რუბრიკებით იხელმძღვანელებენ თითოეული თემის შეფასების დროს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის (რესურსი 12) მიხედვით ჩანს, რომ სკოლას ამ ეტაპზე გააჩნია სადიაგნოსტიკო ტესტირების ჩატარების გამოცდილება. პედაგოგებთან ინტერვიუდან დადგინდა, რომ 2023-2024 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა დიაგნოსტირება მოხდება მოსწავლეების მიერ კომპლექსური დავალებების განხორციელებაზე დაკვირვების საფუძველზე.

ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო საფეხურზე სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას ყველა კლასში . დოკუმენტებად წარმოდგენილია საკმაოდ მრავალფეროვენი ნიმუშები : პრეზენტაციის, ესეს, თხზულების შეფასების რუბრიკები, სადაც ქულებთან ერთად გაწერილია შესაბამისი კრიტერიუმები. ინტერვიუსას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ხშირად მიმართავენ განმავითარებელ შეფასებასაც და წარმოადგინეს თემატურ მატრიცაში გაწერილი კრიტერიუმები სოლოტაქსონომისათან მიმართებაში. სკოლას აქვს შემუშავებული მოსწავლეთა ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების ბარათები. მათ მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია, თემებთან და დაგეგმილი კომპლექსური დავალებებთან, შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც წარმოადგინა სკოლამ კერძოდ: - კომპლექსური და შემაჯამებელი დავალების, გაკვეთილის, მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკები.

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

5.სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია, რომ სასწავლო წლის ბოლოს კათედრების სხდომაზე და პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე ხდება მოსწავლეთა შედეგების განხილვა, მათ შორის შესრულებულ კომპლექსურ დავალებების ანალიზი და მასზე დაყრდნობით მომავალი კურიკულუმის შედგენა, მოსწავლეთა წინარე ცოდნისა და გამოცდილების მიხედვით გაწერენ კომპლექსური დავალების იდეებს. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**თუმცა, საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით მიეცათ რჩევა, შემაჯამებელი დავალების ანალიზში გასათვალისწინებელია გრძელვადიან მიზნებთან - სამიზნე ცნებებთან შესაბამისობა. (გეოგრაფიაში წარმოიდგენილი შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმა სტანდარტთან შესაბამისობის კუთხით გადახედვას საჭიროებს)**

უცხოური ენის კათედრის პედაგოგებთან გასაუბრებიდან ირკვევა, სემესტრის ბოლოს კათედრაზე ხდება საგნებისა და კლასების მიხედვით თითოეული მოსწავლის შედეგების განხილვა, შედარება და ანალიზი პირველი სემესტრის მონაცემებთან. ასევე განიხილავენ და აჯამებენ წარმატებით განხორციელებულ დავალებებს, პროექტებსა და კლასგარეშე აქტივობებს, რომლებიც კათედრის შეფასებით კიდევ უფრო მეტად გასაძლიერებელი და გასაუმჯობესებელია მომავალი სასწავლო სემესტრისთვის. აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე არ ხდება სადიაგნოსტიკო შეფასება თუმცა, სკოლას აქვს განსაზღვრული მომავალი სასწავლო წლისათვის სადიაგნოსტიკო შეფასება ჩატარდეს ყოველი სემესტრის ბოლოს. მათემატიკის კურიკულუმებიდან ჩანს, რომ 7-9 კლასებში გათვალისწინებულია ორ-ორი კომპლექსური დავალების განხორციელება. პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლას გააჩნია კოპლექსური დავალების განხორციელების გამოცდილება, თუმცა მიიჩნევს რომ ამ ეტაპზე მაინც სასურველია ყოველ კლასში, წლის განმავლომაში მხოლოდ ორი კომპლექსური დავალების განხორციელება. მოცემულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეებზე დაკვირვების საფუძველზე, მომავალ წელს განსაზღვრავენ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმს. საბაზო საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში კურიკულუმის დაგეგმვის პროცესი ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას და , როგორც ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, ეფუძნება მისი ანალიზისას გამოტანილ დასკვნებს. სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ ურთიერთდასწრება და უკეთესი შედეგების მიღწევის შესაძლებლობების განხილვა სკოლისთვის პრიორიტეტული საკითხია. სკოლას აქვს ,,კათედრის სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოდია მეთოდოლოგია", რომელიც ეყრდნობა წინა წლის შედეგების განხილვასა და სამომავლო გეგმის ფორმირებასა და კათედრის მიერ მის გადახედვაზე მსჯელობას. ასევე აქვთ ,,კათედრის თვითშეფასების კითხვარი", რომელშიც გაწერილია, რომ ერთობლივი განხილვის საფუძველზე იგეგმება სასწავლო პროცესი. რომელშიც

კარგად ჩანს , თუ როგორი მნიშვნელოვანია მათთვის არა მარტო საკუთარი პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილება, არამედ კოლეგებისაც. ამას გარდა, პედაგოგების აქვთ რეფლექსიები ჩატარებულ გაკვეთილებზე.

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;*
- *სასკოლო -სასწავლო გეგმა;*
- *კურიკულუმები;*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი;*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *შეფასების რუბრიკები;*
- *ინტერვიუები პედაგოგებთან;*
- *მასწავლებლის რეფლექსიები;*
- *კათედრის სამუშაო გეგმის შექმნის მეთოდოლოგია.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2. კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას,მაგალითად, საბაზო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, აქტიურად ჩაერთონ შემოქმედებით პროცესში. ამის მაგალითია კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები, ასევე , ის საკითხები, რომლებიც თემატურ მატრიცებშია წარმოდგენილი. მაგალითად, მე-7 კლასში: ნ. დუმბაძის „ჰელადოსის“ ერთ-ერთი პერსონაჟის შერჩევა და ესეს სახით მისი ფიქრების გადმოცემა. პერსონაჟის ხედვის კუთხის გამოკვეთა, რა ამოძრავებს მას. როგორ ახასიათებს ავტორი და როგორ ხედავენ მას მოსწავლეები. ფილმის ყურების შემდეგ კი მოთხრობის დასასრულის მოფიქრება და დაწერა; ახსნა, რატომ ფიქრობენ ამგვარად. გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ დაგეგმილი აქვთ სხვადასხვა პროექტი და ღონისძიება.კურიკულუმის ჩარჩოებში, ისტორიაში, გეოგრაფიასა და მოქალაქეობაში, შუალედურ სასწავლო მიზნად განსაზღვრულია კომპლექსურ დავალებათა გარკვეული რაოდენობა, აგრეთვე ზოგ შემთხვევაში შესაბამისი კომპლექსური დავალებების პირობები მატრიცების ან მოსწავლის ბარათების სახით, რადგან კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

გულისხმობს მოსწავლეთა ჩართვას აქტიურ შემოქმედებით პროცესში, შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;უცხოურ ენებში წარმოდგენილ კურულუმებში, გვხდება დავალებები, რაც გულისხმობს ნასწავლი მასალის ცხოვრებისეულ კონტექსტებში გადატანას, მაგალითად, კურიკულუმებში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებები არის ჯანსაღი კვების მენიუს შედგენაზე, ასევე ბულინგის თემაზე.

საბაზო საფეხურის მათემატიკის კათედრა ორიენტირებულია სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით. მათემატიკის შესაბამის კურიკულუმებში გათვალისწინებულია 7-9 კლასებში სასწავლო წლის განმავლობაში ორი კომპლექსური დავალების განხორციელება (ყოველ სემესტრში ერთი). ამ მეთოდით სწავლება კი თავისთავად უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, მათ უხდებათ ძველი და ახალი ცოდნის შედარების მეშვეობით ახალი ინფორმაციის შეგროვება, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანა, დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება – შენება. კომპლექსური დავალება საყოფაცხოვრებო ტიპის, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებაა, შესაბამისად მოსწავლეებს უხდებათ საკუთარი შემოქმედებითი უნარების გამოვლინება. ამის დამადასტურებელია სკოლის მიერ წარმოდგენილი მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები, შესაბამისი დავალების ბარათებით და სხვადახვა რესურსებით. მაგ. მე-7 კლასში ,,სადეზინფენქციო ხსნარის დამზადება“, მე-8 კლასში „ცის რუკა“, მე-9 კლასში „საბანკო ანაბარი“ და სხვა.

საბუნებისმეტყველო მიმართულებით, ვიზუალური დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ სასკოლო და საკლასო გარემო არის პოზიტიური, მოწესრიგებული, სასწავლო რესურსებით მდიდარი, მულაჟებით, მარტივი ექპერიმენტების ჩასატარებლად არსებული რესურსები ქმნის მამოტივირებელ გარემოს, რომელსაც კარგად იყენებენ მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციისა და პიროვნული განვითარებისთვის. ( მოსწავლეთა ნამუშევრები, მაგ. ატომის აღნაგობა) საბუნებისმეტყველო კაბინეტებში ტარდება გაკვეთილები რესურსების გამოყენებით.

ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით სკოლაში მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ სივრცეები გამოიყენონ სხვადასხვა მიზნების შესაბამისად. სააქტო დარბაზი (თეატრალური გამოსვლებისთვის), დერეფნებში საპრეზენტაციო დაფებზე არის მოსწავლეების მიერ საკუთარი ხელით შექმნილი თვალსაჩინოებები (თემატური ნახატები და კოლაჟები).

ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში, მე- 7-9 კლასში, კურიკულუმებში გაწერილი, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები, საბაზო საფეხურზე მოწყობილი, სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებულია მშობლები. ეს უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ და შემოქმედებით სასწავლო პროცესში ჩართვას.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

2. კურიკულუმის განხორციელებისას გათვალისწინებულია ცოდნის დაშენება წინარე ცოდნაზე. ეს ჩანს მოცემულ ჩარჩოებში, რომლებშიც წარმოდგენილი საკითხები ააქტიურებს მოსწავლეთა ცოდნას და ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას, პროცესი თემატურადაა დაგეგმილი. პედაგოგთა წინარე გამოცდილების სურათს იძლევა მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი რეფლექსიები, ანგარიშები , კათედრის სამოქმედო გეგმა, ამ გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის ამსახველი დოკუმენტი. აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ პედაგოგები აკვირდებიან და აფასებენ მოსწავლეებს სასწავლო პროცესში, ითვალისწინებენ მათგან და მათი მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირს (წარმოდგენილი აქვთ გამოკითხვის ფორმების ლინკები), ამის შემდეგ კი გამოცდილებაზე, მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე, საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით გეგმავენ სასწავლო პროცესს. შუალედურ სასწავლო მიზნად განსაზღვრულია კომპლექსურ დავალებათა გარკვეული რაოდენობა, აგრეთვე ზოგ შემთხვევაში წარმოდგენილია შესაბამისი კომპლექსური დავალებების პირობები მატრიცების ან მოსწავლის ბარათების სახით, რადგან კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა გულისხმობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს პედაგოგები მაქსიმალურად ცდილობენ ახალი თემის/ საკითხის ახსნამდე, მიმართონ სხვადასხვა სტრატეგიას, კერძოდ,უცხოურ ენებში ხშირად იყენებენ კროსვორდებსა და სიმღერებს, რათა მოსწავლეთა წინარე ცოდნა გააქტიურონ, ასევე ინტერვიუს დროს, პედაგოგებმა ხაზი გაუსვეს, რომ შესაბამისი ლექსიკასა და გრამატიკულ კონსტრუქციებზე მუშაობა ხდება ნაბიჯ-ნაბიჯ მოსწავლეთა წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რამდენიმე გაკვეთილი სჭირდებათ, რათა სასურველ შედეგზე გავიდნენ; მათემატიკის საგნის სწავლება, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ყოველი ახალი საკითხის სწავლების პროცესში აუცილებლად მოითხოვს წინარე ცოდნის გააქტიურებას და გამოყენებას. ყოველი კლასის კურიკულუმი ისეა აგებული, რომ ნებისმიერი თემა მოითხოვს შესაბამის წინარე ცოდნას, ძველი მასალის გახსენებას, ამიტომ სწავლა-სწავლების პროცესი ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებლების სკოლაში განხორცილებული კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლის დახვეწასა და

განვითარებას გეგმავს სკოლა, მათზე მუშაობისას პროცესში განხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე, მუშაობისას მოსწავლეს, წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახულია როგორ მუშაობენ საბაზო საფეხურზე სკოლის პედაგოგები მოსწავლეების ,,სწავლის სწავლის“ უნარზე. მაგალითად, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, კომპლექსურ დავალებებში მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებენ ისეთ კითხვებზე, რომლებიც მოსწავლეებს ამ უნარის განვითარების საშუალებას მისცემს , მაგალითად,: რამდენად შეძლო საჭირო გრამატიკის, ლექსიკის გამოყენება კომუნიკაციისას - პრეზენტაციის წარდგენისას; რა გაუძნელდა, რა გაუადვილდა და რატომ; რა დაბრკოლებებს წააწყდა დავალებაზე მუშაობის პროცესში და როგორ გადაჭრა ისინი, ანდა რატომ ვერ შეძლო მათი გადაჭრა; როგორ მოიქცევა მომავალში, რომ პრობლემა მოაგვაროს და ა.შ. მსგავსი ტიპის კითხვები ეხმარება მოსწავლეებს, ყურადღება გაამახვილონ იმაზე , თუ როგორ სწავლობენ, რაც ხელს უწყობს მეტაკოგნიტური უნარის განვითარებას. ისტორიაში, გეოგრაფიასა და მოქალაქეობაში, თითოეულ მათგანში შუალედურ სასწავლო მიზნად განსაზღვრულია კომპლექსურ დავალებათა გარკვეული რაოდენობა, აგრეთვე ზოგ შემთხვევაში წარმოდგენილია შესაბამისი კომპლექსური დავალებების პირობები მატრიცების ან მოსწავლის ბარათების სახით, რადგან კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა გულისხმობს აქცენტის გაკეთებას სწავლის სწავლაზე, შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, კომპლექსური დავალების განხორციელებისას, სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე;

უცხოური ენებში პედაგოგთა გასაუბრებიდან გაირკვა, რომ ისინი ცდილობენ მაქსიმალურად ხელი შეუწყონ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარის განვითარებას, სწავლის სწავლას, კერძოდ, კომპლექსური დავალების წარდგენის ბოლოს, მოსწავლეებს უსვამენ რეფლექსიური ტიპის შეკითხვებს, რათა მოსწავლეებმა შეძლონ გაიზრონ, რა გააკეთეს და რისი გაუმჯობესება შეიძლება. აგრეთვე, საბაზო საფეხურის კლასებში მათემატიკის სწავლება წარიმართება კომპლექსური დავალებებით. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეები მთელი თავისი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობით, მიზანმიმართულად გეგმავენ საკუთარ სასწავლო საქმიანობას და ორგანიზებულად ახორციელებენ მას. ისინი იყენებენ სწავლის, კვლევისა და ინფორმაციის მოძიების სხვადასხვა სტრატეგიას, ასევე სასწავლო პროცესზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგებს. ამაზე მიუთითებს კათედრის მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები: ,,სადეზინფენქციო

ხსნარის დამზადება“, „ცის რუკა“, „საბანკო ანაზარი“ და სხვა. მუსიკისა და ხელოვნების კომპლექსური დავალებების ანალიზიდან ირკვევა, რომ მასწავლებლები დავალებებში აქტიურად იყენებენ კოგნიტურ სქემებს: ვენის დიაგრამა, გრაფიკული მაორგანიზებლები; პრობლემის და ტექსტის გაანალიზების სქემები, მოვლენის და სურათის აღწერის და ა.შ.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

4. კომპლექსური ბუნების დავალებები და პროექტები გულისხმობს ცოდნის კონსტრუირებას, აგებასა და მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებით და ინტერვიუზე დაყრდნობით დგინდება, რომ კათედრებს აქვს გამოცდილება და მზაობა დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის განვითარებაზე გააკეთოს აქცენტები. მაგალითისთვის, შეიძლება განვიხილოთ, კომპლექსური დავალება უცხოურ ენაში, თემაზე - ცხოვრება წარსულში ( life in the past) დავალებაზე მუშაობის პროცესი მოიცავს, შესაბამისი ლექსიკური ერთეულებისა და გრამატიკული დროის (past simple) დამუშავებას, საბოლოო პროდუქტის შექმნამდე, რაც ბუნებრივია გულისხმობს ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას.აგრეთვე, ამაზე მიუთითებს მათემატიკის კათედრის მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები და მათემატიკის კურიკულუმები, სკოლას ასევე წარმოდგენილი მე-7-9 კლასებში განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების მოსწავლის ბარათები, რომლებიდანაც ჩანს, რომ მოსწავლეს მოეთხოვება გამოავლინოს ცოდნა სამივე კატეგორიის მიხედვით.

ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმებში ეს კარგად ჩანს, როგორც დაგეგმილ კომპლექსური დავალებების იდეებში, ისე თემატურ მატრიცებში, რომლებშიც გაწერილი კითხვები ორიენტირებულია სამივე სახის ცოდნაზე:

- რა არის ნათქვამი ტექსტის შესავალში?
- რა პრობლემას წამოჭრის ავტორი?
- რას ასახელებს პრობლემის მიზეზად?
- რა გზას სახავს პრობლემის გადასაჭრელად?
- როგორ ასაბუთებს ავტორი თავის მოსაზრებას?
- რისკენ მოუწოდებს ავტორი საზოგადოებას, რომელსაც მიმართავს?
- როგორ აჯამებს თავის სათქმელს?

• რით ასრულებს თავის სიტყვას? ( მე- 7 კლასში წარმოდგენილი თემატური მატრიცა)

საბუნებისმეტყველოს კათედრის პედაგოგებმა კურიკულუმი წარმოდგენილეს სრული სახით , ვინაიდან უკვე სწავლის პროცესი დაწყებული იყო. ქიმიის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საბუნებისმეტყველო საგნებში სწავლება ყოველთვის გამოირჩეოდა კეთებით სწავლების მეთოდით და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებით; მე-3 თაობის ესგ-ის მიხედვით სახელმძღვანელოები და დამხმარე რესურსები მართალაც გამოირჩევა და კომპლექსური დავალებებიც სწორედ ამ კუთხითაც აირჩა; მაგ. კომპლექსური დავალება ბილოგიაში - მე-7 კლასში : მცენარეების მნიშვნელობაზე, ცხოველთა ადაპტაციაზე, მე-8 კლასში : მძინე ჩანთა და ტანადობის დარღვევები.პედაგოგები ხელს უწყობენ მოსწავლეს საგნობრივი საკითხების სირღმისეულად გააზრებასა და სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებაში.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

5. საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში იკვეთება მოსწავლეთა ცოდნის ურთიერთდაკავშირებისა და ორგანიზების გათვალისწინება. მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება ამ მიმართულებით: სამიზნე ცნებები თავისთავად მოიცავს ქვეცნებებისა და ქვესაკითხების დამუშვებას, რომელთა ფარგლებში შეძენილი ცოდნის გააზრება წარმოადგენს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები სწორედ ხელს უწყობს კონკრეტული საკითხის გაცნობიერება-გაანალიზებას. ასევე იყენებენ მოსწავლის ურთიერთშეფასებასა და თვითშეფასების კითხვარებს,რომლებიც ეხმარება მოსწავლეს დაადგინოს საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეები.კომპლექსური დავალებების განხორციელების აუცილებელი პირობაა მოსწავლემ გამოავლინოს საკუთარი პირობისეული ცოდნა, რომელიც, ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.მაგალითად, სკოლას წარმოდგენილი აქვს მე-7 კლასის ინტეგრირებული კომპლექსური დავალება მათემატიკასა და ქიმიაში (სადეზინფენქციო ხსნარის დამზადება,), რომლის განხორციელების პროცესში მოსწავლეები მოახდენენ ამ ორ საგანში მიღებული ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირებას. პედაგოგებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ ასეთი დავალებების განხორციელება იგეგმება სხვა კლასებშიც. საბუნებსმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით,პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ აქცენტი კეთდება მოსწავლის მიერ საკითხის სიღრმისეულ გააზრებაზე, კომპლექსური დავალების მე- 8 კლასში: ,,წყალი“ , ,,კოროზიის მოვლენის მოდელირება“, ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული პრობლემები და მისი თავიდან აცილების გზები“, ,, ატომის მოდელის შექმნა“. მე-9 კლასში : როგორ დავადგინოთ ყოველდღიურად გამოყენებული ხსნარის Ph, მოსწავლეებმა საკითხი ღრმად გაიაზრეს. თუმცა იმისთვის რომ მოსწავლეებმა ურთიერთდაკავშირებული და ორგანიზებული ცოდნა ააგონ, აუცილებელია ცოდნის სამი

კატეგორიის მიხედვით არამარტო კომპლექსური დავალებების განხორცილება,არამედ სასწავლო თუ სასკოლო პროექტების განხორციელებაც, რადგან მოსწავლემ პირობისეული ცოდნის მიხედვით შეძლოს ცოდნის განზოგადება. მაგ. ასეთი იყო სადამრიგებლო პროექტი მე-7 კლასში -,, არა თამბაქოს“.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია*

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *კურიკულუმები;*
- *საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;*
- *შეფასების რუბრიკები;*
- *ინტერვიუები პედაგოგებთან;*
- *მოსწავლის თვითშეფასების და ურთიერთშეფასების ბარათები;*
- *თემატური მატრიცები;*
- *სასკოლო პროექტები;*
- *რესურსი 12. საბუნებისმეტყველო საგნები.*

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტებში კარგად ჩანს, რომ მუშავდება ყველა გრძელვადიანი მიზანი. პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული სამიზნე ცნებებისა და მათი მკვიდრი წარმოდგენების საგნობრივ საკითხებთან მიმართება. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა თუ როგორ ამუშავებენ სამიზნე ცნებებს, სამიზნე ცნებების შესაბამისად არის შერჩეული შუალედური მიზანი - კომპლექსური დავალება, საკვანძო შეკითხვები, საკითხები/ქვესაკითხები, ქვეცნება/ქვეცნებები. შეფასების ზოგადი კრიტერიუმები გამომდინარეობს ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან. სკოლამ სრულყოფილად წარმოადგინა საბაზო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმები, სადაც ასახულია სამიზნე ცნებები, საკითხები, ქვესაკითხები და მათთან შესაბამისი კომპლექსური დავალებების იდეები, სავალდებულო თემების გათვალისწინებით. კათედრას აქვს მზაობა, ახალი სასწავლო წელი დაიწყოს ეფექტიანად და ნაყოფიერად წარმართოს სასწავლო პროცესი.

სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში, გეოგრაფიის ისტორიისა და მოქალაქეობის მიმართულებით წარმოდგენილია სტანდარტით განსაზღვრულ სავალდებულო თემათა ჩამონათვალი, შერჩეულია საკითხები და შუალედურ სასწავლო მიზნად თითოეული საგნის ფარგლებში განსაზღვრულია რამდენიმე კომპლექსური დავალება გრძელვადიან მიზნებთან - სამიზნე ცნებებთან მიმართებით, შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

**თუმცა, საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით მიეცათ რჩევა, მოქალაქეობის ფარგლებში მე-7 კლასის ფარგლებში კურიკულუმით შერჩეული კომპლექსური დავალებების იდეები და მატრიცით წარმოდგენილი კომპლექსური დავალების პირობები საჭიროებს შესაბამისობაში მოყვანას.**

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

2.სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე. ამის ნათელი მაგალითია კურიკულუმებში მათ მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები და პირობები. ასევე, დამატებითი ღონისძიებები, რომლებსაც ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა ახორციელებს და რომლის შესახებაც ინტერვიუსას ისაუბრეს პედაგოგებმა. გარდა ამისა, სკოლაში დანერგილია სადამრიგებლო საათი, სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ,,სადამრიგებლო პროგრამა" .მასწავლებლებთან შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ მათთვის პრიორიტეტულია მოსწავლეთა ფსიქო- ემოციური განვითარების ხელშეწყობა, ამიტომ სასწავლო წლის განმავლობაში გეგმავენ ამ მიმართულებით მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელებას.უცხოურ ენებში, ერთ-ერთი კლასის კურიკულუმში არის წარმოდგენილი კომპლექსური დავალება, ბულინგის თემაზე, სადაც მოსწავლეებს უნდა დაეტანათ პოსტერზე ბულინგის საწინააღმდეგო შინაარსის შემცველი მოწოდებები და ემსჯელათ ამ თემაზე კლასის წინაშე; სადამრიგებლო პროგრამაში შეტანილია ისეთი საკითხები,როგორიცაა მაგ, გარემოს დაცვა, ბუნებრივი კატასტროფები და რისკის შემცირება, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, როგორ ვიპოვოთ საკუთარი თავი და სხვ. ამ საკითხებზე მუშაობისას მასწავლებლები ცდილობენ ყურადღება მიაქციონ მოსწავლის დამოკიდებულებას განსხვავებული ადამიანებისა და მოვლენების მიმართ, მეტ ინფორმაციას აწვდიან ბავშვთა უფლებების შესახებ, საუბროებენ კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებისა და ემოციების მართვის დადებით მაგალითს.

მათემატიკის კათედრის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილია სასწავლო პროცესი განხორციელდეს კომპლექსური დავალებების დახმარებით, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლემ უნდა წარმოადგინოს თავისი შექმნილი პროდუქტი. მოსწავლის მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებების პრეზენტირება მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლის სხვადასხვა მეთოდები - თეორიული, პრაქტიკული. კურილუმებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვადასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს და ქართველი სპორტსმენების მიღწევებს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას.

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

3. საბაზო საფეხურზე ხორციელდება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება. წარმოდგენილ კომპლექსური დავალების მატრიცაში მოცემულია შეფასების კრიტერიუმები, რომლიდანაც ნათლად ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა; სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმს, სტანდარტის შედეგების მიღწევის სოლო ტაქსონომიას, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: პრესტრუქტურულს, უნისტრუქტურულს, მულტისტრუქტურულს, მიმართებით და აბსტრაქტულს, რომელთაგან თითოეული წარმოაჩენს სამიზნე ცნების ფლობის დონეს, სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული საკითხის/საკითხების გააზრების ხარისხს. სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია, რომ საბაზო საფეხურზე მიმდინარეობს როგორც განმავითარებელი, აგრეთვე განმსაზღვრელი შეფასების წარმოება, აგრეთვე იგეგმება 2023-2024 სასწავლო წელს შედეგების მიღწევის ტაქსონომიის დანერგვა, საუბარია იმაზეც, რომ პედაგოგები საჭიროების მიხედვით შეიმუშავებენ სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების რუბრიკებს, იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკებსაც, საბაზო საფეხურზე წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სტანდარტით განსაზღვრულ ინდიკატორებზე დაყრდნობით გეოგრაფიისა და ისტორიის მაგალითზე, აგრეთვე წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები სამიზნე ცნებებთან მიმართებით გეოგრაფიის ფარგლებში, შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; ასევე, სკოლამ ქართულ ენასა და ლიტერატურაში,წარმოადგინა მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები , როგორც ზოგადი (ესეს, პრეზენტაციის, ზეპირი გამოკითხვის), ისე თემებთან შესაბამისად თემატურ მატრიცებში გაწერილი სოლოტაქსონომიასთან მიმართებაში. მოცემულ ნიმუშებში კრიტერიუმები კარგადაა შემუშავებული და უზრუნველყოფს წერილობითი და ზეპირი ნამუშევრების შეფასებას. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ბარათები. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ პრაქტიკაში ყოველთვის იყენებენ შეფასების რუბრიკები ეხმარება მათ ობიექტურ შეფასებაში. შეიძლება ითქვას, საბაზო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები მზად არიან , უზრუნველყონ მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობა შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით. ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში, სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

4. სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია, რომ საბაზო საფეხურზე შემაჯამებელ დავალებებს თან ერთვის შეფასების სქემები, შეფასების სქემებს მოსწავლეები გაეცნობიან გაკვეთილის დასაწყისში, შეიქმნება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, აგრეთვე სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, პედაგოგებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ შეფასების რუბრიკების გამჭვირვალეობის მიზნით, ანალოგიური რუბრიკები ცნობილი იქნება მოსწავლეებისათვის და ყველა დაინტერესებული პირისთვის. სასწავლო პროცესში გამოყენებისას კი სკოლა იზრუნებს ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. ამის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებასა და მის მიზნობრივად გამოყენებას სასწავლო პროცესში სკოლაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი. შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

5.სკოლამ წარმოადგინა ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც დგინდება თუ რამდენად ასრულებს სკოლაში არსებული შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას. სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს, რომლებიც შემუშავდება სკოლის კათედრების მიერ. ვერიფიკაცია მოიცავს შეფასების ნიმუშების შერჩევასა და მონიტორინგს, იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეფასება არის ზუსტი, ვალიდური და თანმიმდევრული. სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტის მიხედვით სკოლა ვერიფიკაციას განახორციელებს სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციას განახორციელებს სკოლაში შექმნილი სპეციალური ვერიფიკაციის ჯგუფი. მოცემული დოკუმენტითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ სკოლაში შემუშავებულია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც სკოლა გაანალიზებს მოსწავლეთა შედეგებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

6.სკოლა იცავს დოკუმენტების წარმოებასა და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. მოსწავლეთა მიერ კონკრეტული საგნის დაძლევის საფუძველი ასახულია როგორც ელექტრონულ ჟურნალში, ასევე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში. სკოლა მომავალშიც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;*
- *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *განმავითარებელი/ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;*
- *ვერიფიკაციის მექანიზმები;*
- *ინტერვიუები პედაგოგებთან;*
- *შეფასების რუბრიკები;*
- *სკოლის სასწავლო გეგმა;*
- *სადამრიგებლო პროგრამა.*

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტით განსაზღვრულია სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება, ცვლილების შეტანა და განხორციელება, წარმოდგენილია სსსმ მოსწავლეებისათვის ისგ-ს შექმნის მეთოდოლოგია და მოცემულია სსსმ მოსწავლის ისგ-ის ნიმუში, აგრეთვე განსაზღვრულია მოსწავლეებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და/ან ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი სააღმზრდელო მომსახურების შეთავაზება, დაგეგმილია სასწავლო პროცესში ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების გამოყენება; ეროვნული ოლიმპიადისათვის მოსწავლეების მომზადება; მოსწავლეთა მიღწევების მიხედვით წახალისების პრაქტიკის დამკვიდრება; მოსწავლეთათვის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნა, ოლიმპიადებში, კონფერენციებსა და პროექტებში მოსწავლეთა ჩართვა, კლუბის/წრეების შექმნა, კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა; გასვლითი გაკვეთილების/ექსკურსიების ორგანიზება; შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტით აგრეთვე განსაზღვრულია მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტივობის გაზრდა; მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება, სკოლის მიერ წარმოდგენილია აგრეთვე მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი, რომლის „მიზანია მოსწავლეთა მხარდაჭერის, ინფორმირებულობის, პოზიტიური გარემოს შექმნის ხელშეწყობა, არსებული სირთულეების, საჭიროებებისა და ინიციატივების იდენტიფიცირების მიზნით შესაბამისი ღონისძიებებისა და აქტივობების

ინტერვიუდანაც გაირკვა,რომ სკოლაში შექმნილია მაქსიმალურად მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, სადაც ყველა ცდილობს შეძლებისდაგვარად სასწავლო პროცესი იყო პოზიტიური.სასწავლო პროცესში აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან მასწავლებლები და მოსწავლეები. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. პედაგოგები ესწრებიან ტრენინგებს და მიღებულ გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს.

კათედრის წევრები ურთიერთანამშრომლობენ და ერთობლივად გეგმავენ სხვადასხვა აქტივობას. საბაზო საფეხურზე სხვადასხვა კლასის მოსწავლეები და მასწავლებლები ერთად ახორციელებენ ღონისძიებებს, მოსწავლეთა ჩართულობით ხდება გადაწყვეტილებების მიღება. სასკოლო საზოგადოება სრულად იღებს პასუხისმგებლობა მოსწავლის ,მშობლის და სასკოლო თემის წინაშე, ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებსა და ინტერესებს. ამის დასტურია მშობელთა გამოკითხვის ბარათები და მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებები.

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

2. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო პროგრამით განსაზღვრული სტანდარტებით და მოიცავს საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო აქტივობებს, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესების სფერო. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად. აქ იგულისხმება ასევე, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევა და ამ კვლევაზე დაფუძნებით შესაბამისი ცვლილებების შეტანა სასწავლო პროცესში. თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, მოსწავლეებთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფილია ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, ამისათვის კი გამოიყენება კლასის მართვის ეფექტიანი სტრატეგიები. ყოველივე ეს დასტურდება სასკოლო სასწავლო გეგმით, საგნობრივი კურიკულუმებით და მოცემული კომპლექსური დავალებების ბარათებით.

სასწავლო პროცესი მორგებულია მოსწავლეზე, სკოლა ყველაფერს აკეთებს მის ხელშესაწყობად. ტარდება სადამრიგებლო საათები , შემუშავებულია ,,სადამრიგებლო პროგრამა“, წახალისებულია მოსწავლეთა აქტივობები და მათი წარმატება გაზიარებულია სკოლის მიერ. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომელთა შემუშავებისას აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან, რათა გათვალისწინებული იყოს მოსწავლის კონკრეტული საჭიროებები, დანერგილია დიფერენცირებული სწავლების პრონციპები.

ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია, თუ რა მიმართულებით წარიმართება პროცესები, მოსწავლეთა მხარდასაჭერად, მათ შორის მხარდაჭერილია ოლიმპიადებში, პროექტებსა და კონფერენციებში მონაწილეობა; დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებებისა და სსსმ მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესაძლებლობა.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული და მათზეა ორიენტირებული.

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

3. სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესი დაფუძნებულია თანამშრომლობით კულტურაზე და ჯანსაღ კომუნიკაციაზე, კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგიაში ჩანს რომ, საბაზო საფეხურის კლასების პედაგოგები შეთანხმდნენ საერთო თემებსა და საკითხებზე, რომ შემდეგ შეძლონ შედარებითი ანალიზი, ამის საფუძველზე კი მომავალში შექმნან კურიკულუმების შეჯერებული და გაუმჯობესებული ვარიანტი. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით სწავლება გულისხმობს პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს კათედრის თვითშეფასების კითხვარი და ხარისხის მართვის ანგარიში, სადაც მოცემულია ხარისხის ჯგუფის მიერ გაკვეთილზე დასწრების

ანგარიში. სკოლაში, ასევე შემუშავებულია ხარისხის ჯგუფის დებულება, რომელშიც ზუსტადაა გაწერილი მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერისათვის საჭირო აქტივობები და ეტაპები. სკოლას წარმოდგენილი აქვს ,,სადამრიგებლო პროგრამა", მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვის ფორმები, რომლებიც მოიცავს აქტუალური პრობლემებთან დაკავშირებულ შეკითხვებს.ამრიგად,ყველა საგნობრივი კათედრა თანამშრომლობს, ერთობლივად გეგმავს და აწყობს საჩვენებელ გაკვეთილებს, აქტიურად ერთვება კათედრების მიერ დაგეგმილ სამუშაო შეხვედრებზე, განიხილავენ მათთვის მნიშვნელოვან საკითხებს: როგორიცაა: განმავითარებელი შეფასება, კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპებისა და სწავლების დიფერენცირების გათვალისწინება სასწავლო პროცესში, თანამედროვე პროფესიული ლიტერატურისა და საგანმანათლებლო კვლევების გაცნობა, რასაც იყენებენ საკუთარი და კოლეგების პედაგოგიური პრაქტიკის გასაუმჯობესებლად „კრიტიკული მეგობრის" პოზიციიდან. *ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

4. სკოლა მაქსიმალურად ცდილობს შექმნას გარემო, სადაც თანამშრომლობითი კულტურა და გამოცდილი კომუნიკაცია პრიორიტეტულია. საბაზო საფეხურის პედაგოგები საგაკვეთილო საკითხებს არჩევენ მოსწავლეთა მზაობის მიხედვით. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ შეფასების ობიექტურ კრიტერიუმებს და დიდ ყურადღებას უთმობენ იმას, თუ რა პრინციპით ახდენენ მოსწავლეთა წახალისებას. კერძოდ, ეს დასტურდება საგნობრივი კურიკულუმებით და მოცემული კომპლექსური დავალებების ბარათებით, ასევე პედაგოგებთან ჩატარებული ინდივიდუალური ინტერვიუებით. სკოლა თანამშრომლური გარემოს შექმნით ცდილობს შექმნას პოზიტიური კლიმატი. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტით განსაზღვრულია „მოსწავლეთა მიღწევების მიხედვით წახალისების პრაქტიკის დამკვიდრება;მოსწავლეთათვის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნა მოსწავლეებისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და/ან ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი სააღმზრდელო მომსახურების შეთავაზება," სასკოლო სასწავლო გეგმით აგრეთვე განსაზღვრულია, რომ ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი და „სკოლას შემუშავებული აქვს დამრიგებლის მუშაობის დებულება, რომელიც განსაზღვრავს დამრიგებლის ფუნქციებს, დამრიგებლის მუშაობის სააღმზრდელო პრინციპებს, რეკომენდაციებს სადამრიგებლო საათის პროგრამის განხორციელების შესახებ"; სკოლის მიერ წარმოდგენილია აგრეთვე მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი, რომლის „მიზანია მოსწავლეთა მხარდაჭერის, ინფორმირებულობის, პოზიტიური

გარემოს შექმნის ხელშეწყობა, არსებული სირთულეების, საჭიროებებისა და ინიციატივების იდენტიფიცირების მიზნით შესაბამისი ღონისძიებებისა და აქტივობების განხორციელება.“

მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა მათი კოლეგიალობა და გუნდურობა, ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობა და პოზიტიური ურთიერთობები, რაც უდიდეს როლს ასრულებს სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვაში და საუკეთესო შედეგების მიღწევის პირობაა.

საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები ცდილობენ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად ჩართონ მოსწავლეები, რათა მათ შეძლონ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება.განსაკუთრებით განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია, ფიზიკის ღვაწლმოსილი მასწავლებელი, რომელსაც ყველა გაკვეთილისთვის მზად აქვს თვალსაჩინო საექსპერიმენტო რესურსები. პოზიტიური გარემოს შესაქმნელად ასევე იყენებენ ისეთ მამოტივირებელ ფაქტორებს, როგორიცაა ტექნოლოგიების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში.ამ ყველაფრის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი;*
- *შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმის პროექტი;*
- *სასკოლო- სასწავლო გეგმა;*
- *მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი;*
- *კათედრის ოქმი;*
- *საბაზო საფეხურის კლასების საგნობრივი კურიკულუმები;*
- *კათედრის თვითშეფასების კითხვარი;*
- *კათედრის სამოქმედო გეგმის შექმნის პროცედურები;*
- *ინტერვიუები პედაგოგებთან;*
- *სასკოლო ღონისძიებები;*

- *სადამრიგებლო პროგრამა;*
- *მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვის ლინკები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.სკოლის მიერ წარმოდგენილია „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია", რომელშიც გაწერილია კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია. ამ დოკუმენტში გაწერილია, რომ კათედრის ხელმძღვანელი ვალდებულია შეატყობინოს სკოლის ადმინისტრაციას ყველა იმ ცვლილების შესახებ, რომელიც განხორციელდა კურიკულუმში წინა წლის სასწავლო პროცესის შესწავლის საფუძველზე. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელთა ფუნქციები უმეტესწილად მიმართულია მასწავლებლების მხარდაჭერასა და საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებაზე. აღნიშნული ჯგუფი იკრიბება პერიოდულად, სადაც ჯგუფის წევრები აჯამებენ განხორციელებულ საქმიანობას, შეიმუშავებენ ახალ ნაბიჯებს და ადგენენ შესაბამის ოქმებს. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ სკოლა აპირებს ანალოგიური მეთოდებით იმუშაოს მომავალ სასწავლო წელს.

ე.ი. მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას და მათ დახმარებას ისახავს მიზნად. ხარისხის ჯგუფი აქტიურად ფუნქციონირებს და სკოლას აქვს ,,ვერიფიკაციის მექანიზმი", რომელსაც ეფექტიანად იყენებს.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

2. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც ვალდებულია თვალყური ადევნოს და შეაფასოს სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესი. ამ ჯგუფს ევალება გაკვეთილებზე დასწრება და ჩატარებული გაკვეთილის ხარისხის შეფასება, შესაბამისად პედაგოგისთვის კონსტრუქციული უკუკავშირის მიცემა, რაც უზრუნველყოფს მის პროფესიულ ზრდას. კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ თვით პედაგოგებიც ახდენენ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას და ერთმანეთის შეფასებას. სკოლაში სწავლება დაფუძნებულია კომპლექსური დავალებების განხორციელებაზე, შესაბამისად ყოველი ასეთი დავალების შესრულების შემდეგ კათედრებზე ხდება მათი შეფასება, ყოველი წარმატებული და გასაუმჯობესებელი საკითხის დაფიქსირება, რაც საბოლოო ჯამში საჭიროა კურიკულუმის განხორციელების შეფასებისთვის.

როგორც გაუსაბრებიდანაც ჩანს, კოლეგებს აქვთ ძალიან კარგი თანამშრომლობითი ურთიერთობები, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ შეფასება ნამდვილად ფოკუსირებულია დახმარებას და მხარაჭერაზე, ე. ი. ამ მიმართულებით სკოლას აქვს შესაბამის მზაობა, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურებოდეს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას და დახმარებას.

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

3.სკოლის პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის SVOT ანალიზის მეთოდით იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომლის წევრები სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად აფიქსირებენ ყველა გამოვლენილ პრობლემას, რათა შემდეგ დასახონ მათი გადაჭრის გზები. კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ თვით პედაგოგებიც ახდენენ საკუთარი გაკვეთილების თვითრეფლექსიას, კოლეგების ურთიერთშეფასებას და კათედრებზე განხილვის პროცესში ეძებენ გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზებს.

**ფიზიკური აღზრდისა და სპორტის** მიმართულებით სკოლის პრობლემების მონიტორინგის და შეფასების განსაზღვრის იდენტიფიცირების შემდეგ, სასკოლო საზოგადოება გეგმავს კონკრეტულ ნაბიჯების - კონკრეტული მიზნებისათვის განსაზღვროს პასუხისმგებელი სტრუქტურები. **სამომავლოდ უმჯობესი იქნება, სკოლამ გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით, სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები.**

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*
- *ვერიფიკაციის დოკუმენტი*
- *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;*
- *ინტერვიუები პედაგოგებთან.*

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.სკოლას სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში განსაზღვრული აქვს, რომ კითხვარის მეშვეობით შეძლო მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების გამოკითხვა სკოლის საჭიროებების გამოკვეთის მიზნით, აგრეთვე სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი, „შემოწმება (ვერიფიკაცია) მოიცავს შეფასების ნიმუშების შერჩევას, მონიტორინგსა და კონკრეტული მასწავლებლის პრაქტიკის შესწავლას იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეფასება არის ზუსტი, ვალიდური და თანმიმდევრული (კონსიტენტური); ანუ იმის უზრუნველყოფას, რომ შემფასებლები (მასწავლებლები) შეფასების დროს იღებენ სწორ გადაწყვეტილებებს შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე.“ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით აგრეთვე განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, რაც მოიცავს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას; მასწავლებელთა პედაგოგიური საჭიროების იდენტიფიცირებას სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერებას. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან ირკვევა, რომ სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა შეფასების გამჭვირვალე და ობიექტური სისტემა. მოსწავლეებს ამოწმებენ როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასებით. სკოლას გააზრებული აქვს, რომ მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემა ეყრდნობა მოსწავლეზე ინფორმაციის შეგროვების მრავალფეროვან წყაროებს, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლე შეაფასოს მრავალი კუთხით. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები. სკოლაში განმსაზღვრელი შეფასება ხდება საშინაო, საკლასო დავალებებში და შემაჯამებელ წერებში, წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკი. მაშასადამე, სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. სასწავლო პროცესის შეფასება საბაზო საფეხურზე კომპლექსური დავალებების მიმდინარეობის პროცესშიც და საბოლოო შემოქმედებითი პროდუქტის წარდგენისასაც ხორციელდება.მაგალითად,ქართულ ენასა და ლიტერატურაში კათედრამ წარმოადგინა მრავალფეროვანი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები წერილობითი ნამუშევრების შეფასებებთან დაკავშირებით : დეტალურადაა გაწერილი ესეს, ინტერვიუს, თხზულების შეფასების კრიტერიუმები ქულებთან ერთად. გასაუბრებით გაირკვა , რომ აქვთ

პრეზენტაციების შეფასების გამოცდილება, რომლის ამსახველი დოკუმენტი სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა. ასევე, შემუშავებული აქვთ მოსწავლეთა თვითშეფასების სქემები და რუბრიკები,

,, მასწავლებლის თვითშფასების ბარათები.“გასაუბრებიდან გაირკვა, რომ მოსწავლეები ყოველთვის ინფორმირებული არიან შეფასების კრიტერიუმების შესახებ.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

2. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და პედაგოგთა ინტერვიუებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ შეფასება ეყრდნობა სხვადასხვა წყაროებს. გაწერილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კომპონენტები და რუბრიკები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის შეფასებას მრავალი წყაროსა და კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლის სასწავლო გეგმიდან ირკვევა, რომ მოსწავლეების შეფასება ხდება არამარტო აკადემიური მოსწრების მიხედვით, არამედ ითვალისწინებენ მოსწავლის მისწრაფებებს, მის უნარებს. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა შეფასებისას ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორებს, კერძოდ, იმ სუბიექტურ თუ ობიექტურ მიზეზებს, რომლებმაც შესაძლოა მოსწავლეზე იქონიოს გავლენა, მომდინარეობდეს მისგან დამოუკიდებლად და ხელს უშლიდეს მას სწავლის პროცესში. სკოლას წარმოდგენილი აქვს სსსმ მოსწავლეების ისგ-ის შემუშავების მეთოდოლოგია და სხვადასხვა საგნებში მოსწავლეთა ისგ-ს ნიმუშები. გათვალისწინებულია ასევე მოსწავლეთა თვითშეფასება , შემუშავებულია ,,თვითშეფასების ბარათები“ და ,,ურთიერთშეფასების ფურცლები“, სწავლა- სწავლების პროცესში მასწავლებლები თავადაც იყენებენ თვითშეფასებას და შემუშავებული აქვთ ,, მასწავლებლის თვითშეფასების რუბრიკა“.სკოლის მიერ შეფასების ვალიდაციას სწორედ ასეთი მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

3.კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ კურიკულუმის რევიზიის პროცესში გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები; მშობელთა ჩართულობა, კათედრისა და სკოლის დირექციის მუშაობა; აგრეთვე იგეგმება მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება, მასწავლებელთა საჭიროების იდენტიფიცირება, შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;მათ შორის ყველაზე ტიპური და გამოყენებადი საგანმანათლებლო სფეროში : მშობელთა გამოკითხვა, ინტერვიუ, ანკეტირება, ფოკუს-ჯგუფი. წარმოადგინეს გამოკითხვის ნიმუშები ლინკების სახით. ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ საგაკვეთილო პროცესისას იყენებენ თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვებას, ტესტირებას და ა.შ.

სკოლაში სწავლება ხორციელდება კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, ხოლო ასეთი დავალებების შეფასების რუბრიკები მოითხოვს მოსწავლის შეფასებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ამ დროს ხდება მოსწავლის პრეზენტირების, კრეატიულობის, შემოქმედობითობის შეფასება.

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

4. პედაგოგებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, რაც კარგადაა გააზრებული როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებების და ჩანს წარმოდგენილ რუბრიკებში. ასევე, თემატური მატრიცები გვიჩვენებს, რომ ყურადღება მახვილდება იმაზე, თუ რამდენად უწყობს ხელს განხორციელებული აქტივობები ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევას, გლობალური-ფუნქციური უნარების განვითარებას, გათვალისწინებულია თუ არა მოსწავლის ინტერესები და საჭიროებები.

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;*
- *ვერიფიკაციის მექანიზმი;*
- *შემაჯამებელი კოპლექსური დავალებები;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *ინტერვიუები პედაგოგებთან;*
- *შეფასების რუბრიკები;*
- *თემატური მატრიცები.*

შეფასება:

- ○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- ○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია"-ში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. პედაგოგები მთელი წლის განმავლობაში აგროვებენ კურიკულუმის დანერგვის პროცესში მიღებულ შესაბამის მონაცემებს და შემდეგ ხდება მათი ანალიზი კათედრის სხდომებზე. განხილულ საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე კათედრები შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, რომლებიც უზრუნველყოფს მომდევნო წლის კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრის სხდომებზე მუდმივად განიხილება რომელიმე თემის სწავლებისას, ან კომპლექსური დავალების განხორციელებისას წარმოქმნილი პრობლემები. განიხილება ამ პრობლემების გადაჭრის გზები მათი კურიკულუმში ასახვის მექანიზმები.

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია"-ში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარების ციკლური პროცესი (კურიკულუმი შემუშავება, დანერგვა, დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია). კურიკულუმის გადამუშავება გულისხმობს მის განახლებას წინარე გამოცდილების, მონიტორინგის და შეფასების

შედეგების გათვალისწინებით. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი მთელი წლის განმავლობაში სწავლობენ კურიკულუმის დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე). პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათი სკოლა არაა ჩართულია ,,ახალი სკოლის" მოდელში, ამიტომ მწირი გადმოცდილება აქვთ კურიკულუმების შემუშავებასა და მათ განხორცილებაში, თუმცა გამოთქვეს მზაობა, რომ მიიღონ ნებისმიერი რჩევა და გააუმჯობესონ მუშაობის ხარისხი. აღნიშნეს, რომ შემუშვებული ვერსია ეფუძნება წინარე ცოდნასა და მათსავე წარმატებულ გამოცდილებას, აგრეთვე, მიღწეულ საუკეთესო შედეგებს. ამ მიზნით პრაქტიკაში ხშირად მიმართავენ ,,კრიტიკული მეგობრის" დასწრებას, ითვალისწინებენ მის უკუკავშირს. ასევე, ერთად აანალიზებენ მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ ხარვეზებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ უკუკავშირს.ამის შემდეგ სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში.

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;*
- *ინტერვიუები პედაგოგებთან;*
- *კურიკულუმები;*
- *კომპლექსური დავალებები;*
- *ვერიფიკაციის მექანიზმი.*
- შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**საშუალო საფეხური**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი (მიუთითეთ კურიკულუმის სახელწოდება) | **X შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | **X** შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | **X** შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | **X** შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | **X** შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. სასკოლო კურიკულუმი**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.სკოლის მიერ წარმოდგენილია, 2023-2024 წლების, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი და სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელთა მიხედვითაც ნათლად ჩანს, რომ კურიკულუმების შექმნის პროცესში ჩართულია სკოლის მთელი საზოგადოება: მოსწავლეთა მშობლები, დირექცია, კათედრები და საგნის პედაგოგები. სკოლის საშუალო საფეხურის კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით და ჩართულობით, გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეთა ინტერესები, დაცულია დიფერენცირებული სწავლების მეთოდები. სკოლის კურიკულუმების შემუშავებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წლის ანალიზი, შემდეგი მიმართულებებით: მშობელთა ჩართულობა სასწავლო

პროცესში,წარმოდგენილია მშობელთა კითხვარი), მოსწავლეთა შედეგები, კათედრის მუშაობა (წარმოდგენილია კათედრების სამოქმედო გეგმა და სხდომის ოქმები), დირექციის მუშაობა. მეთოდოლოგიაში ასევე გაწერილია საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები- ფუნქციები, მოვალეობები, შეხვედრების სიხშირე. სკოლამ მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების გამოკითხვა ონლაინკითხვარის საშუალებით ჩაატარა და კითხვარების ანალიზის შედეგები სასკოლო კურიკულუმშია გათვალისწინებული. მაგ. მოსწავლეები და მშობლები აქცენტს აკეთებენ პროქტულ სწავლებაზე და კლუბურ მუშაობაზე.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

2. მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ „კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს“, აგრეთვე სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად მეთოდოლოგიით განისაზღვრება შესაბამისი საკომუნიკაციო საშუალებები: ელექტრონული ფოსტა; დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა; პორტალი ვებგვერდი; სოციალური მედია; ბეჭდვითი მასალები; საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში ასევე აღნიშნულია, რომ კურიკულუმის შედგენისას შეძლეს მოსწავლეთა ინტერესების, ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინება, ასევე მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესების დასადგენად შეძლეს გამოკითხვა Google Forms-ში მომზადებული კითხვარის საშუალებით. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შესაძლებელია კურიკულუმში ასახული იყოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები.მაგალითად,საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებლის საგნობრივ რეფლექსიაში წარმოდგენილია , რომ ერთად განიხილეს როგორ მიმდინარეობდა კომპლექსურებზე მუშაობა, როგორ შექმნეს პროდუქტები და გაასიტყვეს ისინი. ადგილზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა კომპლექსური დავალების პროდუქტები

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

3.კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია იძლევა შესაძლებლობას, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იყოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები, სკოლის მიერ განსაზღვრულია საკომუნიკაციო მექანიზმი სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად, აგრეთვე სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში ასახულია, რომ კურიკულუმის შემუშავები პროცესში ჩართულნი იყვნენ კათედრის წევრები, ასევე მშობლების, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მოსაზრებების გარკვევა შესაძლებელი გახდა კითხვარის მეშვეობით, დამატებით მშობელთა ჩართვას ითვალისწინებენ სადამრიგებლო საათებისა და სასკოლო პროექტების დაგეგმვის პროცესში, შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შესაძლებელია

კურიკულუმი შემუშავებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ.საგნობრივ კათედრებზე მიმდინარეობს კურიკულუმების შემუშავება, შემუშვების პროცესში განიხილავენ წინა წლის კომპლექსურ დავალებებს, გამოყენებულ მეთოდებს, აქტივობებს და რესურსებს. საბუნებისმეტყველო კათედრაზე, 2022-2023 სასწავლო წელს, დანერგეს მხოლოდ ქიმიაში მე-10 კლასში:,,პერიოდულობის კანონი და პერიოდულობის ცხრილი",თუმცა კომპლექსურიდან იყენებდნენ პირობას და სიტუაციურ ამოცანებს. მასწავლებელთა რეფლექსიების საფუძველზე ხდება კურიკულუმის შემუშავება, საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინება ხდება და ადგენენ შედგომი სასწავლო წლის კურიკულუმს. ეს კარგად ჩანს თვითშეფასების კითხვარში ნარატივის სახით. ასევე აღნიშნავენ, რომ მოსწავლეები შემაჯამებელი დავალებების განხილვისას ან კომპლექსური დავალების წარდგენის შემდეგ გამოთქვამენ მოსაზრებებს რომელი კომპლექსური დავალება, აქტივობა ან მეთოდი მოეწონათ და რა ტიპის დავალებაზე მუშაობას ისურვებდნენ.

**ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში,** ინტერვიუს მსვლელობისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა და ერთობლივად გეგმავს სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებს და აქტივობებს.

**მიეცათ რჩევა: სამომავლოდ უზრუნველყონ სასკოლო საზოგადოების უფრო აქტიური ჩართულობა აღნიშნულ პროცესში.**

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

4. სასკოლო სასწავლო გეგმა არის საჯარო დოკუმენტი, გარდა მასში შემავალი ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა, შესაბამისად მისი დამტკიცების შემდეგ მასში შემავალი საგნობრივი კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, შესაბამისად სკოლის საშუალო საფეხურის კურიკულუმები ასევე გაზიარებულია სასკოლო თემის მიერ. კერძოდ, ეს დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით და კომპლექსური დავალებებით, რომლის შესაბამისი მოსწავლის ბარათები მიეწოდება მოსწავლის მშობლებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩანს მთელი სასკოლო საზოგადოების ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებაში, შესაბამისად იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. მაგალითად,ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში ეს დასტურდება ფესტივალების, სასკოლო პროექტებში ანუ შიდასასკოლო კონფერენციებში მონაწილეობისა და სხვა აქტივობების ამსახველი ფოტო-მასალით.

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;*
- *მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა კითხვარი;*
- *2023 –2024 წლებში ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი;*
- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.*
- *საშუალო საფეხურის კურიკულუმები;*
- *ინტერვიუები პედაგოგებთან;*
- *სასკოლო-სასწავლო გეგმა;*
- *სადამრიგებლო პროგრამა;*
- *კათედრის სამოქმედო გეგმის შექმნის მეთოდოლოგია;*
- *კათედრის თვითშეფასების კითხვარი;*
- *კათედრის ოქმები;*
- *სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს ოქმები;*
- *საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმი N4;*
- *მშობელთა ბარათები.*

**2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, მაგალითად **საზოგადოებრივ მეცნიერებებში,** სამივე საგნის ფარგლებში, (ისტორია;გეოგრაფია;მოქალაქეობა) წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩოები მე-10 და მე-11 კლასისათვის სრულად, აგრეთვე თითოეულ მათგანში განსაზღვრულია სავალდებულო თემათა ჩამონათვალი, თემის ფარგლებში შერჩეულია საკითხები, მათ შორის შუალედურ სასწავლო მიზნად თითოეული საგნის მიმართულებით განსაზღვრულია რამდენიმე კომპლექსური დავალება, აგრეთვე დაკავშირებულია გრძელვადიან მიზნებთან, სამიზნე ცნებებთან. ზოგ შემთხვევაში წარმოდგენილია აგრეთვე კომპლექსური დავალებების პირობებიც.**თუმცა მიეცათ რჩევა, მოქალაქეობის ფარგლებში დასაზუსტებელია რესურსები კონტექსტ-მაგალითებისათვის;**

საშუალო საფეხურის კურიკულუმები, რომლებშიც კარგად ჩანს ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პროცესი . სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული და ემსახურება მათ განვითარებაზე ზრუნვას. შუალედური მიზნები შესაბამისია სასწავლო შინაარსთან და იმ ძირითადი რესურსებთან , რომელთა დახმარებითაც გეგმავენ შედეგზე გასვლას. მაგალითად,ქართული ენისა და ლიტერატურაში, მე-12 კლასში დავით კლდიაშვილის ,,სამანიშვილის დედინაცვლის“ სწავლებისას ნათელია, რომ სკოლა არ შემოიფარგლება მხოლოდ სახელმძღვანელოთი და ზრუნავს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებაზე ფილმის ჩვენებითა და სხვა დამატებითი მასალებით (დავით კლდიაშვილის „ჩემი ცხოვრების გზაზე“-ინტერნეტ რესურსი; გურამ ასათიანის „პლატონი და კირილე“; ილია ჭავჭავაძის „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?!“ დავით კლდიაშვილის „ქამუშაძის გაჭირვება“; ელექტრონული წიგნები, რობერტ მალთუსის მოძღვრება http://socium.ge/downloads/protosocteoria/malTusisTezisebi) ასევე , სასწავლო შინაარსიდან გამომდინარე , ასწავლის მოსწავლეებს ისეთ საკითხებს, როგორებიცა პირადი მოსაზრებების გამოხატვა, არგუმენტირება. ამის მაგალითია შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნის“ მინიშნებებზე დაყრდნობით პირადი მოსაზრების ამსახველი ესეს დაწერა თემაზე: „მიჯნურობა „ვეფხისტყაოსანსა და ჩვენს დროში“, რომელშიც მოსწავლემ უნდა გადმოსცეს საკუთარი მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რით განსხვავდება რუსთველისეული მიჯნურობა სიყვარულის თანამედროვე გაგებისგან (X კლასი). აგრეთვე,საბუნებისმეტყველო საგნებში შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩო და ასევე უკვე მატრიცების მონახაზებიც წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო კაბინეტები ცალ-ცალკე_ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის. ასევე უზრუნველყოფილნი არიან სასწავლო

რესურსებითაც. ახლად გარემონტებული სკოლა და შესაბამისი რესურსები სრულად აძლევს საშუალებას ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლებს სასწავლო პროცესი იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული და შესაბამისად მათი განვითარების გზაც ჩანს კურიკულუმში.

პედაგოგებს აქვთ სისტემატური უკუკავშირი მოსწავლეებთან, რაც ეხმარებათ მათი ინტერესების გათვალისწინებაში. ვინაიდან სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა , შეიძლება ითქვას, რომ მათ მიერ შემუშავებული კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვასა და მის განვითარებას .

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

2. წარმოდგენილი კურიკულუმებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი სამიზნე ცნებებზეა ორიენტირებული. ასევე, კურიკულუმებში ასახულია სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და საფეხურის საკვანძო შეკითხვები. გარდა ამისა, ზოგან წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ხელს უწყობენ ისეთი გლობალური-ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორებიცაა, კომუნიკაცია და შემოქმედებითი აზროვნება, მაგალითად,უცხოურ ენებში გვხვდება დავალებები, სადაც მოსწავლეებს უწევთ საკუთარ გამოცდილებებზე დაყრდობით პლაკატის, პოსტერის ან პრეზენტაციის მომზადება და მაქსიმალურად ეძლევათ საშუალება შემოქმდებითად მიუდგნენ ამ პროცესს;. ქართული ენისა და ლიტერატურის საშუალო საფეხურის კურიკულუმებში კარგად იკვეთება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებთან მიმართება. კომპლექსური დავალებების იდეები ითვალისწინებს როგორც სამიზნე ცნებებზე მუშაობას, ისე გლობალურ -ფუნქციური უნარების განვითარებას. მაგალითად, შემოქმედებითი და კრიტიკული უნარების გაღვივებას უწყობს ხელს შემოთავაზებული კომპლექსური დავალების პირობა , პირადი მოსაზრების ამსახველი ესეს დაწერა თემაზე: „გმირი და ანტიგმირი შუა საუკუნეების ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებსა და ჩვენს თანამედროვეობაში“, რომელშიც მოსწავლეებმა უნდა გადმოსცენ საკუთარ მოსაზრება იმის თაობაზე, თუ ვინ მიაჩნიათ „გმირად“ და „ანტიგმირად“ თანამედროვე სამყაროში (შეუძლიათ იმსჯელონ როგორც თანამედროვე ლიტერატურულ ან კინოგმირზე, ასევე რეალურად არსებულ ადამიანებზე) . სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს ამ უნარების, როგორც პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლების, განვითარებას (აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელზე“ დაყრდნობით ანალიტიკური ესე- X კლასი).

საშუალო საფეხურზე, **საზოგადოებრივი მეცნიერებების** მიმართულებით წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები), კერძოდ, თითოეული საგნის ფარგლებში (ისტორია;გეოგრაფია;მოქალაქეობა), კურიკულუმებში წარმოდგენილია სავალდებულო თემათა ჩამონათვალი, თითოეული თემის ფარგლებში შერჩეულია საკითხები, ასევე შუალედურ სასწავლო მიზნად განსაზღვრულია კომპლექსური

დავალების გარკვეული რაოდენობა, ასევე წარმოდგენილია სამიზნე ცნებები გრძელვადიანი მიზნების სახით; **თუმცა მიეცათ რჩევა,გეოგრაფიის მე-11 კლასის კურიკულუმის პირველ თემაში ამოსაღებია სამიზნე ცნება გეოგრაფიული მოვლენა,გეოგრაფიული პროცესი.**

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის კურიკულუმებში მოცემულ კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების ხედვა, ინდივიდუალური მიდგომები, ყოველი მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და მოტივაციის გზები. დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპები მოქნილია და მორგებულია სასწავლო პროცესს, ითვალისწინებს მოსწავლის წინარე ცოდნას და მასზე აფუძნებს ახალს. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ასევე მოცემულია სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავების მექანიზმები;მაგალითად, მოცემულია მათემატიკაში მოსწავლის ისგ-ის ნიმუში;საზოგადოებრივ მეცნიერებებში,კერძოდ,მოქალაქეობის მე-11 კლასის კურიკულუმში ჩანს დიფერენცირება_კომპლექსური დავალების პირობით განსაზღვრულია შემოქმედებითი პროდუქტის არჩევითობის შესაძლებლობა; უცხოურ ენებში სასწავლო პროცესში ხდება საბოლოო პროდუქტის დიფერენცირება (დავალების წარდგენა ხდება პოსტერის, პლაკატის ან/და პრეზენტაციის სახით). ასევე, როგორც ინტერვიუდან ირკვევა, მასწავლებლები შეძლებისდაგვარად ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და საჭიროებებს, მათ აქვთ კომუნიკაცია ასევე კლასის დამრიგებელთან. გარდა ამისა, მოწოდებულ დოკუმენტაციებში გვხვდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფისა და ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის სხდომის ოქმები, რაც მიგვანიშნებს რომ სასაწავლო პროცესი ითვალისწინებს ინკლუზიური განათლების მიდგომებს.ამ მიმართულების გაძლიერებისთვის სკოლა სწავლებას ახორციელებს დიფერენცირებული სწავლების სტარტეგიებით: მაგალითად, სასწავლო მენიუ, სწავლა გაჩერებებით, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები და სხვ. დიფერენცირებული სწავლების დროს გასათვალისწინებელია გარემოს მოქნილობა. სკოლის სივრცეები ნამდვილად არის სწავლების პროცესში ხელშემწყობი ფაქტორი. ყველა კლასშია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები. ყოველწლიურად დირექცია აახლებს ბიბლიოთეკას, რაც ხელს შეუწყობს

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

4. სასკოლო სასწავლო გეგმაში, ასევე სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია, რომ სკოლაში იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებას, აგრეთვე სკოლა განსაზღვრავს, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შემუშავდება ეტაპობრივად, თემების მიხედვით და კომპლექსური დავალებებისთვის. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი

შეფასების რუბრიკებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს, კერძოდ საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით, საშუალო საფეხურზე წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა სამიზნე ცნებებთან მიმართებით, გეოგრაფიის მაგალითზე, ისტორიის მაგალითზე წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შაბლონი, აგრეთვე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა სტანდარტით განსაზღვრულ ინდიკატორებზე დაყრდნობით, გეოგრაფიის მაგალითზე.ქართული ენისა და ლიტერატურაში დოკუმენტებად წარმოდგენილია საკმაოდ მრავალფეროვანი ნიმუშები : პრეზენტაციის, ესეს, თხზულების შეფასების რუბრიკები, სადაც ქულებთან ერთად გაწერილია შესაბამისი კრიტერიუმები. ინტერვიუსას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ხშირად მიმართავენ განმავითარებელ შეფასებასაც და წარმოადგინეს თემატურ მატრიცაში გაწერილი კრიტერიუმები სოლოტაქსონომისათან მიმართებაში ( მე-10 კლასი , ესე : „გმირი და ანტიგმირი შუა საუკუნეების ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებსა და ჩვენს თანამედროვეობაში“); სკოლას აქვს შემუშავებული მოსწავლეთა ,, ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების ბარათები.“ პედაგოგთა მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

შეფასება იწერება მიმდინარე საკლასო,საშინაო და შემაჯამებელი დავალების კომპონენტებში, სკოლა იყენებს ზოგად-ჰოლისტურ და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს. **ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში** სკოლამ წარმოადგინა- - რუბრიკები კომპლექსური და შემაჯამებელი დავალების, გაკვეთილის, მოსწავლის თვითშეფასების,მაგრამ მიეცათ **რჩევა, სამომავლოდ შეფასების რუბრიკები ჩაიშალოს თემების მიხედვით.**

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

5.საშუალო საფეხურზე კურიკულუმის დაგეგმვის პროცესი ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას და , როგორც ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, ეფუძნება მისი ანალიზისას გამოტანილ დასკვნებს. სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ ურთიერთდასწრება და უკეთესი შედეგების მიღწევის შესაძლებლობების განხილვა სკოლისთვის პრიორიტეტული საკითხია. სკოლას აქვს ,,კათედრის სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოდია მეთოდოლოგია“, რომელიც ეყრდნობა წინა წლის შედეგების განხილვასა და სამომავლო გეგმის ფორმირებასა და კათედრის მიერ მის გადახედვაზე მსჯელობას. ასევე აქვთ ,,კათედრის თვითშეფასების კითხვარი“, რომელშიც გაწერილია, რომ ერთობლივი განხილვის საფუძველზე იგეგმება სასწავლო პროცესი. რომელშიც კარგად ჩანს , თუ როგორი მნიშვნელოვანია მათთვის არა მარტო საკუთარი პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილება, არამედ კოლეგებისაც. ამას გარდა, პედაგოგების აქვთ რეფლექსიები ჩატარებულ გაკვეთილებზე.აღსანიშნავია, რომ

ამ ეტაპზე არ ხდება სადიაგნოსტიკო შეფასება თუმცა, სკოლას აქვს განსაზღვრული მომავალი სასწავლო წლისათვის სადიაგნოსტიკო შეფასება ჩატარდეს ყოველი სემესტრის ბოლოს.

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;*
- *სასკოლო- სასწავლო გეგმა;*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი;*
- *ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის სხდომის ოქმი;*
- *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;*
- *კურიკულუმები;*
- *რესურსი 12 ;*
- *სხდომის ოქმი;*
- *ინტერვიუები პედაგოგებთან;*
- *მასწავლებლის რეფლექსიები;*
- *კათედრის სამუშაო გეგმის შექმნის მეთოდოლოგია.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 2.2 კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლას მართალია კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დიდი გამოცდილება არ აქვთ, თუმცა კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს მაქსიმალურად ცდილობენ კონსტრუქტივისტული პრინციპების პრაქტიკაში რეალიზებას, კათედრებს წარმოდგენილი აქვს საფეხურზე ყველა კლასის კურიკულუმი, სადაც ისეთი კომპლექსური დავალებებია მოცემული, რომლებიც ითვალისწინებენ მოსწავლეების შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მაგალითად, უცხოურ ენებში, წარმოდგენილ კურულუმებში, გვხვდება დავალებები, რომელიც ეხება მოსწავლეებისათვის აქტუალურ თემებს, კერძოდ საქართველოში მობილურების გამოყენების ტენდენციებს საგაკვეთილო პროცესში; მათემატიკაში, კომპლექსური დავალება საყოფაცხოვრებო ტიპის, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებაა, შესაბამისად მოსწავლეებს უხდებათ საკუთარი შემოქმედებითი უნარების გამოვლინება. ამის დამადასტურებელია სკოლის მიერ წარმოდგენილი მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები, შესაბამისი დავალების ბარათებით და სხვადახვა რესურსებით. მაგ. მე-10 კლასში ,,ფერადი ბარათების დამზადება“, მე-11 კლასში „ჭადრაკი და გეომეტრიული გარდაქმნები“, მე-12 კლასში „სპორტული საცავის აგება“ და სხვა. ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, აქტიურად ჩაერთონ შემოქმედებით პროცესში. ამის ნიმუშებია კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები, მაგალითად, მე-12 კლასში: გამოხმაურების დაწერა კონსტანტინე გამსახურდიას რომანის პერსონაჟის, კონსტანტინე არსაკიძის, მონოლოგზე ხელოვნების უკვდავების შესახებ (კონსტანტინე გამსახურდიას ბიოგრაფიისა და „დიდოსტატის

მარჯვენის " სწავლებისას), გასაუბრებით დადგინდა, რომ პედაგოგებს დაგეგმილი აქვთ სხვადასხვა პროექტი და ღონისძიება; ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში,წარმოდგენილია 10-12 კლასის კურიკულუმები და მასში გაწერილია, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები, სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები, სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებულია მშობლები;ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, აქტიურად ჩაერთონ შემოქმედებით პროცესში. ამის ნიმუშებია კურიკულუმებში წარმოდგებილი კომპლექსური დავალებების იდეები, მაგალითად, მე-12 კლასში: გამოხმაურების დაწერა კონსტანტინე გამსახურდიას რომანის პერსონაჟის, კონსტანტინე არსაკიძის, მონოლოგზე ხელოვნების უკვდავების შესახებ ( კონსტანტინე გამსახურდიას ბიოგრაფიისა და „დიდოსტატის მარჯვენის " სწავლებისას), გასაუბრებით დადგინდა, რომ პედაგოგებს დაგეგმილი აქვთ სხვადასხვა პროექტი და ღონისძიება; ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმებში შემავალი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული თემები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რაც მოწმობს, რომ სასწავლო პროცესის დროს მთავარი ორიენტაცია მოსწავლეზეა აღებული. ეს იძლევა საშუალებას მოსწავლეებს განვუვითაროს ფუნქციური უნარები, მათ შორის შემოქმედებითი. ამ უნარების განვითარებას სკოლა ახდენს ფორმალური და არაფორმალური სწავლების პროცესში. მოსწავლეები ერთობლივი მუშაობის გზით შექმნიან პროექტებს. სკოლაში მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ სივრცეები გამოიყენონ სხვადასხვა მიზნების შესაბამისად. მაგ., სააქტო დარბაზი (თეატრალური გამოსვლებისთვის) და სხვ;საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება აქტიურად ჩაერთონ სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა მიდგომების გამოყენებით, როგორიცაა: პოსტერის, პრეზენტაციები, მოდელის შექმნა.ვიზუალური დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ სასკოლო და საკლასო გარემო არის პოზიტიური, მოწესრიგებული, სასწავლო რესურსებით მდიდარი, მულაჟებით, მარტივი ექპერიმენტების ჩასატარებლად არსებული რესურსები ქმნის მამოტივირებელ გარემოს, რომელსაც კარგად იყენებენ მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციისა და პიროვნული განვითარებისთვის. (მაგ. ღეროვანი უჯრედები შიდსის წინააღმდეგ - მეცნიერების ახალი მიგნება.) საბუნებისმეტყველო კაბინეტებში ტარდება გაკვეთილები რესურსების გამოყენებით.

შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

2.კურიკულუმებიდან, ისე პედაგოგთა ინტერვიუდან იკვეთება, რომ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს პედაგოგები მაქსიმალურად ცდილობენ ახალი თემის/ საკითხის ახსნამდე, მიმართონ სხვადასხვა სტრატეგიას, მაგალითად, უცხოურ ენებში, ხშირად იყენებენ კროსვორდებსა და სიმღერებს, რათა მოსწავლეთა წინარე ცოდნა გააქტიურონ. ინტერვიუს დროს, პედაგოგებმა ხაზი გაუსვეს, რომ

შესაბამისი ლექსიკასა და გრამატიკულ კონსტრუქციებზე მუშაობა ხდება ნაბიჯ-ნაბიჯ, მოსწავლეთა წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რამდენიმე გაკვეთილი სჭირდებათ, რათა სასურველ შედეგზე გავიდნენ; ბიოლოგიისა და ქიმიის გაკვეთილებზე ყოველთვის იყენებენ მოსწავლეების გაარკვეულ გამოცდილებას მაგ. საარსებო თუ გეოგრაფიული გარემოს შესწავლის დროს.

კათედრებმა საშუალო საფეხურზე გადაწყვიტეს, 2023-2024 სასწავლო წელს, პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით, კომპლექსური დავალებებით მუშაობა კი უზრუნველყოფს ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, ყოველი კლასის კურიკულუმი ისეა აგებული, რომ ნებისმიერი თემა მოითხოვს შესაბამის წინარე ცოდნას, ძველი მასალის გახსენებას, ამიტომ სწავლა-სწავლების პროცესი ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. პედაგოგთა წინარე გამოცდილების სურათს იძლევა მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი რეფლექსიები, ანგარიშები , კათედრის სამოქმედო გეგმა, ამ გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის ამსახველი დოკუმენტი. აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ პედაგოგები აკვირდებიან და აფასებენ მოსწავლეებს სასწავლო პროცესში, ითვალისწინებენ მათგან და მათი მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირს ( წარმოდგენილი აქვთ გამოკითხვის ფორმების ლინკები), ამის შემდეგ კი გამოცდილებაზე, მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე, საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით გეგმავენ სასწავლო პროცესს.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

3.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახულია როგორ მუშაობენ საშუალო საფეხურზე სკოლის პედაგოგები მოსწავლეების ,,სწავლის სწავლის“ უნარზე. მაგალითად, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მასწავლებელები ყურადღებას ამახვილებენ ისეთ კითხვებზე, რომლებიც მოსწავლეებს ამ უნარის განვითარების საშუალებას მისცემს , მაგალითად: რამდენად შეძლო საჭირო გრამატიკის, ლექსიკის გამოყენება კომუნიკაციისას - პრეზენტაციის წარდგენისას; რა გაუძნელდა, რა გაუადვილდა და რატომ; რა დაბრკოლებებს წააწყდა დავალებაზე მუშაობის პროცესში და როგორ გადაჭრა ისინი, ანდა რატომ ვერ შეძლო მათი გადაჭრა; როგორ მოიქცევა მომავალში, რომ პრობლემა მოაგვაროს და ა.შ. მსგავსი ტიპის კითხვები ეხმარება მოსწავლეებს, ყურადღება გაამახვილონ იმაზე , თუ როგორ სწავლობენ, რაც ხელს უწყობს მეტაკოგნიტური უნარის განვითარებას. მე-10 კლასის კომპლექსურ დავალებაში შემოთავაზებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიები (მაგ., აქტივობის/დავალების ღირებულების გააზრება; დაფიქრება სწავლის პროცესზე, წინსვლა-განვითარების შემაფერხებელი და ხელშემწყობი ფაქტორების გაცნობიერება, სწავლის პროცესის დაგეგმვა); ისტორიაში, გეოგრაფიასა და მოქალაქეობაში, შუალედურ სასწავლო მიზნად განსაზღვრულია კომპლექსურ დავალებათა გარკვეული რაოდენობა, აგრეთვე ზოგ შემთხვევაში წარმოდგენილია შესაბამისი კომპლექსური დავალებების პირობები მატრიცების ან მოსწავლის ბარათების სახით, რადგან კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა გულისხმობს

აქცენტის გაკეთებას სწავლის სწავლაზე, შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, კომპლექსური დავალების განხორციელებისას, სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე;მათემატიკის სწავლებაც წარიმართება კომპლექსური დავალებებით. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი, კომპლექსური დავალების არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს მოსწავლისათვის სწავლის სწავლას. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეები მთელი თავისი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობით, მიზანმიმართულად გეგმავენ საკუთარ სასწავლო საქმიანობას და ორგანიზებულად ახორციელებენ მას. ისინი იყენებენ სწავლის, კვლევისა და ინფორმაციის მოძიების სხვადასხვა სტრატეგიას, ასევე სასწავლო პროცესზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგებს. ამაზე მიუთითებს კათედრის მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები: „ფერადი ბარათების დამზადება“, „ჭადრაკი და გეომეტრიული გარდაქმნები“, „სპორტული საცავის აგება“ და სხვა. ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში, მოსწავლეები, ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათი შეძენილი- ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.

პედაგოგებთან გასაუბრებიდანაც გაირკვა, რომ ისინი მაქსიმალურად ცდილობენ ხელი შეუწყონ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარის განვითარებას, სწავლის სწავლას, კერძოდ, კომპლექსური დავალების წარდგენის ბოლოს, მოსწავლეებს უსვამენ რეფლექსიური ტიპის შეკითხვებს, რათა მოსწავლეებმა შეძლონ გაიზრონ, რა გააკეთეს და რისი გაუმჯობესება შეიძლება.

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

4.საშუალო საფეხურზე დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას, ვინაიდან კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარატიული ცოდნა, პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში. ამაზე მიუთითებს კათედრების მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები და კურიკულუმები, სკოლას ასევე წარმოდგენილი მე-10-12 კლასებში განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების მოსწავლის ბარათები, რომლებიდანაც ჩანს, რომ მოსწავლეს მოეთხოვება გამოავლინოს ცოდნა სამივე კატეგორიის მიხედვით.მაგალითისთვის, შეიძლება განვიხილოთ, კომპლექსური დავალება უცხოურ ენებში, რომელიც ეხებოდა ტურისტული ბროშურის მომზადებას, რომელიც მოიცავდა შესაბამის ლექსიკისა და გრამატიკული კონსტრუქციების დამუშავებას, ასეთი მიდგომა ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე; ეს კარგად ჩანს,ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში, აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ მიხედვით შედგენილ კომპლექსურ დავალებაში ( მე-10 კლასი), რომელშიც შეკითხვები ორიენტირებულია სამივე სახის ცოდნის კონსტრუირებაზე :

. ბათუს ხასიათის რა თვისებები იკვეთება ძალადობის მსხვერპლ ცოლთან და ახლად გამოღვიძებულ საფარ-ბეგთან დამოკიდებულებში?

- საიდან ჩანს, რომ საფარ-ბეგი მშვენივრად შეირგებდა ამ ცოდვას, თუკი ის დაფარული დარჩებოდა?
- როდის გაიღვიძა მასში სინდისის ქეჯნამ?
- გულწრფელია თუ არა, თქვენი აზრით, საფარ-ბეგის სინანული?
- სწორად მოიქცა თუ არა ბათუ, როცა მხოლოდ მორალურად დასაჯა საფარ-ბეგი?
- რა უფრო დიდი სასჯელი იყო, თქვენი აზრით, საფარ-ბეგისთვის, ტყვია თუ სიტყვა?
- როგორ ფიქრობთ, რატომ მოიქცა მოძღვარი ასე, ვინ დასაჯა მან, საკუთარი თავი თუ საფარ-ბეგი?

საბუნებისმეტყველო საგნებში კი სწავლება ყოველთვის გამოირჩეოდა კეთებით სწავლების მეთოდით და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებით; მე-3 თაობის ესგ-ის მიხედვით სახელმძღვანელოები და დამხმარე რესურსები მართალაც გამოირჩევა და კომპლექსური დავალებებიც სწორედ ამ კუთხითაც აირჩა; მაგ. კომპლექსური დავალება მე-10 კლასში : შექმენი საინფორმაციო ხასიათის საპრეზენტაციო მასალა, რომელშიც დაახასიათებ ღეროვანი უჯრედებს და იმსჯელებენ მედიცინაში მათი გამოყენების პერსპექტივებზე. იზოტოპები, საფრთხე თუ სარგებელი?

კომპლექსური ბუნების დავალებები და პროექტები გულისხმობს ცოდნის კონსტრუირებას, აგებასა და მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებით და ინტერვიუზე დაყრდნობით დგინდება, რომ კათედრებს აქვს გამოცდილება და მზაობა დეკლერატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის განვითარებაზე გააკეთოს აქცენტები. პედაგოგები ხელს უწყობენ მოსწავლეს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულად გააზრებასა და სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებაში.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

5.საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში იკვეთება მოსწავლეთა ცოდნის ურთიერთდაკავშირებისა და ორგანიზების გათვალისწინება. მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება ამ მიმართულებით: სამიზნე ცნებები თავისთავად მოიცავს ქვეცნებებისა და ქვესაკითხების დამუშვებას, რომელთა ფარგლებში შეძენილი ცოდნის გააზრება წარმოადგენს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები სწორედ ხელს უწყობს კონკრეტული საკითხის გაცნობიერება-გაანალიზებას. კომპლექსური დავალებების განხორციელების აუცილებელი პირობაა მოსწავლემ გამოავლინოს საკუთარი პირობისეული ცოდნა, რომელიც, ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.მაგალითად მათემატიკაში, სკოლას წარმოდგენილი აქვს მე-11 კლასის კომპლექსური დავალება („ჭადრაკი და გეომეტრიული გარდაქმნები“), რომლის განხორციელების პროცესში მოსწავლეები მოახდენენ მათემატიკაში გეომეტრიული

საკითხების ცოდნისა და ინტელექტუალური თამაშის ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირებას. სკოლაში, ასევე, იყენებენ მოსწავლის ურთიერთშეფასებასა და თვითშეფასების კითხვარებს,რომლებიც ეხმარება მოსწავლეს დაადგინოს საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეები.

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;*
- *შეფასების რუბრიკები;*
- *ინტერვიუები პედაგოგებთან;*
- *მოსწავლის თვითშეფასების და ურთიერთშეფასების ბარათები;*
- *თემატური მატრიცები;*
- *ხელოვნებისა და მუსიკის საკლასო და სასკოლო პროექტები;*
- *პროექტი ,, არა თამბაქოს;*
- *რესურსი 12. საბუნებისმეტყველო საგნები.*

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სასწავლო პროცესში ხდება კომპლექსური დავალებების გამოყენება, წარმოდგენილ კურიკულუმებში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს ( სწავლის მექნიზმს) შორის. ასევე ამის თქმის საშუალებას გვაძლევს, არა მარტო გაწერილი კურიკულუმები, არამედ განხორციელებული კომპლექსური დავალებებიც, რომელიც მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა.

საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით წარმოდგენილი კურიკულუმზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; კერძოდ თითოეული საგნის ფარგლებში, ისტორიაში, გეოგრაფიასა და მოქალაქეობის მიმართულებით წარმოდგენილია სტანდარტით განსაზღვრულ სავალდებულო თემათა ჩამონათვალი, აგრეთვე თითოეული თემის ფარგლებში შერჩეულია საკითხები, ასევე შუალედურ სასწავლო მიზნად გაწერილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს, შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

**თუმცა მიეცათ რჩევა, საქართველოს ისტორიის კურიკულუმში მე-11 კლასში, პირველი თემის ფარგლებში გადასახედი და დასაზუსტებელია კომპლექსური დავალების იდეის ველი.**

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

2.საშუალო საფეხურზე,ყველა საგნობრივ ჯგუფში, კურიკულუმით განსაზღვრულია სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, თემის ფარგლებში შერჩეულია საკითხები და რიგ შემთხვევაში შუალედურ სასწავლო მიზნად გაწერილია კომპლექსური დავალებები, რომელზე დაყრდნობითაც შეიძლება დავასკვნათ, საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;კერძოდ, უცხოური ენის,ერთ-ერთი კლასის კურიკულუმში არის წარმოდგენილი კომპლექსური დავალება,პრეზენტაცია თემაზე

„ School and University subjects, სადაც მოსწავლეებმა უნდა ისაუბრონ საოცნებო უნივერსიტეტსა და პროფესიაზე, ასევე უნდა გაავლონ პარალელები სხვა ქვეყნის უნივერსიტეტებთან,

გარდა ამისა, სკოლაში დანერგილია სადამრიგებლო საათი, სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ,,სადამრიგებლო პროგრამა" სადამრიგებლო პროგრამაში შეტანილია ისეთი საკითხები,როგორიცაა მაგ, გარემოს დაცვა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, როგორ ვიპოვოთ საკუთარი თავი, პროფესიის სწორად არჩევა და სხვ. ამ საკითხებზე მუშაობისას მასწავლებლები ცდილობენ ყურადღება მიაქციონ მოსწავლის დამოკიდებულებას განსხვავებული ადამიანებისა და მოვლენების მიმართ, მეტ ინფორმაციას აწვდიან ბავშვთა უფლებების შესახებ, საუბრობენ კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებისა და ემოციების მართვის დადებით მაგალითს.

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

3.სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია, რომ საშუალო საფეხურზე მიმდინარეობს როგორც განმავითარებელი, აგრეთვე განმსაზღვრელი შეფასების წარმოება, აგრეთვე იგეგმება, 2023-2024 სასწავლო წელს, შედეგების მიღწევის ტაქსონომიის დანერგვა, საუბარია იმაზეც, რომ პედაგოგები საჭიროების მიხედვით შეიმუშავებენ სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების რუბრიკებს, საშუალო საფეხურზე წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სტანდარტით განსაზღვრულ ინდიკატორებზე დაყრდნობით,მაგალითად გეოგრაფიაში, აგრეთვე წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები სამიზნე ცნებებთან მიმართებით ისტორიისა და გეოგრაფიის ფარგლებში; საშუალო საფეხურზე ხორციელდება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება. წარმოდგენილ კომპლექსური დავალების მატრიცაში მოცემულია შეფასების კრიტერიუმები, რომლიდანაც ნათლად ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა; სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმს, სტანდარტის შედეგების მიღწევის სოლო ტაქსონომიას, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: პრესტრუქტურულს, უნისტრუქტურულს, მულტისტრუქტურულს, მიმართებით და აბსტრაქტულს, რომელთაგან თითოეული წარმოაჩენს სამიზნე ცნების ფლობის დონეს, სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული საკითხის/საკითხების გააზრების ხარისხს.

სკოლამ წარმოადგინა მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები , როგორც ზოგადი ( ესეს, პრეზენტაციის, ზეპირი გამოკითხვის), მოცემულ ნიმუშებში კრიტერიუმები კარგადაა შემუშავებული და უზრუნველყოფს წერილობითი და ზეპირი ნამუშევრების შეფასებას. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ბარათები. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ პრაქტიკაში ყოველთვის იყენებენ შეფასების რუბრიკები ეხმარება მათ ობიექტურ შეფასებაში. შეიძლება ითქვას, საშუალო საფეხურზე მასწავლებლები მზად არიან , უზრუნველყონ მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობა შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

4. სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ყოველი მოსწავლის შეფასება თითოეული სასწავლო თემის მიხედვით. პედაგოგებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ შეფასების რუბრიკების გამჭვირვალეობის მიზნით, ანალოგიური რუბრიკები ცნობილი იქნება მოსწავლეებისათვის და ყველა დაინტერესებული პირისთვის. სასწავლო პროცესში გამოყენებისას კი სკოლა იზრუნებს ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. ამის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებასა და მის მიზნობრივად გამოყენებას სასწავლო პროცესში სკოლაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი. შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

5. სკოლამ წარმოადგინა ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც დგინდება თუ რამდენად ასრულებს სკოლაში არსებული შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას. სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს, რომლებიც შემუშავდება სკოლის კათედრების მიერ. ვერიფიკაცია მოიცავს შეფასების ნიმუშების შერჩევასა და მონიტორინგს, იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეფასება არის ზუსტი, ვალიდური და თანმიმდევრული. სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტის მიხედვით სკოლა ვერიფიკაციას განახორციელებს სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციას განახორციელებს სკოლაში შექმნილი სპეციალური ვერიფიკაციის ჯგუფი. მოცემული დოკუმენტითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ სკოლაში შემუშავებულია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც სკოლა გაანალიზებს მოსწავლეთა შედეგებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

6.სკოლაში შეფასების სათანადო აღრიცხვა ხდება ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. ელექტრონული ჟურნალი მასწავლებლებს, მშობლებს და მოსწავლეებს საგანმანათლებლო პროცესის მართვას უმარტივებს, რადგანაც მისი საშუალებით შესაძლებელია:

- მოსწავლეების ელექტრონული აღრიცხვა და შეფასება;
- მშობლებისთვის საჭირო ინფორმაციის დროული მიწოდება ;
- სკოლის ღონისძიებების, გაკვეთილების ცხრილის, გამოცდებისა და მოსწავლისთვის განკუთვნილი საშინაო დავალებების ჩანიშვნა;

- მოსწავლეების შეფასებისა და დასწრების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მიღება;
- მოსწავლის შესახებ მშობელსა და მასწავლებელს შორის ინფორმაციის მყისიერი მიმოცვლა;
- სკოლის ღონისძიებების, გაკვეთილების ცხრილის, გამოცდებისა და მოსწავლისთვის განკუთვნილი საშინაო დავალებების თვალყურის მიდევნება;
- მოსწავლის შეფასებისა და დასწრების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მიღება.

ასევე სკოლა მიუთითებს, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესი. ამრიგად, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;*
- *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *შეფასების რუბრიკები;*
- *ვერიფიკაციის მექანიზმები;*
- *ინტერვიუები პედაგოგებთან;*
- *სადამრიგებლო პროგრამა;*

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტით განსაზღვრულია სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება, ცვლილების შეტანა და განხორციელება, აგრეთვე განსაზღვრულია _მოსწავლეებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და/ან ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი სააღმზრდელო მომსახურების შეთავაზება, დაგეგმილია სასწავლო პროცესში ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების გამოყენება; ეროვნული ოლიმპიადისათვის მოსწავლეების მომზადება; მოსწავლეთა მიღწევების მიხედვით წახალისების პრაქტიკის დამკვიდრება; მოსწავლეთათვის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნა, ოლიმპიადებში, კონფერენციებსა და პროექტებში მოსწავლეთა ჩართვა, კლუბის/წრეების შექმნა, კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა; გასვლითი გაკვეთილების/ექსკურსიების ორგანიზება; შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტით აგრეთვე განსაზღვრულია მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტივობის გაზრდა; მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება. სკოლის მიერ წარმოდგენილია აგრეთვე მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი, რომლის „მიზანია მოსწავლეთა მხარდაჭერის, ინფორმირებულობის, პოზიტიური გარემოს შექმნის ხელშეწყობა, არსებული სირთულეების, საჭიროებებისა და ინიციატივების იდენტიფიცირების მიზნით შესაბამისი ღონისძიებებისა და აქტივობების განხორციელება.“ ამ ყველაფრის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

როგორც ინტერვიუდან გაირკვა სკოლაში შექმნილია მაქსიმალურად მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, სადაც ყველა ცდილობს შეძლებისდაგვარად სასწავლო პროცესი იყო პოზიტიური.სასწავლო პროცესში აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან მასწავლებლები და მოსწავლეები. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. პედაგოგები ესწრებიან ტრენინგებს და მიღებულ გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

2.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო პროგრამით განსაზღვრული სტანდარტებით და მოიცავს საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო აქტივობებს, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესების სფერო. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური

დავალებები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად. აქ იგულისხმება ასევე, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევა და ამ კვლევაზე დაფუძნებით შესაბამისი ცვლილებების შეტანა სასწავლო პროცესში. თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, მოსწავლეებთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფილია ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, ამისათვის კი გამოიყენება კლასის მართვის ეფექტიანი სტრატეგიები. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტით განსაზღვრულია, თუ რა მიმართულებით წარიმართება პროცესები, მოსწავლეთა მხარდასაჭერად, მათ შორის მხარდაჭერილია ოლიმპიადებში, პროექტებსა და კონფერენციებში მონაწილეობა; დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებებისა და სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული და მათზეა ორიენტირებული.

სასწავლო პროცესი მორგებულია მოსწავლეზე, სკოლა ყველაფერს აკეთებს მის ხელშესაწყობად. ტარდება სადამრიგებლო საათები, შემუშავებულია ,,სადამრიგებლო პროგრამა“, წახალისებულია მოსწავლეთა აქტივობები და მათი წარმატება გაზიარებულია სკოლის მიერ. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომელთა შემუშავებისას აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან, რათა გათვალისწინებული იყოს მოსწავლის კონკრეტული საჭიროებები.

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

3.ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტით განსაზღვრულია მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა; გუნდური მუშაობის პრაქტიკის დანერგვა; სასკოლო- სასწავლო გეგმით აგრეთვე განსაზღვრულია „კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება“.როგორც ინტერვიუდან ჩანდა, სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, რადგანაც, კათედრის წევრებს და კათედრებს შორის იყო კონსტრუქციული კომუნიკაცია, აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესში ინტენსიურად თანამშრომლობენ მასწავლებლები. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით.სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესი დაფუძნებულია თანამშრომლობით კულტურაზე და ჯანსაღ კომუნიკაციაზე, საშუალო საფეხურის კლასების პედაგოგები შეთანხმდნენ საერთო თემებსა და საკითხებზე, რომ შემდეგ შეძლონ შედარებითი ანალიზი, ამის საფუძველზე კი მომავალში შექმნან კურიკულუმების შეჯერებული და გაუმჯობესებული ვარიანტი.

კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით სწავლება გულისხმობს პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს კათედრის თვითშეფასების კითხვარი და ხარისხის მართვის ანგარიში, სადაც მოცემულია ხარისხის ჯგუფის მიერ გაკვეთილზე დასწრების ანგარიში. სკოლაში, ასევე შემუშავებულია ხარისხის ჯგუფის დებულება, რომელშიც ზუსტადაა გაწერილი მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერისათვის საჭირო აქტივობები და ეტაპები.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

4.სკოლა მაქსიმალურად ცდილობს შექმნას გარემო, სადაც თანამშრომლობითი კულტურა და გამოცდილი კომუნიკაცია პრიორიტეტულია. საშუალო საფეხურის პედაგოგები საგაკვეთილო საკითხებს არჩევენ მოსწავლეთა მზაობის მიხედვით. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ შეფასების ობიექტურ კრიტერიუმებს და დიდ ყურადღებას უთმობენ იმას, თუ რა პრინციპით ახდენენ მოსწავლეთა წახალისებას. კერძოდ, ეს დასტურდება საგნობრივი კურიკულუმებით და მოცემული კომპლექსური დავალებების ბარათებით, ასევე პედაგოგებთან ჩატარებული ინდივიდუალური ინტერვიუებით. სკოლა თანამშრომლური გარემოს შექმნით ცდილობს შექმნას პოზიტიური კლიმატი.მაგალითად,საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები ცდილობენ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად ჩართონ მოსწავლეები, განსაკუთრებით აღნიშვნის რათა მათ შეძლონ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება.განსაკუთრებით აღფნიშნვნის ღირსია, ფიზიკის ღვაწლმოსილი მასწავლებელი, რომელსაც ყველა გაკვეთილისთვის მზად აქვს თვალსაჩინო საექსპერიმენტო რესურსები. პოზიტიური გარემოს შესაქმნელად ასევე იყენებენ ისეთ მამოტივირებელ ფაქტორებს, როგორიცაა ტექნოლოგიების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი;*
- *შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმის პროექტი;*

- *სასკოლო -სასწავლო გეგმა;*
- *მოსწავლეთა ინიციატივების მხარდააჭერის წესი;*
- *კათედრის ოქმი;*
- *საშუალო საფეხურის კლასების საგნობრივი კურიკულუმები;*
- *კათედრის თვითშეფასების კითხვარი;*
- *კათედრის სამოქმედო გეგმის შექმნის პროცედურები;*
- *ინტერვიუები პედაგოგებთან;*
- *სასკოლო ღონისძიებები;*
- *სადამრიგებლო პროგრამა;*
- *მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვის ლინკები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომელშიც გაწერილია კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია. ამ დოკუმენტში გაწერილია, რომ კათედრის ხელმძღვანელი ვალდებულია შეატყობინოს სკოლის ადმინისტრაციას ყველა იმ ცვლილების შესახებ, რომელიც განხორციელდა კურიკულუმში წინა წლის სასწავლო პროცესის შესწავლის საფუძველზე. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელთა ფუნქციები უმეტესწილად მიმართულია მასწავლებლების მხარდაჭერასა და საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებაზე. აღნიშნული ჯგუფი იკრიბება პერიოდულად, სადაც ჯგუფის წევრები აჯამებენ განხორციელებულ საქმიანობას, შეიმუშავებენ ახალ ნაბიჯებს და ადგენენ შესაბამის ოქმებს. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ სკოლა აპირებს ანალოგიური მეთოდებით იმუშაოს მომავალ სასწავლო წელს.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

2. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც ვალდებულია თვალყური ადევნოს და შეაფასოს სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესი. ამ ჯგუფს ევალება გაკვეთილებზე დასწრება და ჩატარებული გაკვეთილის ხარისხის შეფასება, შესაბამისად პედაგოგისთვის კონსტრუქციული უკუკავშირის მიცემა, რაც უზრუნველყოფს მის პროფესიულ ზრდას. კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ თვით პედაგოგებიც ახდენენ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას და ერთმანეთის შეფასებას. სკოლაში სწავლება დაფუძნებულია კომპლექსური დავალებების განხორციელებაზე, შესაბამისად ყოველი ასეთი დავალების შესრულების შემდეგ კათედრებზე ხდება მათი შეფასება, ყოველი წარმატებული და გასაუმჯობესებელი საკითხის დაფიქსირება, რაც საბოლოო ჯამში საჭიროა კურიკულუმის განხორციელების შეფასებისთვის.სკოლის პრიორიტეტებიდან გამომდინარე, მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას და მათ დახმარებას ისახავს მიზნად, ამიტომაც სისტემეტურად მიმდინარეობს დასწრების შემდეგ უკუკავშირი, ძლიერი მხრეების გამოკვეთა და წარმატებული პრაქტიკის პედსზაჭოზე გაზიარება, ხოლო სუსტი მხარეების ანალიზი და პრობლემათა გადაჭრის გზების ერთობლივი ძიება. მასწავლებლებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ სკოლის გუნდური მუშაობის პრინციპი ითვალისწინებს მხარდაჭერას ყველა დონეზე, მნიშვნელობა არა აქვს, ეს იქნება მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი თუ სასკოლო საზოგადოების სხვა წარმომადგენელი.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

3. სკოლის პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის SVOT ანალიზის მეთოდით იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომლის წევრები სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად აფიქსირებენ ყველა გამოვლენილ პრობლემას, რათა შემდეგ დასახონ მათი გადაჭრის გზები. კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ თვით პედაგოგებიც ახდენენ საკუთარი გაკვეთილების თვითრეფლექსიას, კოლეგების ურთიერთშეფასებას და კათედრებზე განხილვის პროცესში ეძებენ გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზებს.

**ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მიმართულებით მიეცათ რჩევა,სამომავლოდ უმჯობესი იქნება, სკოლამ გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით, სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები.**

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;*
- *ვერიფიკაციის დოკუმენტი ;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;*
- *ინტერვიუები პედაგოგებთან.*

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლას სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში განსაზღვრული აქვს, რომ კითხვარის მეშვეობით შეძლო მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების გამოკითხვა სკოლის საჭიროებების გამოკვეთის მიზნით, აგრეთვე სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი, „შემოწმება (ვერიფიკაცია) მოიცავს შეფასების ნიმუშების შერჩევას, მონიტორინგსა და კონკრეტული მასწავლებლის პრაქტიკის შესწავლას იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეფასება არის ზუსტი, ვალიდური და თანმიმდევრული (კონსიტენტური); ანუ იმის უზრუნველყოფას, რომ შემფასებლები (მასწავლებლები) შეფასების დროს იღებენ სწორ გადაწყვეტილებებს შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე.“ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით აგრეთვე განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, რაც მოიცავს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას; მასწავლებელთა პედაგოგიური საჭიროების იდენტიფიცირებას სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერებას. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

ძირითადად, როგორც გასაუბრებისა და კათედრის ოქმიდან ირკვევა, უცხოური ენების კათედრა, ძირითადად, კლასების, საგნებისა და შესრულებული შემაჯამებელი დავალებების შედეგების საფუძველზე ახდენს პროცესის ანალიზსა და შეფასებას.

მათემატიკაში, სკოლის მიერ წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები_ განმსაზღვრელი შეფასება ხდება საშინაო, საკლასო დავალებებში და შემაჯამებელ წერებში, წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

2. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და პედაგოგთა ინტერვიუებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ შეფასება ეყრდნობა სხვადასხვა წყაროებს. გაწერილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კომპონენტები და რუბრიკები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის შეფასებას მრავალი წყაროსა და კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლის სასწავლო გეგმიდან ირკვევა, რომ მოსწავლეების შეფასება ხდება არამარტო აკადემიური მოსწრების მიხედვით, არამედ ითვალისწინებენ მოსწავლის მისწრაფებებს, მის უნარებს. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა შეფასებისას ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორებს, კერძოდ, იმ სუბიექტურ თუ ობიექტურ მიზეზებს, რომლებმაც შესაძლოა მოსწავლეზე იქონიოს გავლენა, მომდინარეობდეს მისგან დამოუკიდებლად

და ხელს უშლიდეს მას სწავლის პროცესში. სკოლას წარმოდგენილი აქვს სსსმ მოსწავლეების ისგ-ის შემუშავების მეთოდოლოგია და სხვადასხვა საგნებში მოსწავლეთა ისგ-ს ნიმუშები. სკოლის მიერ შეფასების ვალიდაციას სწორედ ასეთი მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. შესაბამისად, შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

3.კურიკულუმის განვითარების მეთოდლოგიით განსაზღვრულია, რომ კურიკულუმის რევიზიის პროცესში გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები; მშობელთა ჩართულობა, კათედრისა და სკოლის დირექციის მუშაობა; აგრეთვე იგეგმება მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება, მასწავლებელთა საჭიროების იდენტიფიცირება, რის საფუძველზეც შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან ირკვევა, რომ სკოლაში იყენებენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს. სკოლაში სწავლება ხორციელდება კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, ხოლო ასეთი დავალებების შეფასების რუბრიკები მოითხოვს მოსწავლის შეფასებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ამ დროს ხდება მოსწავლის პრეზენტირების, კრეატიულობის, შემოქმედობითობის შეფასება.

მაგალითად,ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ჩატარებული აქვთ საჭიროებათა კვლევები მონაცემთა შეგროვების მიზნით. გამოყენებულია მრავალფეროვანი მეთოდები, მათ შორის ყველაზე ტიპური და გამოყენებადი საგანმანათლებლო სფეროში : მშობელთა გამოკითხვა, ინტერვიუ, ანკეტირება, ფოკუს-ჯგუფი. წარმოადგინეს გამოკითხვის ნიმუშები ლინკების სახით. ინტერვიუსას აღნიშნეს , რომ საგაკვეთილო პროცესისას იყენებენ თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვებას, ტესტირებას და ა.შ.

*ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

4.სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან და კომპლექსურ დავალებების შეფასების კრიტერიუმებიდან ირკვევა, რომ პედაგოგები შეფასებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობების სხვადასხვა ფაქტორებს. კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწვლემ შეიძლება შექმნილი პროდუქტი წარმოადგინოს ნებისმიერი მისთვის სასურველი ფორმით, ეს არ მოქმედებს მის შეფასებაზე. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა შეფასებისას იყენებენ დიფერენცირებული სწავლების ელემენტებს, რაც სასწავლო პროცესს ხდის მოსწავლეზე ორიენტირებულს. პედაგოგებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ

შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, რაც კარგადაა გააზრებული როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებების და ჩანს წარმოდგენილ რუბრიკებში. ასევე, თემატური მატრიცები გვიჩვენებს, რომ ყურადღება მახვილდება იმაზე, თუ რამდენად უწყობს ხელს განხორციელებული აქტივობები ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევას , გლობალური-ფუნქციური უნარების განვითარებას, გათვალისწინებულია თუ არა მოსწავლის ინტერესები და საჭიროებები. სკოლა შეფასების დახვეწასთან დაკავშირებით გამოთქვამს მზაობას, რომელიც უნდა იყოს მხარდაჭერილი სასკოლო საზოგადოების მიერ.

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;*
- *ვერიფიკაციის მექანიზმი;*
- *კლასების საგნობრივი კურიკულუმები;*
- *ინტერვიუები პედაგოგებთან;*
- *შეფასების რუბრიკები;*
- *თემატური მატრიცები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

#### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

3. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
4. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“-ში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. პედაგოგები მთელი წლის განმავლობაში აგროვებენ კურიკულუმის დანერგვის პროცესში მიღებულ შესაბამის მონაცემებს და შემდეგ ხდება მათი ანალიზი კათედრის სხდომებზე. განხილულ საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე კათედრები შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, რომლებიც უზრუნველყოფს მომდევნო წლის კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრის სხდომებზე მუდმივად განიხილება რომელიმე თემის სწავლებისას, ან კომპლექსური დავალების განხორციელებისას წარმოქმნილი პრობლემები. განიხილება ამ პრობლემების გადაჭრის გზები მათი კურიკულუმში ასახვის მექანიზმები.
***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“-ში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარების ციკლური პროცესი (კურიკულუმი შემუშავება, დანერგვა, დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია). კურიკულუმის გადამუშავება გულისხმობს მის განახლებას წინარე გამოცდილების, მონიტორინგის და შეფასების შედეგების გათვალისწინებით. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი მთელი წლის განმავლობაში სწავლობენ

კურიკულუმის დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე). ამის შემდეგ სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. საშუალო საფეხურის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათი სკოლა არ იყო ჩართულია ,,ახალი სკოლის" მოდელში, ამიტომ მწირი გადმოცდილება აქვთ კურიკულუმების შემუშავებასა და მათ განხორცილებაში, თუმცა გამოთქვეს მზაობა, რომ მიიღონ ნებისმიერი რჩევა და გააუმჯობესონ მუშაობის ხარისხი. აღნიშნეს, რომ შემუშვებული ვერსია ეფუძნება წინარე ცოდნასა და მათსავე წარმატებულ გამოცდილებას, აგრეთვე, მიღწეულ საუკეთესო შედეგებს. ამ მიზნით პრაქტიკაში ხშირად მიმართავენ ,,კრიტიკული მეგობრის" დასწრებას, ითვალისწინებენ მის უკუკავშირს. ასევე, ერთად აანალიზებენ მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ ხარვეზებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ უკუკავშირს.

***ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *ინტერვიუები პედაგოგებთან;*
- *კურიკულუმები;*
- *კომპლექსური დავალებები;*
- *ვერიფიკაციის მექანიზმი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია**

..................................................................................................................................................................

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თარიღი 31/10/2023